

# დიანა ლეზავა გარიამ ამაშუკელი

გოლომის პროცესი  
გეოგრაფიული საქართველოში:

პირითაღი  
გილევაგი და  
გამოცვავა





# გორუნის პროცესის გეოგრაფია საქართველოში: მირითაღი მიზნები და გამოცემები

დიანა ლეზავა, მარიამ აბაშვილი

თბილისი  
2016

სამეცნიერო რედაქტორი: ლია წულაძე

ენობრივი რედაქტორი: ლალი ქადაგიძე

გამოცემულია ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2016

გამომცემლობა „ნეკერი“, 2016

ISBN: 978-9941-457-65-4

# სარჩევი

შესავალი.....	5
კვლევის მეთოდი .....	7
<b>ნაწილი I. ბოლონიის დეკლარაცია და</b>	
უმაღლესი განათლების განზომილებები .....	11
ხარისხის ერთიანი სისტემა .....	14
კრედიტების ფრანსფერისა და	
დაგროვების ერთიანი სისტემა (ECTS) .....	19
განათლების ხარისხის უზრუნველყოფა .....	24
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები .....	25
ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები .....	29
უმაღლესი განათლება და კვლევა .....	43
შემაჯამებელი მიმოხილვა .....	53
<b>ნაწილი II. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების</b>	
მიერ შიდა საუნივერსიტეტო გარემოსა და	
განათლების ხარისხის შეფასება .....	57
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი .....	58
უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა .....	58
სტუდენტთა მომსახურება .....	60
აკადემიური პროგრამების, აკადემიური	
პერსონალის პროფესიონალიზმისა და	
სასწავლო პროცესის შეფასება .....	63
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი .....	76
უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა .....	76
სტუდენტთა მომსახურება .....	78
აკადემიური პროგრამების, აკადემიური	
პერსონალის პროფესიონალიზმისა და	
სასწავლო პროცესის შეფასება .....	80
თავისუფალი უნივერსიტეტი .....	90

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა.....	90
სტუდენტთა მომსახურება .....	91
აკადემიური პროგრამების, აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმისა და	
სასწავლო პროცესის შეფასება .....	93
შპვი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი .....	103
უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა.....	103
სტუდენტთა მომსახურება .....	104
აკადემიური პროგრამების, აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმისა და	
სასწავლო პროცესის შეფასება .....	105
შემაჯამებელი მიმოხილვა .....	113
<b>ნაწილი III. უმაღლესი განათლების</b>	
ინტერნაციონალიზაცია .....	122
საერთაშორისო მობილობა: საქართველო .....	133
სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია ქართულ უნივერსიტეტებში .....	142
შემაჯამებელი მიმოხილვა .....	160
რეკომენდაციები .....	164
გამოყენებული ლიტერატურა .....	168

## შესავალი

წინამდებარე ანგარიში მომზადდა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის პროექტის ფარგლებში „პოლონიის პროცესის შეფასება საქართველოს მაგალითზე“, რომელიც 2015-2016 წლებში ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. კვლევის მიზანი იყო იმის შეფასება, თუ რა მდგომარეობაა საქართველოს უნივერსიტეტებში ბოლონიის პროცესში განვითარებიდან ათი წლის თავზე; რამდენად შეუწყო ხელი ბოლონიის პროცესის რეფორმების დანერგვამ სწავლებისა და კვლევის განვითარებას საქართველოში; და ზოგადად, რამდენად შეძლო საქართველოს საგანმანათლებლო სისტემამ, ფეხი აეწყო ევროპაში მიმდინარე პროცესებისთვის და დაენერგა ის რეფორმები, რომლებსაც ბოლონიის მონაწილე ქვეყნები ნერგავდნენ ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად; ეს უკანასკნელი გულისხმობს ევროპაში უმაღლესი განათლების ღია სივრცის შექმნას სასწავლო და სამეცნიერო სფეროში მჭიდრო თანამშრომლობისა და თავისუფალი მობილობის ხელშესაწყობად კონკრეტული ბარიერების მოხსნა-შემსუბუქების გზით (Sorbonne Declaration, 1998).

კვლევა რამდენიმე ეტაპად ჩატარდა, სწავლებისა და კვლევის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებად ავიღეთ: ა) ბოლონიის ძირითადი პრინციპებისა და მოთხოვნების გათვალისწინება ნორმატიულ დონეზე – საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება სახელმწიფოს მიერ; ბ) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა როგორც სახელმწიფო, ისე საუნივერსიტეტო დონეზე და მათი ეფექტურობის შეფასება თავად უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ; გ) სამიზნე უნივერსიტეტების მიერ მოწოდებული ისეთი რაოდენობრივი მონაცემები, როგორიცაა სტუდენტებისა და

პროფესიონების რაოდენობა, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა  
და გარე შეფასებების სიხშირეები და ა.შ.; დ) სწავლებისა და  
კვლევის ხარისხის განვითარების შეფასება აკადემიური პერ-  
სონალის მიერ; ე) კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების  
მიერ მიღებული განათლების ხარისხის და შიდა საუნივერ-  
სიტეტო გარემოს შეფასება.

## კვლევის მათობი

კვლევის ფარგლებში პირველ რიგში განხორციელდა მეორადი წყაროების ანალიზი. გაანალიზდა თავად ბოლონიის პროცესის ნორმატიული დოკუმენტები, როგორებიცაა სორბონისა (1998) და ბოლონიის (1999) დეკლარაციები, ევროპული ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების შეხვედრების შემაჯამებელი კომუნიკები (პრაღის, ბერლინის, ბერგენის, ლონდონის, ლუვენის, ბუქარესტის, ბუდაპეშტი-ვენისა და ერევნის), ასევე ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის ლისაბონის 1997 წლის კონვენცია, ბოლონიის პროცესის მონიტორინგის (follow-up groups) სხვადასხვა ჯგუფის ანგარიშები. გარდა ამისა, გაანალიზდა საქართველოს მიერ ბოლონიის პროცესის შეფასების ეროვნული ანგარიშები, უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული საქართველოს საკანონმდებლო ბაზა და სხვა ნორმატიული დოკუმენტები.

ემპირიული კვლევა განხორციელდა სამ სახელმწიფო და სამ კერძო უნივერსიტეტში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, თავისუფალ უნივერსიტეტსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. სამიზნე უნივერსიტეტების შერჩევის კრიტერიუმს წარმოდგენდა შემდეგი პრინციპი: კვლევისთვის ავიდეთ საქართველოს სამი მრავალპროფილიანი, ყველაზე დიდი სახელმწიფო უნივერსიტეტი; და სამი პრესტიული, ასევე მრავალპროფილიანი კერძო უნივერსიტეტი, რათა შეგვემონმებინა, როგორ ხორციელდება სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებში ბოლონიის პროცესის რეფორმები, რა წინაღობებს აწყდებიან ისინი ფუნქციონირებისას და რა დადებით მხარეებს

ხედავენ ბოლო ათი წლის განმავლობაში განხორციელებულ ცვლილებებში. საინტერესო იქნებოდა წინამდებარე კვლევაში რეგიონული უნივერსიტეტების ჩართვაც, თუმცა დროისა და რესურსის სიმცირის გამო ეს ვერ მოხერხდა, რაც შეიძლება კვლევის შეზღუდვადაც ჩაითვალოს.

თითოეულ სამიზნე უნივერსიტეტში განხორციელდა რა-ოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. რაოდენობრივი კომპო-ნენტის ფარგლებში სტრუქტურირებული ინტერვიუები ჩატარ-და ექსივე სამიზნე უნივერსიტეტში; შეგროვდა შემდეგი სახის რაოდენობრივი მონაცემები: აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობა, ინფორმაცია სადოქტორო პროგრ-ამების სტრუქტურასთან დაკავშირებით, სწავლის გადასახა-დი, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები, სამეცნიერო საქმიანობა (გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშ-რომების რაოდენობა, სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობები და პროექტები, კონფერენციები და ა.შ.), ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი (თანამშრომლობა უცხოურ უნივერსიტეტებთან, ერთობლივი/ორმაგი პროგრამები და ა.შ.) და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის მაჩვენებლები. ვი-ნაიდან რაოდენობრივი კვლევის კითხვარი მრავალკომპო-ნენტიანია, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სამიზნე უნივერ-სიტეტების სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებმა: უნივერსიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, რექ-ტორის ოფისის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების, საგარეო საქმეთა დეპარტამენტების, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების თანამშრომლებმა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტების წარმომადგენლებმა.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები სამიზნე უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონ-ალთან, რომლებიც ამავდროულად იკავებენ ისეთ ადმინის-ტრაციულ თანამდებობებსაც, როგორებიცაა: ფაკულტეტის დეკანი, რექტორის მოადგილე და სხვ. საერთო ჯამში, ჩატ-არდა 22 სიღრმისეული ინტერვიუ.

გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს-

ჯგუფების სერია სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან სამიზნე უნივერსიტეტების ნაწილში (თსუ, ილიაუნი, შავი ზღვისა და თავისუფალი უნივერსიტეტები). თითოეულ უნივერსიტეტში ჩატარდა 2-2 დისკუსია: ერთ ფოკუსჯგუფში მონაწილეობა მიიღეს კურსდამთავრებულებმა, რომლებსაც უნივერსიტეტში სწავლა გარდამავალ ეტაპზე მოუწიათ (2005-2010 წლებში), ხოლო მეორე ფოკუსჯგუფში მონაწილეობა მიიღეს 2011-2016 წლების კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა. საერთო ჯამში, ჩატარდა 8 ფოკუსჯგუფი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 59 მონაწილემ. ფოკუსჯგუფების რესპონდენტთა შერჩევის ერთადერთ კრიტერიუმად გამოვიყენეთ უნივერსიტეტში სწავლის წლები (2005-2010, 2011-2016); რეკრუტირებისას დამატებით კრიტერიუმად არ გავითვალისწინებია ფაკულტეტი და აკადემიური პროგრამები. ამის მთავარი მიზეზია ის ფაქტი, რომ კვლევის მიზანს წარმოადგენდა ზოგადად საუნივერსიტეტო სწავლებისა და სივრცის და არა კონკრეტული ფაკულტეტების ან პროგრამების შეფასება.

ფოკუსჯგუფების სერია ვერ ჩატარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, მიუხედავად რამდენიმეთვიანი მცდელობისა, შეგვეკრიბა რესპონდენტთა სათანადო რაოდენობა (6-8 მონაწილე). გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ საუნივერსიტეტო სწავლებისა და სწავლის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სტუდენტთა კმაყოფილების რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა (Tremblay et al., 2012), წინამდებარე პროექტის ფარგლებში განხორციელდა სტუდენტების/კურსდამთავრებულების მიერ მიღებული განათლების სარისხის შეფასება მხოლოდ თვისებრივი მეთოდის გამოყენებით, რაც შეიძლება კვლევის შეზღუდვად ჩაითვალოს.

წინამდებარე ანგარიშის პირველ ნაწილში მკითხველს გავაცნობთ ბოლონიის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი განზომილებების მიმოხილვას,<sup>1</sup> ამ მიმართულებით საქართველოში

1 პირველი თავი არ მოიცავს ბოლონიის ისეთ მნიშვნელოვან განზომილებას, როგორიცაა სტუდენტებისა და პერსონალის მობილობა, და ზოგადად, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, ვინაიდან ამ საკითხს

განხორციელებულ ცვლილებებსა და ზოგად პრობლემებს და უშუალოდ კვლევის სამიზნე უნივერსიტეტების აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებებსა და დამოკიდებულებებს განხორციელებული ცვლილებების მიმართ. მეორე ნაწილი მოიცავს სამიზნე უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა შეხედულებებს სწავლების ხარისხის შესახებ; ხოლო მესამე ნაწილი ეთმობა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას, როგორც სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

## ნაწილი I.

### პოლიტიკის დეკლარაცია და უმაღლესი განათლების განხილვებები

1999 წლის 19 ივნისს ბოლონიაში ხელი მოეწერა ევროპის განათლების მინისტრების ერთობლივ დეკლარაციას, რომელიც „ბოლონიის დეკლარაციის“ სახელით არის ცნობილი. დეკლარაციას ხელი მოაწერა 29 ევროპული ქვეყნის წარმომადგენელმა (ავსტრია, ბელგია, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, მალტა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია და გაერთიანებული სამეფო), რამაც საფუძველი ჩაუყარა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნას. ბოლონიის დეკლარაცია, თავის მხრივ, ეფუძნებოდა 1998 წლის სორბონის დეკლარაციას,<sup>2</sup> რომელიც ხაზს უსვამდა ევროპის ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემების ჰარმონიზაციის აუცილებლობას და მოიცავდა სტუდენტების მობილობის ხელშეწყობას, განათლების საერთაშორისო აღიარებასა და ევროპულ უნივერსიტეტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას (Sorbonne Declaration, 1998). უნდა აღინიშნოს, რომ ბოლონიის დეკლარაცია და მის მიერ განსაზღვრული რეფორმები არ წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას ან დირექტივას, არამედ უფრო ვოლუნტარისტულ საწყისებზე მართული პროცესია, რაც გულისხმობს, რომ მასში მონაწილე ყველა ქვეყანამ თავად გამოთქვა სურვილი, კონკრეტული რეფორმები განეხორციელებინა (ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია).

2 ხელი მოაწერეს საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების მინისტრებმა.

საქართველო ბოლონიის პროცესს 2005 წელს ბერგენის სამიტზე შეუერთდა, რაც, ერთი მხრივ, წარმოადგენდა განა-თლების სისტემაში რეფორმების საფუძველს, მეორე მხრივ კი – პოსტრევოლუციური მთავრობის მიერ არჩეული დასავლური კურსის მანიფესტაციას. ბოლონიის პროცესში ჩართვა ახლად არჩეული მთავრობისთვის გამოსავალი იყო პოსტსაბჭოთა პე-რიოდში საგანმანათლებლო სივრცეში შექმნილი ქაოსიდან, რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ ფინანსურ კრიზისსა და კორუფციას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არამედ განათლების სტრატეგიული დაგეგმვისა და მენეჯ-მენტის, ინოვაციური სწავლებისა და კვლევის, განახლებული კურიკულუმებისა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ნაკლებობას (Glonti and Chitashvili, 2006). თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ბოლონიის პროცესი მხოლოდ საქართველოსთვის არ წარმოადგენდა გამოსავალს მძიმე მდგომარეობიდან. ჰი-უსმანის აზრით, სორბონის დეკლარაციის ხელმომწერი ოთხ-ივე მინისტრი (დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის) ამ ინიციატივით საკუთარი საშინაო პრობლე-მების მოგვარებას ცდილობდა (2012). მართალია, სორბონის დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ ევროპის საგანმანათლე-ბლო სისტემა „ეროვნული იდენტობისა და საერთო ინტერე-სების გატარებას“ უნდა ეფუძნებოდეს (Sorbonne Declaration, 1998), მაგრამ ბოლონიის პროცესი არა მხოლოდ ეროვნული ინტერესების დაცვას ემსახურება, არამედ ერთგვარი გზაა რე-ფორმატორებისთვის, უმტკივნეულოდ მოაგვარონ საკუთარი ქვეყნის საგანმანათლებლო პრობლემები (Huisman et al., 2012). მსგავსი ტენდენცია დღემდე შეინიშნება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, როდესაც მტკივნეულ რეფორმებს ხშირად სწორედ ბოლონიის პროცესის მოთხოვნებით ამართლებენ (Duclaud-Williams, 2004).

რაც შეეხება თავად ბოლონიის პროცესის შინაარსს, დეკლარაცია ხაზს უსვამს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემების ერთმანეთთან თავსებადობისა და, ზოგადად, ევროპული უმაღლესი განათლების საერთაშორისო

კონკურენტუნარიანობის აუცილებლობას. დეკლარაციის ხელმომწერი ქვეყნები შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე შემდეგი მიმართულებით: შესაძარებელი და ერთმანეთთან თავსებადი აკადემიური ხარისხების სიტემების შემოღება, აკადემიური განათლების ორსაფეხურიანი სისტემის ჩამოყალიბება – დიპლომამდელი (ბაკალავრიატი) და დიპლომისშემდგომი (მაგისტრატურა/დოქტორანტურა) საფეხურები, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ეროვნული სისტემის (ECTS) შექმნა, ხარისხის უზრუნველყოფის შესაძარებელი კრიტერიუმების ჩამოყალიბება და უმაღლეს განათლებაში ევროპული განზომილებების დანერგვა (Bologna Declaration, 1999). ეს უკანასკნელი გულისხმობს სტუდენტების მობილობას ევროპის უნივერსიტეტებს შორის, ინტერდიციპლინური და ერთობლივი აკადემიური პროგრამების დანერგვასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას (Bojan, 2007).

ბოლონიის დეკლარაციის ხელმოწერიდან ორი წლის შემდეგ, 2001 წელს, პროცესში ჩართული ქვეყნების წარმომადგენლები კვლავ შეიკრიბნენ პრაღაში, რათა მიმოეხილათ გასული ორი წლის მანძილზე განხორცილებული რეფორმების შედეგები და დაესახათ მომავალი ორი წლის გეგმა (Prague Communiqué, 2001). მომდევნო წლების განმავლობაში აღნიშნული ქვეყნები ყოველი ორი-სამი წლის განმავლობაში იკრიბებოდნენ იმავე ფორმატით. ყოველი შეხვედრის ფარგლებში ხდებოდა გასული წლების შედეგების მიმოხილვა და მომავალი გეგმების დასახვა, ასევე ბოლონიის პროცესის ახალი წევრი ქვეყნების მიღება (ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ვებგვერდი). ასეთი შეხვედრების ფარგლებში იქმნებოდა შესაბამისი კომუნიკები: ბერილინის კომუნიკე (2003), ბერეგენის კომუნიკე (2005), ლონდონის კომუნიკე (2007), ლუვენის კომუნიკე (2009), ბუდაპეშტი-ვენის დეკლარაცია (2010), რომელიც მიეძღვნა ბოლონიის დეკლარაციის წლისთავს, ბუქარესტის კომუნიკე (2012) და ერევნის კომუნიკე (2015). თითოეულ ეტაპზე ბოლონიის პროცესს ემატებოდა სხვადასხვა განზომილება, რომელთა შესრულებაზეც პასუხისმგებლობას

იღებდნენ პროცესის მონაწილე ქვეყნები. საბოლოო ჯამში, 10 წლის განმავლობაში შემუშავდა შემდეგი განზომილებები: ხარისხის ერთიანი სისტემა ერთმანეთთან შეთავსებადი და შედარებადი კვალიფიკაციებით, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ერთიანი სისტემა (ECTS), ხარისხის უზრუნველყოფა და მისი მექანიზმები, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობა, უმაღლესი განათლებისა და კვლევის მჭიდრო კავშირი, უმაღლესი განათლების კავშირი და ადაპტირების უნარი დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან, სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე (უწყვეტი განათლება), სოციალური განზომილება, რაც გულისხმობს უმაღლეს განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, როგორც გენდერულ, ისე ეთნიკურ-კულტურულ ჭრილში (Eurostat, 2009), ევროპული განზომილების (მობილობა და საერთაშორისო თანამშრომლობა) ინკორპორირება უმაღლეს განათლებაში. წინამდებარე ქვეთავები მოკლედ მიმოიხილავს ყველაზე მნიშვნელოვან განზომილებებს, მათ შინაარსსა და რეფორმების მიმდინარეობას 10 წლის განმავლობაში.

## ხარისხის ერთიანი სისტემა

აღნიშნული დებულება გულისხმობს ერთიანი ხარისხის სისტემის შემოღებას ჯერ ორსაფეხურიანი – ბაკალავრიატი-მაგისტრატურა (Bologna Declaration, 1999), შემდეგ კი სამსაფეხურიანი საგანმანათლებლო სისტემის სახით: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა (London Communiqué, 2007). პროცესის მონაწილე ყველა ქვეყანამ ვალდებულება აიღო, დაენერგა აღნიშნული სისტემა, აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშესაწყობად. ეს კომპონენტი ასევე დაკავშირებულია უნივერსიტეტის კურს-დამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდასა და მათთვის შესაბამისი სამუშაო ადგილებისა და პირობების გაუმჯობესებასთან (Bergen Communiqué, 2005).

მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცე-

ში უმაღლესი განათლების ორსაფეხურიანი სისტემა ბოლონიის დეკლარაციამდეც არსებობდა, მას ძირითადად არასისტემური და არასტრუქტურირებული ხასიათი ჰქონდა, რაც გულისხმობს, რომ ყველა ქვეყანა თავადვე განსაზღვრავდა, რამდენიმდებარება ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა ჰქონოდა (Huisman et al., 2012). ანუ ევროპაში არ არსებობდა ყველასთვის ერთიანი, მსგავსი სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემდა ევროპულ ქვეყანებს, მარტივად ელიარებინათ სხვა, მეზობელ ქვეყანაში გაცემული ხარისხი.

საქართველოც უმაღლესი განათლების ორსაფეხურიან სისტემაზე ბოლონიის დეკლარაციამდე გაცილებით ადრე, 1994 წელს, გადავიდა, როდესაც საბჭოთა პერიოდში არსებული უმაღლესი განათლების გერმანული მოდელის ჩანაცვლება დაიწყო ანგლოსაქსური საგანმანათლებლო მოდელით. ეს ცვლილება პირველად განახორციელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფიზიკის ფაკულტეტზე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაწერვით. მომდევნო წლების განმავლობაში ამ პროცესმა ეტაპობრივად მოიცვა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (Glonti and Chitashvili, 2006). 2005 წლიდან კი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის რეფორმირებაც დაიწყო, როცა ე.წ. „ასპირანტურა“ სადოქტორო საფეხურს გაუთანაბრდა, ხოლო ასპირანტის სტატუსის მქონე პირებმა ავტომატურად მიიღეს დოქტორის ხარისხი (EPPM, 2008).

ორ- და მოვიანებით სამსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა ბოლონიის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს, რამაც მოახდინა ევროპის საგანმანათლებლო სფეროს სტანდარტიზაცია სტრუქტურული თვალსაზრისით. განათლების საფეხურების სტანდარტიზაციით შეიქმნა სივრცე, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, სხვადასხვა ქვეყანაში აიმაღლოს კვალიფიკაცია, მაგ. ბაკალავრიატი ერთ ქვეყანაში დაასრულოს, მაგისტრის ხარისხი – მეორე ქვეყნის უნივერსიტეტში, ხოლო დოქტორის ხარისხი მესამე ქვეყანაში მიიღოს. საქართველოში უმაღლესი განათლების საფეხ-

ურებსა და მათ სტრუქტურას განსაზღვრავს „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, რომლის თანახმადაც, საბაკალავრო პროგრამა არ შეიძლება მოიცავდეს 240 კრედიტზე ნაკლებს, უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, მაგისტრატურა არ უნდა მოიცავდეს 120 კრედიტზე ნაკლებს, ხოლო სადოქტორო საფეხური – 180 კრედიტზე ნაკლებს (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 46, პუნქტი 2). გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს ერთი წლის განმავლობაში სტუდენტის მიერ დაგროვებული კრედიტების მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 60-75 კრედიტს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №07/6 ბრძანება, 29/01/2016). საქართველოს კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი საგანამანათლებლო საფეხურის შემადგენელი კრედიტების მაქსიმალურ ზღვარზე, რაც ნიშნავს, რომ კანონი ადგენს კრედიტების მხოლოდ მინიმალურ რაოდენობას, თუმცა არ ზღუდავს კონკრეტულ უნივერსიტეტსა თუ პროგრამას კრედიტების მაქსიმალური ოდენობით, რომლითაც შესაძლოა განისაზღვრებოდეს ხარისხის მინიჭების პრინციპი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მყაცრად განისაზღვრება მხოლოდ ე.წ. რეგულირებად პროფესიებთან – იურიდიული, სამედიცინო, პედაგოგიური, საზღვაო (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 75, პუნქტი 2) – დაკავშირებული დეტალები, რაც მოიცავს სახელმწიფო სასერტიფიკატო ან საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას; მისი აკრედიტაციის პრინციპებს კი, რომლებიც სხვა პროფესიებისგან განსხვავდება, განსაზღვრავს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი (იქვე, მუხლი 76, 77). დანარჩენი პროფესიები, მათი სტრუქტურა და კურიკულუმის შემადგენლობა დამოკიდებულია მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასა და მასში მონაწილე აკადემიურ პერსონალზე.

ხაზი უნდა გაესვას, რომ ბოლონიის რეგულაციების თანახმად, სწავლის შედეგად მიღებული კვალიფიკაციების საერთაშორისო აღიარების საკითხი არ განისაზღვრება ფორმალური განათლების

წლების ოდენობით, არამედ დამოკიდებულია სწავლების შედეგების შედარების პრინციპზე. თუნდაც საგანმანათლებლო საფეხურებისა და ხარისხების ერთმანეთთან გათანაბრება ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნებს შორის არ უზრუნველყოფს ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყანაში გაცემული დიპლომის აღიარებას (*Report on Qualifications Frameworks, 2009*). აღიარების უზრუნველსაყოფად სხვა პროცედურების გავლაც არის საჭირო, როგორიცაა, მაგალითად, ე.წ. დიპლომის დანართის არსებობა, სადაც დეტალურად არის განხრილი როგორც საგანმანათლებლო პროგრამის არსი, ისე სტუდენტის მიერ გავლილი საგნების ჩამონათვალი და კონკრეტული კომპეტენციები, რომლებიც მან პროგრამაზე შეიძინა; ამასთან, დიპლომის აღიარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია თავად კვალიფიკაციების ერთმანეთთან შედარებითობის ეროვნულ და ევროპულ დონეზე განერილი ინსტრუქციები, ე.წ. „კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ არსებობა.

ბოლონიის პროცესით გათვალისწინებული ხარისხის ერთიანი სისტემის დანერგვა სწორედ ამ კვალიფიკაციათა ჩარჩოების შექმნასაც მოიცავს ეროვნულ დონეზე, რომლებიც თანხვედრაში იქნება ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ძირითად სტრუქტურასთან, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს როგორც სტუდენტთა მობილობას, ისე მათი დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო (ევროპულ) დონეზე (*Bergen Communiqué, 2005*). ამისთვის, ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავდა ე.წ. „დუბლინის დესკრიპტორები“, ხუთი ძირითადი კომპონენტის ერთობა, რომლებიც ასახავდა სტუდენტის მიერ სწავლის შედეგად მიღებულ კონკრეტულ კომპეტენციებს. დუბლინის დესკრიპტორები უმაღლესი განათლების ყოველი საფეხურისთვის ინდივიდუალურად შემუშავდა, თუმცა სამივე საფეხურისთვის ისინი ძირითადად შემდეგ ზოგად კომპეტენციებს ეყრდნობა (*Bologna Follow-Up Group, 2005*):

- ცოდნა და გაცნობიერება, რაც გულისხმობს კონკრეტული საგანმანათლებლო დონისთვის კონკრეტული სპეციალობის შესაბამისი ცოდნის ქონას;

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება – საუნივერსიტეტო სივრცეში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში, ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენებისა და ადაპტირების უნარი;
- დასკვნის უნარი – რელევანტური მონაცემებისა და ინფორმაციის გაანალიზების უნარი, ცოდნის ინტეგრირება საჭიროებისამებრ და კრიტიკული აზროვნების უნარი;
- კომუნიკაცია – ინფორმაციის, მონაცემების, კვლევის შედეგების, ინოვაციური იდეების მიწოდების უნარი, როგორც პროფესიონალი, ისე არაპროფესიონალი საზოგადოებისთვის.
- სწავლის უნარი – კონკრეტულ საფეხურზე გამომუშავებული უნარი, რომელიც საშუალებას აძლევს ინდივიდს, სწავლა განაგრძოს მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „დუბლინის დესკრიპტორები“ მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინსტრუქციაა, რომელიც, ისევე როგორც კვალიფიკაციათა ჩარჩო, ეროვნულ დონეზე უნდა შეემუშავებინა ბოლონიის პროცესის მონაწილე ყველა ქვეყანას (იქვე). სწორედ ამ დესკრიპტორებზე დაყრდნობით 2010 წელს საქართველოში, განათლების მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩო (ბრძანება N120/ნ, 10/12/2010). დოკუმენტი მოიცავს როგორც საქართველოში არსებული ყველა დარგის ჩამონათვალს, ისე კონკრეტულ ცოდნასა და უნარებს, რომელსაც ესა თუ ის მიმართულება გულისხმობს. ამავე ბრძანების ფარგლებში გაიწერა კონკრეტული კომპეტენციების მატრიცა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლებიც სწავლის შედეგების ამსახველ ჩამონათვალს წარმოადგენს.

თუმცა აღსანიშნავია, რომ კვალიფიკაციათა ერთიანი ჩარჩოს შემდეგი ეტაპი გაცილებით რთული და შრომატევადი აღმოჩნდა, რომელიც მოიცავდა არსებული კურიკულუმებისა და საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე სწავლის შედეგების

მისადაგებას ახალ ჩარჩოსთან. სწორედ ამიტომ 2000 წლიდან ევროპულ სივრცეში ამოქმედდა ე.წ. „ტუნინგპროგრამა“, რომელიც სტუდენტის სამუშაო დატვირთვის, დონეების შესაბამისი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების განმარტებების შემუშავებას გულისხმობდა (Huisman, et. al, 2012). ეს საკითხი მჭიდრო კავშირშია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან – პროგრამული აკრედიტაცია სწორედაც რომ იმის შემოწმებას გულისხმობს, თუ რამდენად მიიღწევა სწავლის ესა თუ ის შედეგი კონკრეტული სასწავლო პროგრამით. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები მომდევნო ქვეთავებშია გაშლილი, შესაბამისად, აქ ამ თემაზე აღარ შევჩერდებით.

## კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ერთიანი სისტემა (ECTS)

ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია კრედიტების სისტემის დანერგვა – ერთიანი ინსტრუმენტის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის გამჭვირვალობასა და ხარისხის განვითარებას (Bologna Declaration, 1999). ამ სისტემის ფარგლებში სტუდენტებს უფლება ეძლევათ, საზღვარგარეთ სწავლის შედეგად მიღებული კრედიტების აღიარება მოითხოვონ მათსავე მშობლიურ უნივერსიტეტი, იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელზეც სწავლობენ ხარისხის მისაღებად. კრედიტების დაგროვება შესაძლებელი უნდა იყოს როგორც სწავლის ფორმალურ, ისე არაფორმალურ კონტექსტში აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ფარგლებში მიღებული ცოდნის დასადასტურებლად (კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა – სახელმძღვანელო, 2015). კრედიტების დაგროვების სისტემას დაუკავშირდა სწავლების შედეგებისა და სტუდენტების დატვირთვის კომპონენტები, რომელიც სწორედაც კრედიტების სისტემაში უნდა აისახოს (Bucharest Communiqué, 2012).

სწორედ ამ მიზნით შეიქმნა კრედიტების ტრანსფერისა და

დაგროვების სახელმძღვანელო, რომლის განახლებული ვერსია დამტკიცდა 2015 წელს ერევნის სამიტზე. სახელმძღვანელო დეტალურად განმარტავს კრედიტების გაანგარიშებისა და მობილობის პრინციპებს უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე, ასევე სტუდენტის დატვირთვისა და მონიტორინგის პრინციპებს. სახელმძღვანელოს ერთ-ერთი თავი ეხება საზღვარგარეთ მიღებული კრედიტების სტუდენტის პირად სასწავლო კურიკულუმში აღიარების საკითხებს. მის თანახმად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კრედიტების აღიარება ეფუძნებოდეს არა სასწავლო კურსის შინაარს, არამედ სწავლის შედეგების თავსებადობას (კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა – სახელმძღვანელო, 2015, გვ. 24), ვინაიდან ცალსახაა, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტის კურსები, შესაძლოა, შინაარსობრივად არ დაემთხვას ერთმანეთს; შესაბამისად, თუ ამ კუთხით მივუდგებით, შესაძლოა, მივიღოთ რეალობა, როდესაც სხვადასხვა უნივერსიტეტში არ არსებობს იდენტური პროგრამები და კურსები. ამ ფაქტმა, შესაძლოა, მობილობის შეფერხება და ბოლონიის პროცესის უმთავრესი პრინციპის – სტუდენტებისთვის საერთაშორისო საზღვრების გახსნა – დარღვევა გამოიწვიოს. შესაბამისად, აღნიშნული სახელმძღვანელო გვთავაზობს, კრედიტის აღიარებისთვის შეფასდეს სტუდენტის სწავლის შედეგი, რაც საშუალებას მოგვცემს, ღიად და თავისუფლად მივუდგეთ კრედიტების აღიარების პრინციპს (იქვე, 24).

კრედიტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის (Lifelong Learning) უმაღლეს განათლებასთან ინტეგრაციის პროცესშიც, როდესაც განისაზღვრა, რომ არაფორმალური განათლების ჭრილში დაგროვებული კრედიტების აღიარება შესაძლებელი უნდა იყოს ფორმალური განათლების ფარგლებში სტუდენტის მიერ დაგროვებულ კრედიტებზე (ECTS) დაყრდნობით (იქვე, გვ. 36). ეს ნიშნავს, რომ ბოლონიის პროცესის თანახმად, სტუდენტს უფლება ეძლევა, სასერტიფიკატო კურსების ან პროფესიულ განათლებაში გავლილი კურსების აღიარება მოითხოვოს უმაღლესი განათლების

საფეხურებზე, თუ ამ კურსების შედეგები მისაღებია ამა თუ იმ კონკრეტული აკადემიური პროგრამისთვის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ზღუდვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბმას უმაღლესი განათლების პროგრამასთან და პროფესიულ საფეხურზე მიღებული ცოდნის აღიარებას უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების პერსპექტივით. ეს საკითხი განათლების ექსპერტების მიერ დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემის მნიშვნელოვან ხარვეზად არის აღიარებული, რაც ხელს უშლის საქართველოს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში სრულ ინტეგრაციას (ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ანალიზი, 2014. გვ. 21). მეორე მხრივ, აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი (და არა მხოლოდ) ხელს უშლის უნივერსიტეტების მონაწილეობას პროფესიული განათლების განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პროფესიული განათლების საკითხზე საკმაოდ მნირია სამეცნიერო ლიტერატურა, აღნიშნული კვლევები ცხადყოფს, რომ საქართველოში უნივერსიტეტები არ არიან დაინტერესებული პროფესიული პროგრამებით (დარჩია, 2009). ამის ერთ-ერთ მიზეზად კი შეიძლება მივიჩნიოთ სწორედ ეს „საგანმანათლებლო ჩიხი“ (პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, 2012, გვ. 3), ანუ წყვეტა პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის.

კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულ სისტემაზეგადასვლას დადებითად აფასებს ჩვენი კვლევის მონაწილე ფაქტობრივად ყველა უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. რესპონდენტები თანხმდებიან, რომ კრედიტების სისტემამ ხელი შეუწყო საერთაშორისო მობილობის გაზრდას, რაც უდავოდ ბოლონიის პროცესის პოზიტიურ შედეგად აღიქმება. თუმცა, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ კრედიტების სისტემაზე გადასვლა არც ისე მარტივი ეტაპი აღმოჩნდა. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს, თავდაპირველად აკადემიური პერსონალისთვის გაუგებარი იყო არა მხოლოდ კრედიტების სისტემის აზრი, არამედ დაანგარიშების წესიც. ხშირად ხდებოდა სილაბუსებ-

ში განერილი კრედიტების კოპირება და ფორმალურ დონეზე განერა, ხოლო საგნის შინაარსობრივი სპეციფიკა გათვალისწინებული არ იყო. კრედიტების სისტემაზე გადასვლა რთული აღმოჩნდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტებისთვის. თუმცა კრედიტების ევროპულ სისტემაზე გადასვლა ნაკლებად პრობლემური აღმოჩნდა იმ კერძო უნივერსიტეტებისთვის, რომელთა შეფასების სისტემა დასავლურ სტანდარტს 2005 წლამდე ისედაც იყო მორგებული.

„ბოლონიის სისტემის შემოსვლის შემდეგ სილაპუსები გართულდა, საკრედიტო სისტემაზე გადასვლაც ძნელი იყო თავიდან, მაგრამ ახლა ეს უკვე პრობლემა აღარაა“. (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

„ხშირ შემთხვევაში ეს მოთხოვნები, საათები როგორ განერილიყო და ა.შ., კოპირდებოდა. უფრო ფორმალურებული მიდგომების დონეზე გადავედით კრედიტების სისტემაზე“. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

კრედიტების ევროპულ სისტემაზე გადასვლის პოზიტიური შედეგების პარალელურად ბევრი რესპონდენტი (განსაკუთრებით კრიტიკულნი კი ამ მხრივ სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლები არიან) აღნიშნავენ, რომ დღემდე პრობლემას წარმოადგენს სასწავლო კურსის ფარგლებში საკითხავი (დასამუშავებული) ლიტერატურის მოცულობის კურსის შესაბამისობა კრედიტების რაოდენობასთან; სხვა სიტყვებით, არ არსებობს სტანდარტი, რომელიც სტუდენტის მიერ გასავლელი სასწავლო კურსის კრედიტს სავალდებულო საკითხავი მასალის მოცულობის მიხედვით განსაზღვრავს. ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, როდესაც სასწავლო კურსებს ერთნაირი კრედიტების რაოდენობა აქვს მინიჭებული და სტუდენტები ცდილობენ, ის არჩევითი კურს(ები) გაიარონ, რომელსაც ნაკლები სამუშაო დატვირთვა აქვს, რაც კრედიტების საერთო რაოდენობაზე მაინც არ აისახება. ფოკუსჯგუფის მონანილე სტუდენტები ადასტურებენ აკადემიური პერსონალის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას

კრედიტების ფორმალურად განაწილების თაობაზე და აღნიშნავენ, რომ კრედიტისა და სასწავლო მასალის მოცულობა ერთმანეთის შესაბამისი არ არის.

„მე ვიცი მიმართულებები და საგნები, სადაც სტუდენტები ძალიან აქტიურად ენერებიან, რადგან საკითხავი მასალა ძალიან მცირეა, 80-100 გვერდი და ნაკლებად იღებენ ისეთ კურსებს, სადაც მეტია საკითხავი მასალა, მეტია დატვირთვა. თვითონ სტუდენტს უჩნდება წინააღმდეგობა, რადგან ეს საგნები ერთი და იგივე კრედიტის ოდენობისაა“. (აკადემიური პერსონალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

„კრედიტების პრობლემა გვქონია ძალიან ბევრ საგანთან მიმართებაში. მაგალითად, ორკრედიტიანი საგანი გვქონია, რომელიც ბევრად უფრო მეტ დროს მოითხოვდა, ვიდრე სხვა ორკრედიტიანი საგანი. დატვირთვა იყო იმაზე ბევრად დიდი, ვიდრე ორი კრედიტი ითხოვს ან საგნები, რომელსაც უფრო მაღალი კრედიტი აქვს და ძალიან ცოტა მუშაობას საჭიროებდა. ანუ ეს დასაბალანსებელი იყო, რაც გაითვალისწინეს ჩვენს შემდეგ კურსებზე ძალიან კარგად“. (თავისუფალი უნივერსიტეტი, 2011-2016 წლის ფოკუსჯგუფი)

რეპონდენტები ასევე საუბრობენ საზღვარგარეთ გავლილი კრედიტების აღიარების პრობლემაზე, როდესაც უნივერსიტეტმა ვერ გადაჭრა აღიარების პრობლემა და სტუდენტს დამატებითი საგნების გავლა ან გამოცდის ჩაბარება დასჭირდა უკვე ადგილობრივად, საქართველოში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა მეტად აქტუალური იყო 2010 წლამდე, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების შემთხვევაში. 2011-2016 წლების კურსდამთავრებულები ამ საკითხზე ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას. როგორც ჩანს, მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანი საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილების არსებობაა, ვიდრე მიღებული ცოდნის ადგილობრივ აღიარებაზე

ზრუნვა. მეორე მხრივ, თავად უნივერსიტეტის ადმინისტრაცია „მიეჩია“ ევროპული კრედიტების სისტემით ოპერირებას, რაც კრედიტებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარვეზების შემცირებასგანაპირობებს.

„უნივერსიტეტმა არ იცოდა, რა ექნა, უნდა დავრჩინოლიყავი თსუ-ს სტუდენტად თუ უნდა ამოვერიცხე ერთი ნელი. არ იცოდნენ კრედიტების აღიარების სისტემა, მაშინ არკვევდნენ, საერთოდ რა იყო კრედიტები. იქჩავაბარე გამოცდები და კრედიტები წამოვიდე, აქედან ნაწილი მიღიარეს და ნაწილი თსუ-ში გადავაბარე“. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005-2010 წლის ფოკუს-ჯგუფი)

## განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განზომილებაა, რომელიც ხაზგასმულია არა მხოლოდ სხვადასხვა კომუნიკესა და ბოლონიის ნორმატიულ დოკუმენტებში, არამედ თავად ბოლონიის დეკლარაციაშიც (Bologna Declaration, 1999). ბერლინის კომუნიკეს (2009) თანახმად, პროცესში მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, „ხელი შეუწყონ ხარისხის განვითარებას ინსტიტუციურ, ეროვნულ და ევროპულ დონეებზე“ (გვ. 2). თუმცა აქვე აღნიშნულია, რომ ხარისხზე პასუხისმგებელი თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებია. ამაში იგულისხმება ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით რეფორმების განხორციელება რამდენიმე მიმართულებით: ა) უნივერსიტეტების მიერ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობის აღება, რაც მოიცავს უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების შექმნას (Berlin Committee, 2003); ბ) ევროპული თანამშრომლობის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის მაღალი სტანდარტების დანერგვა კვალიფიკიციების შედარების მიზნით, რაც მოიცავს უნი-

ვერსიტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია-სერტიფიცირებას (Prague Communiqué, 2001, Berlin Communiqué, 2003); გ) აკადემიური პროგრამების შიდა (უნივერსიტეტის მიერ დამოუკიდებლად, საკუთარი რესურსებით, სტუდენტებისა და პროფესორების საშუალებით ჩატარებული შეფასება) და გარე შეფასების (დამოუკიდებელი გარე შეფასება, რომელშიც მონაწილეობენ უცხოელი ან/და ადგილობრივი მოწვეული ექსპერტები, ე.წ. peer-review) მექანიზმების დანერგვა-განვითარება (Berlin Communiqué, 2003).

## ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები

ევროპულ დონეზე ხარისხის განვითარების ხელშეწყობა კონკრეტული სტანდარტებისა და მექანიზმების შემუშავებას გულისხმობს, რაც რამდენიმე ევროპულ ორგანიზაციას დაევალა: უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციას (ENQA), ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციას (EUA), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპულ ასოციაციას (EURASHE), ევროპის სტუდენტების ეროვნულ კავშირებს (ESIB). ეროვნულ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფა ითვალისწინებს ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოების ჩამოყალიბებას (იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას მსგავსი სტრუქტურა არ გააჩნდა) ან მოდერნიზებას (არსებული სააგენტოს ჰარმონიზებას ახალი სტანდარტების მიხედვით) (Aelterman, 2007). საუნივერსიტეტო დონეზე კი იგულისხმება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიგნით სტრუქტურული ერთეულის შექმნა/მოდერნიზება, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა უნივერსიტეტს შიგნით ხარისხის მონიტორინგსა და პერფორმანსზე, ან ამ ფუნქციის „აუთსორსინგი“ მოწვეული სააგენტოების/ექსპერტების ხარჯზე (Schmidt, 2007).

საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანო ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი, რომელიც იურიდიულად დამოუკიდებელი ერთეულია,

თუმცა განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სსიპ) წარმოადგენს. ცენტრის დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს განათლების მინისტრი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 89/6, 14/09/2010; ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2016). უფრო მეტიც, 2015-2016 წლებში განათლების მინისტრის მოადგილემ შეითავსა აღნიშნული ცენტრის დირექტორის ფუნქცია (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1/კ-172, 06/02/2015); ხოლო 2016 წლის ივლისში ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი დაინიშნა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1/კ-236, 28/07/2016). აღნიშნული ცხადად ადასტურებს, რომ ცენტრი არა მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით არის ანგარიშვალდებული განათლების სამინისტროს მიმართ, არამედ უშუალოდ განათლების მინისტრს ექვემდებარება; სხვა სიტყვებით, მას არ აქვს ფაქტობრივი დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა, რაც ხარისხის ეროვნული ცენტრის ეფექტიანობის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტს უნდა წარმოადგენდეს. სწორედაც რომ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების დამოუკიდებლობაა ხაზგასმული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) სტანდარტებში, რომლის თანახმადაც, მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის ცენტრს ფორმალურად, საკანონმდებლო დონეზე აღიარებული სტატუსი უნდა ჰქონდეს, მის გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებზე გავლენას არ უნდა ახდენდეს რომელიმე აქტორი: უმაღლესი განათლების დაწესებულება, სამინისტრო ან სხვა დაინტერესებული ორგანო/პირი (Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG), 2009, 3.6). საქართველოს შემთხვევაში ცხადია, რომ ცენტრს არ აქვს ფაქტობრივი დამოუკიდებლობა და მასზე გავლენის მოხდენა სახელმწიფოს მხრიდან ძალიან ადვილია; ეს კი ხელს უშლის ცენტრის მიერ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 2013 წელს საქართველოს ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი ENQA-ს (European Association for Quality Assurance in Higher Education) აფილირებული წევრი გახდა; ცენტრის განვითარების სტრატეგიაში (2013-2017) კი ხაზგასმულია ცენტრის მიზანი, ENQA-ს სრული წევრის სტატუსი მოიპოვოს. ამავე დროს, ENQA-ს წევრობის კრიტერიუმების თანახმად, წევრობის მსურველმა სააგენტოებმა სრულად უნდა დააკმაყოფილონ ზემოაღნიშნული სტანდარტები დამოუკიდებლობის შესახებ (ENQA, Rules of Procedure, Article 6, 2015). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ცენტრალური ადგილი უჭირავს ქვეყანაში ხარისხის განვითარების თვალსაზრისით. მისი უმთავრესი მიზანია „საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით განათლების ხარისხის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა, გარე მექანიზმების განხორციელება და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა“ (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი). შესაბამისად, მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა სახელმწიფო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განხორციელება. ამისთვის ცენტრს შემუშავებული აქვს კონკრეტული მექანიზმები, რომელთა შესრულება-არშესრულების მიხედვით ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის, ხოლო მათი პროგრამებისთვის – აკრედიტაციის მინიჭება. აკადემიური პროგრამების აკრედიტაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიღება სწორედ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზეა დამოუკიდებული (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, თავი 10, მუხლი 63, პუნქტი 3). ეს ურთიერთკავშირი სახელმწიფო სასწავლო გრანტების გაცემასა (რაც სახელმწიფოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების ერთადერთ მექანიზმს წარმოადგენს) და აკრედიტაციას შორის უარყოფითად ფასდება განათლების ექსპერტების მიერ, რადგან, სხვა მიზეზებთან ერთად, ხელს უწყობს აკრედიტაციისა და ხარისხის უზრუნ-

ველყოფის ფორმალური ხასიათის ჩამოყალიბებასა და სწავლების ხარისხის დაწევას (დარჩია, 2013; ბაქრაძე, 2013). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უნივერსიტეტებისთვის ეროვნული ცენტრის საკვანძო მნიშვნელობისა და სამინისტროსთვის მისი დაქვემდებარების გათვალისწინებით, ეს ცენტრი, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურობის შესაზღუდად, რაც ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია (ENQA, 2009).

რაც შეეხება თავად უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების არსებობას, ეს საქართველოს კანონმდებლობითაა განსაზღვრული: უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, უნივერსიტეტებში უნდა არსებობდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ამავე კანონში მოხსენიებულია, როგორც უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთი ორგანო (მუხლი 15, პუნქტი 2). ხოლო 25-ე მუხლში დეტალურად არის განერილი უმაღლესი განათლების დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს დებულება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ანუ სახელმწიფო უნივერსიტეტებს, ეხება. კერძო უნივერსიტეტებისთვის აღნიშნული სამსახურის არსებობა სავალდებულო არ არის. მიუხედავად ამისა, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კერძო უნივერსიტეტების თუ აბსოლუტურ უმრავლესობას არა, მათ უდიდეს ნაწილს მაინც აქვს (ჯავახიშვილი და სხვ., 2010). წინამდებარე კვლევის ყველა სამიზნე უნივერსიტეტში აღნიშნული ორგანო ფუნქციონირებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პირველ რიგში, პასუხსა აგებს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სახელმწიფო სტანდარტების დაკმაყოფილებაზე და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ანგარიშგებაზე; თუმცა მათ ფუნქციებში ასევე შედის აკადემიური პერსონალის შეფასება, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, სტუდენტების მობილობა და კრედიტების აღიარება და ა.შ. (იქვე).

## **ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები**

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბერლინის კომუნიკებზე (2003) დაყრდნობით ENQA-მ შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცისთვის (2009). დოკუ-მენტი განმარტავს უმაღლესი განათლების ხარისხის უზ-რუნველყოფის შიდა და გარე შეფასების სტანდარტებსა და მექანიზმებს, ასევე მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის ცენ-ტრების სახელმძღვანელო პრინციპებსაც. აღნიშნული დოკუ-მენტის თანახმად, შიდა შეფასება უნდა ეფუძნებოდეს შემ-დეგ სტანდარტებს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების სამუშაო წესებისა და პრინციპების არსებობა, რაც ასევე მოიცავს ხარისხის განვითარების სტრატეგიის შემუშავებას; აკადემიური პროგრამების სისტემატური შეფასება და მონი-ტორინგი – ამისთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კონკრეტული ფორმალური მექანიზმები უნდა ჰქონ-დეთ შემუშავებული, როგორიცაა სტუდენტების ყოველწლი-ური რაოდენობრივი და თვისებრივი გამოკითხვები სწავლით, საგანმანათლებლო რესურსებით, სასწავლო გარემოთი და მომსახურებით კმაყოფილების შესახებ, სტუდენტების/კურს-დამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები, პოტენციური დამსაქმებლების შეხედულებები კურსდამთავრებულთა კომ-პეტენციების შესახებ, პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენ-ტების რაოდენობის კურსდამთავრებულთა რაოდენობასთან შეფარდების ყოველწლიური მაჩვენებლები და ა.შ.; სტუდენ-ტების აკადემიური მოსწრების შეფასება, რისთვისაც ასევე უნდა არსებოდეს კონკრეტული, ცხადად განერილი კრიტე-რიუმები და რეგულაციები: სტუდენტები ინფორმირებულები უნდა იყვნენ იმის შესახებ, თუ რა კომპონენტებისგან შედგება მათი შეფასება, რა მექანიზმებით ფასდებიან ისინი, რამდენად ადეკვატურად ხდება მათი შეფასება, რა კონკრეტული პროცე-დურები არსებობს უნივერსიტეტში ტესტის/გამოცდის გაცდე-ნის შემთხვევაში და ა.შ.; აკადემიური პერსონალის შეფასება, მათი კვალიფიკაციისა და აკადემიური საქმიანობის პერმანენ-


ტული მონიტორინგი; სასწავლო რესურსები და სტუდენტების დახმარება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ბიბლიოთეკებისა და კომპიუტერული კლასების არსებობას, არამედ ტუტორების, კონსულტანტებისა და მრჩევლების დახმარებას; საინფორმაციო სისტემები, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტებს, შეაგროვონ და გააანალიზონ საკუთარი მონაცემები სწავლების, კვლევისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით; ინფორმაციის გასაჯაროება, რაც გულისხმობს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემების ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის.

ხარისხის შიდა მექანიზმების საკითხებს ეხება სახელმწიფო აუდიტის 2016 წლის ეფექტიანობის ანგარიში „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისთვის განათლების მისაღები ხარისხის უზრუნველყოფის“ შესახებ, რომელიც სწორედაც რომ ჩვენი კვლევის სამიზნე სახელმწიფო უნივერსიტეტების (თსუ, სტუ, ილიაუნი) მაგალითზე განხორციელდა. ანგარიშის თანახმად, სამიზნე სახელმწიფო უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები საკმად სუსტად არის განვითარებული. ეს, უპირველესად, გამოიხატება საშუალო შენწონილი ქულის (GPA)<sup>3</sup> საშუალებით, რომელმაც ამ უნივერსიტეტების 2010-2014 წლების 6,885 კურსდამთავრებულის უმრავლესობის შემთხვევაში საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი შეადგინა (ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2016); აღნიშნული მონაცემების საილუსტრაციო იხილეთ დიაგრამა 1.1. აკადემიური მოსწრების დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება არა მხოლოდ კურსდამთავრებულების, არამედ აქტიური სტუდენტების შემთხვევაშიც (იქვე, გვ. 24, 25, 26).

3 აუდიტის ანგარიშის მიხედვით საშუალო შენწონილი ქულის (GPA) საშუალო მაჩვენებლად განისაზღვრა 2,5 ქულა მაქსიმალური 4-იდან.

დიაგრამა 1.1. 2014 წელს ყველა კურსდამთავრებულიდან საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების პროცენტული რაოდენობა უსდების მიხედვით.

### საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე კურსდამთავრებულები



წყარო: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების განათლების მისაღები ხარისხის უზრუნველყოფა. ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში (2016).

აუდიტის ეფექტიანობის ანგარიშში ნარმოდგენილი დასკვნების თანახმად, სამივე უსდ-ს აქვს დანერგილი ელექტრონული სისტემა, რომელშიც აღირიცხება სტუდენტების აკადემიური მოსწრება (მათ მიერ მიღებული შეფასებები), თუმცა არც ერთ ხსნებულ უნივერსიტეტში არ მოქმედებს სისტემური მექანიზმი სტუდენტების აკადემიური მოსწრების მუდმივი მონიტორინგის მიზნით, რის გარეშეც შეუძლებელია სტუდენტების საჭიროებების იდენტიფიცირება და მიზანმიმართული აკადემიური ინტერვენციების განხორციელება.

რაც შეეხება შეფასების გარე მექანიზმებს, EQNA-ს სახელმძღვანელოს თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი განსხვავდება საგანმანათლებლო სისტემების მიხედვით

და შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის ინსტიტუციურ შეფასებას, პროგრამულ შეფასებას, აკრედიტაციას ან ყველა ამ მექანიზმის ერთობლიობას. აქვე აღნიშნულია, რომ გარე შეფასების ინტენსიურობა და ხასიათი უნდა ეფუძნებოდეს შიდა მექანიზმების ეფექტიანობას (Part 2, Standard 2.1, ESG, 2009). აქვე აღსანიშნავია ამ დოკუმენტის 2.4 სტანდარტი, რომლის თანახმად, წინასწარ უნდა განისაზღვროს, თუ რას ემსახურება გარე შეფასება. შეფასების მიზნის განსაზღვრაზეა დამოკიდებული კონკრეტული მექანიზმებისა და ინდიკატორების შემუშავება. თუმცა აქვე ხაზგასმულია, რომ გარე შეფასების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი პრინციპები: კომპეტენტური და კვალიფიციური შემფასებელი ექსპერტები, ექსპერტების შერჩევის ნათელი კრიტერიუმები, ექსპერტების ინფორმირება/ტრენინგი შეფასების მიზნებისა და სხვადასხვა პროცედურების შესახებ, საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობა, სტუდენტების მონაწილეობა, შეფასების პროცედურების ეფექტურობა ადეკვატური დასკვნების გასაკეთებლად, თვითშეფასება და ადგილზე განხორციელებული ვიზიტები, აგრეთვე ინსტიტუციური განვითარების, როგორც ხარისხის განვითარების ფუნდამენტური ელემენტის, მნიშვნელობის აღიარება.

აკრედიტაციის საკითხთან დაკავშირებით, კვლევის სამიზნე უნივერსიტეტების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან 2016 წლის ივნის-ივლისში ჩატარებულ ინტერვიუებში გამოიკვეთა ორი ძირითადი ტენდენცია: ერთი მხრივ, პროგრამული აკრედიტაცია ფასდება სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ ერთადერთ ქმედით მექანიზმად იმისთვის, რომ უნივერსიტეტებმა საქართველოში თავიანთი სასწავლო პროგრამების ხარისხზე იზრუნონ; მეორე მხრივ, აკრედიტაცია აღიქმება, როგორც ერთგვარი „სადამსჯელო ოპერაცია“ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისთვის.

„თვითონ ეს ეროვნული სააკრედიტაციო ცენტრი, ჩვენი ზოგადი წარმოდგენით, არის სადამსჯელო ორგანიზაცია, რომელიც იწუნებს და ჩეხავს პროგრამებს“. (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

„უნივერსიტეტი მხოლოდ შემსრულებლის როლშია და შეშინებულია, რომ პრობლემა არ შეექმნას აკრედიტაციასთან და ავტორიზაციასთან დაკავშირებით“. (თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

„ძალიან ბევრი უნივერსიტეტი გაჩნდა საქართველოში და განათლების სამინისტრო ცდილობს, დატოვოს მაღალი ხარისხის უნივერსიტეტები. ამიტომ ხდება პროგრამების შემოწმება და მე ამას ვეთანხმები. რა თქმა უნდა, არის ბიუროკრატიული მომენტებიც“. (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევის მონაწილეების გარკვეული ნაწილი ლაპარაკობს პროგრამული აკრედიტაციის იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც დაკავშირებულია აკრედიტაციის პროცესში მხოლოდ ფორმალური კრიტერიუმების დაკმაყოფილებასთან. პროგრამული აკრედიტაციის ეროვნული სტანდარტები საკმაოდ ზოგადი და შაბლონურია, ძირითადად ორიენტირებულიადოკუმენტების სტრუქტურულ ორგანიზაციაზე (სილაბუსის ინსტრუქციის მიხედვით განერა, აკადემიური საათებისა და კრედიტების სწორად განანილება) და ნაკლები ყურადღება ექცევა პროგრამის შინაარსობრივ მხარეს, პროგრამით გათვალისწინებული შედეგების შეფასებას, რაც პირდაპირ კავშირშია აკადემიური პროგრამის ხარისხთან.

„აკადემიური პროგრამის ხარისხის შემოწმება ხშირად დაყვანილია ფორმალურ შემოწმებამდე – სილაბუსების შემოწმება, Check list-ის შევსება, გინერია თუ არა მიზნები და ა.შ.“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

„ჩვენ სხვადასხვანაირად გვესმის ხარისხი: აკრედიტაციის ცენტრს ეს ესმის, თუ როგორ მოდის შესაბამისობაში ჩვენ მიერ შევსებული ფორმები ფურცელზე დაწერილ ნესებთან და არანაირი კავშირი ამას არ აქვს ნამდვილ ხარისხთან. ჩემი აზრით, ხარისხი იზომება სტუდენტის წარმატებით, რომელიც ამ უნივერსიტეტს ამთავრებს,

რასთანაც არანაირი კავშირი არ აქვს ხოლმე აკრედიტაციის პროცედურას. აკრედიტაცია არის ბიუროებრატიული, წერტილ-მძიმეზე ორიენტირებული და თურმე ამას ვეძახით ხარისხს“. (თავისუფალი უნივერსიტეტი)

„ჩემი აზრით, საკმაოდ ზერელეა ეროვნული პროგრამული აკრედიტაცია. არის ხოლმე სიტუაციები, რომ ძალიან ხანძოკლე დროით მოდიან ექსპერტები, რაც, ჩემი აზრით, არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ პროგრამა რეალურად შეისწავლო და, შესაბამისად, მერე ინფორმირებული დასკვნა გააკეთო; არ არის საკმარისი, ორი-სამი სილაბუსის გადახედვის საფუძველზე რაღაც დასკვნა დაწერო პროგრამასთან დაკავშირებით“. (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

გარდა ამისა, მხოლოდ საქართველოში, ადგილობრივად განხორციელებული და არა საერთაშორისო სააგენტოს მიერ გაცემული პროგრამული აკრედიტაცია საეჭვოს ხდის ამ პროცედურების ეფექტურობას. ეროვნული აკრედიტაციის პრობლემა დაკავშირებულია ადამიანური რესურსის (აკრედიტაციაში ჩართული სპეციალისტების) სიმწირესთან და მათ კვალიფიკაციასთან. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში დარგობრივი სამეცნიერო წრეები საკმაოდ ვიწროა, პროგრამული აკრედიტაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტისა და მიკერძოებული შეფასების რეალური საფრხე წარმოიშობა. ეს გარემოება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია იმისთვის, რომ საერთაშორისო სააგენტოების მიერ გაცემული აკრედიტაციის აუცილებლობა ეროვნული განათლების პოლიტიკის დღის წესრიგში დადგეს.

„ჩემი აზრით, საქართველოში გაცილებით მეტი უნივერსიტეტია, ვიდრე ამას ქართული რესურსი ფარავს. ამიტომ ერთი და იგივე ლექტორი შეიძლება ნახოთ ბევრ უნივერსიტეტში. ასევე, აკადემიური პროგრამების შემოწმებელი იგივე ხალხია, ვინც ამ პროგრამას წერს“. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

„[დასახელებულია დისციპლინა] რამდენი ადამიანია, ვინც აქტიურად არის ამ პროცესში ჩართული და ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. ამიტომ ძალიან რთულია, რომ გამორიცხო სუბიექტური ფაქტორები აკრედიტაციის პროცესისგან“. (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

„პირველ წლებში, 2011 წელს იყო სიტუაციები, როცა ექსპერტები, რომლებიც პროგრამას აფასებდნენ, არ იყვნენ დარგის სპეციალისტები. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება კომპეტენცია, რამდენად სწორი დასკვნები დადეს“. (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

აკრედიტაციის ნაკლოვანებებს შორის სახელდება თავად აკრედიტაციის პრინციპებიც, როგორიცაა, მაგალითად, პროგრამის აკადემიური პერსონალის შეფასების წესები. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობის და არა ხარისხის მიხედვით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის სტანდარტებში არაფერია ნათქვამი, თუ კონკრეტულად რა რაოდენობის ან როგორი ნაშრომის (საერთაშორისო რეფერირებადი ან იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალები, ადგილობრივი რეფერირებადი თუ არარეფერირებადი ჟურნალები და ა.შ.) გამოქვეყნება მოეთხოვება აკადემიურ პერსონალს. სტანდარტში აღნიშნულია, რომ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დგინდება მისი აქტიური სამეცნიერო საქმიანობით ბოლო ათი წლის განმავლობაში (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები, 4.2.), თუმცა დაკონკრეტებული არ არის, როგორი სამეცნიერო აქტიურობა მიიჩნევა დამაკმაყოფილებლად. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმის შეფასება კონკრეტული ექსპერტის სუბიექტურ აზრზეა დამოკიდებული, ან პერსონალის კომპეტენტურობის შეფასება მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურად ხორციელდება, შინაარსისა და ხარისხის შეფასების გარეშე.

„ერთია, რომ პუბლიკაციები აქვს „ჭ“ უურნალში, რაც საქართველოში გამოიცემა, ასი სტატია და მეორე, როცა რეფერირებად, აღირებულ საერთაშორისო უურნალში ერთი სტატია, ეს ერთი მე უფრო წონიანად მიმაჩნია, ვიდრე სადღაც გამოქვეყნებული ასი სტატია“. (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ეროვნულ აკრედიტაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება 2011 წელს ჩატარებული კვლევა „ინტერნაციონალიზაციისა და უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის შედარებითობის ხელშეწყობა“, სადაც კონკრეტული რეკომენდაციებია განცერილი ამ ფორმალობის აღმოსაფხვრელად. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს დაიწყო ეროვნული აკრედიტაციის ცენტრის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება, ახალი პრინციპების ჩამოყალიბება, რაც რეფორმის „ქვემო-დან ზემოთ“ განხორციელების ერთგვარი მცდელობა იყო. ამ პროცესის ფარგლებში შეიქმნა დამოუკიდებელი დარგობრივი ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტებული იყო სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და განათლების ექსპერტებისგან. ჯგუფებს დაევალათ სტანდარტების განახლება და აკრედიტაციის ახალი პროცედურების გაწერა. ახალი სტანდარტის ფუნდამენტურ ცვლილებას წარმოადგენს პირობითი პროგრამული აკრედიტაციის დანერგვა, რომელიც კონკრეტულ ვადას, 2 წელს აძლევს პროგრამას ხარვეზის აღმოსაფხვრელად (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 22, პუნქტი 2, 3).

ეროვნული პროგრამული აკრედიტაციის პროცესის ნაკლოვანებებზე მიუთითებს 2016 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების ეფექტიანობის ანგარიშიც. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აკრედიტაციის პროცესის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ აკრედიტაციის სტანდარტებს არ აქვს შეფასების ცხადი და გაზომვადი ინდიკა-

ტორები, რაც, ბუნებრივია, ვერ უზრუნველყოფს სტანდარტის დაკმაყოფილების შეფასებას აკრედიტაციის ექსპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოს წევრების მიერ (ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2016). ანგარიშში პირდაპირ არის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქართული უსდ-ების 80% სტანდარტთან შესაბამისობის დასამტკიცებლად სრულიად არარელევანტურ მტკიცებულებებს წარადგენს, რომელსაც, თავის მხრივ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იღებს, როგორც ოფიციალურ დოკუმენტს (იქვე, გვ. 29). სახელმწიფო აუდიტის ანგარიში აკრედიტაციის პროცესის სხვა ისეთ დარღვევებსაც ასაჯაროებს, როგორიცაა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის სიმცირე და შესაფასებელ დარგთან მათი პროფესიული შეუსაბამობა (აკადემიური პროგრამების აკრედიტაციის ვიზიტების 29%-ის შემთხვევაში), დროის სიმცირე ექსპერტების უსდ-ში ვიზიტისას (მინიმალურ 5 დღეზე ნაკლები), რაც, ფაქტობრივად, პროგრამის ადეკვატური შეფასების შესაძლებლობას გამორიცხავს (იქვე, გვ. 5).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამული აკრედიტაციის მიმართულებით არა ერთი პრობლემა იკვეთება, კერძოდ: ა) აკრედიტაციის სტანდარტები არამკაფიო, ხოლო შეფასების ინდიკატორები ხშირ შემთხვევაში გაზომვადი არ არის (ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2016). საგულისხმოა ისიც, რომ აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი არ არის სახელმწიფოსგან ავტონომიური, რაც შესაძლოა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდეს მის გადაწყვეტილებებზე, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეწინააღმდეგება ENQA-ს სტანდარტს ცენტრის ავტონომიურობის შესახებ; ბ) აკრედიტაცია ხორციელდება მხოლოდ ადგილობრივი ექსპერტების მიერ, რაც ზრდის არა მხოლოდ მიკერძოებული, არამედ არაკვალიფიციური შეფასების რისკებს, ვინაიდან ხშირად ექსპერტიზა ტარდება დარგის არასპეციალისტების მიერ და აკრედიტაციის პროცესში ჩართული არ არიან საზღვარგარეთიდან მოწვეული ექსპერტები, აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი არ არის არც რომელიმე საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტოს კონსორციუმის წევრი

(დარჩია, 2013); თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს კონსორციუმებთან თანამშრომლობა და საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტოს მიერ გაცემული აკრედიტაციის აღიარების მექანიზმების ეროვნულ დონეზე დანერგვა ეროვნული ცენტრის სტრატეგიული გეგმის სამომავლო მიზნებშია წარმოდგენილი (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული გეგმა, 2013-2017. გვ. 18). გარდა ამისა, როგორც წინამდებარე ანგარიშის პირველ ნაწილში აღინიშნა, 2013 წლიდან ცენტრი არის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) აფილირებული წევრი და მისი სრული წევრობისკენ მიიღოთ.

აღნიშნული დარღვევებისა და პრობლემების აღმოსაფხვრელად მიზანშენონილია პროგრამული აკრედიტაციის ინტერნაციონალიზაცია, უფრო ზუსტად კი საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა აღნიშნულ პროცესში, რაც სახელმწიფოს განათლების განვითარების სტრატეგიის ნაწილსაც წარმოადგენს (საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020). ისიც უნდა ითქვას, რომ გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში, რომელიც ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრის ფუნქციონირებას აფასებს პროგრამული აკრედიტაციის თვალსაზრისით, მოხსენიებულია წარმატებული შემთხვევა, როდესაც იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტში „ადიქციის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას საერთაშორისო თანამშრომლობამ (USAID, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს – CDA, წამლებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ევროპულ ცენტრსა – EMCDDA და ჩარლზის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით) დადებითი გავლენა მოახდინა აკრედიტაციის პროცესზე: უნივერსიტეტმა სრულად და ეფექტურად წარმოადგინა აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც ზოგადად აკრედიტაციის პროცესის სერიოზული პრობლემაა საქართველოში (ეფექტურიანობის აუდიტის ანგარიში, 2016). აკრედიტაციის პროცესის

ინტერნაციონალიზაციის კიდევ ერთი თვალსაჩინოებაა 2015 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამის – „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების“ – აკრედიტაცია, რომელიც საერთაშორისო პიზნესის ადმინისტრირების აკრედიტაციის ფონდის (Foundation for International Business Administration Accreditation – FIBAA) მიერ გაიცა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015).

თუმცა ზემოხსენებულ ორ შემთხვევას შორის ფუნდამენტური განსხვავებაა: მართალია, პირველ შემთხვევაში აკრედიტაციის პროცესში საერთაშორისო კომპონენტი ჩართული იყო (საერთაშორისო სტანდარტებისა და ინდიკატორების გამოყენება, უცხოელი ექსპერტების ჩართვა და ა.შ.), თავად აკრედიტაციის დასტური ეროვნული ცენტრის მიერ გაიცა. მეორე შემთხვევაში კი აკრედიტაცია არა ეროვნული ცენტრის, არა ამედ აკრედიტაციის საერთაშორისო სააგენტოს მიერ განხორციელდა. ეს უკანასკნელი საკმაოდ რთული პროცესია, ვინაიდან მოითხოვს დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს: პროგრამის, მისი სილაბუსების, სხვა თანმდევი დოკუმენტაციის ინგლისურ ენაზე თარგმნა-წარდგენას, საერთაშორისო აკრედიტაციის საფასურის გადახდას, რაც მნიშვნელოვნად აღმატება ეროვნული ცენტრის საფასურს და ა.შ. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სააგენტოს მიერ გაცემული აკრედიტაცია ან თუნდაც აკრედიტაციის პროცესში ინტერნაციონალიზის კომპონენტის ჩართვა მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული პრობლემების თავიდან ასაცილებლად და განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხარისხის უზრუნველყოფის ერთადერთი გარე მექანიზმი საქართველოს უსდ-ებში აკრედიტაცია-ავტორიზაციის პროცესია, რომელსაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი კურირებს. შიდა შეფასების კომპონენტს კი მხოლოდ ყოველწლიური პროგრამული თვითშეფასების ანგარიშები წარმოადგენს, რომლებიც ასევე ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესთანაა დაკავშირებული: აკრედიტაცია, როგორც შეფასების გარე მექანიზმი, უსდ-ს

მიერ მოწოდებული პროგრამული თვითშეფასების ანგარიშების ნამდვილობას და სტანდარტებთან შესაბამისობას ადასტურებს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი).

სამიზნე უნივერსიტეტებიდან მიღებული რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, შიდა შეფასებას პროგრამული თვითშეფასების ანგარიშების მომზადების გზით ყველა სამიზნე უნივერსიტეტი ახორციელებს. შიდა თვითშეფასების წელიწადში ერთხელ განხორციელება აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ უსდ-ებისთვის დაკისრებული პირდაპირი ვალდებულებაა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №65/6, 04/05/2011) და აკრედიტებულ პროგრამაში ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების ფორმალურ აღწერას წარმოადგენს (ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2016). გარდა სავალდებულო ყოველწლიური შიდა თვითშეფასებისა, საქართველოში მოქმედ უსდ-ებს ხარისხის უზრუნველყოფა ევალებათ სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის სისტემატური შეფასების გზით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტში დასაქმებული პირები და თავად სტუდენტები და რომლის შედეგებიც საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 25, პუნქტი 1). ჩვენი კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ჯიპა) შიდა შეფასების პროცედურას 1995 წლიდან ახორციელებს, თავისუფალი უნივერსიტეტი – 2005 წლიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ტექნიკური უნივერსიტეტი – 2007 წლიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი – 2011 წლიდან. შიდა შეფასებაში მონაწილეობენ როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ისე სტუდენტები. სავალდებულო პროგრამული თვითშეფასების გარდა, თითქმის ყველა უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის ისეთ შიდა მექანიზმებს, როგორებიცაა: სტუდენტების საუნივერსიტეტო გარემოთი და სწავლების ხარისხით კმაყოფილების კვლევა, კონკრეტული სასწავლო კურსითა და აკადემიური პერსონალით კმაყოფილების

კვლევა, დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევა და სხვ. თუმცა აღსანიშნავია, რომ კვლევის მონაწილე უსდ-ების ოფიციალურ ვებგვერდებზე ინფორმაცია ჩატარებულ კვლევებსა და კვლევის შედეგებზე საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. ასევე, სადაცომ, რამდენად სისტემატურად ტარდება ზემოხსენებული ტიპის შიდასაუნივერსიტეტო კვლევები და რამდენად სწორად არის განსაზღვრული ხარისხის შესაფასებელი კრიტერიუმები. ცალკე განხილვის თემაა, თუ რამდენად/როგორ ხდება მიღებულ შედეგებზე რეაგირება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და, ზოგადად, რა გავლენა აქვს მსგავსი ტიპის შეფასებებს განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ სახელმწიფო აუდიტის (2016) ანგარიშის თანახმად, კვლევის სამიზნე სახელმწიფო უნივერსიტეტებში წლების განმავლობაში სტუდენტების მიერ იდენტიფიცირებულ პრობლემებზე რეაგირება არ ხდება და შესაბამისად, „საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას არ აქვს ქმედითი და სისტემური ხასიათი“ (გვ. 47).

რაც შეეხება ხარისხის გარე შეფასებას, კვლევაში მონაწილე უსდ-ების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შემთხვევაში გარე შეფასება მხოლოდ სავალდებულო აკრედიტაცია-ავტორიზაციის პროცედურებით შემოიფარგლება. დანარჩენი უნივერსიტეტების შემთხვევაში (თსუ, თავისუფალი უნივერსიტეტი და ილიაუნი), რომლებიც აცხადებენ, რომ გარე შეფასებას საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით ახორციელებენ, ვერ აკონკრეტებენ იმ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება ზემოხსენებული შეფასება. ასევე ბუნდოვანია, რა სიხშირით (რამდენ ხანში ერთხელ) აკეთებენ ეს უნივერსიტეტები ხარისხის გარე საერთაშორისო შეფასებას. მაგალითად, თსუ აცხადებს, რომ დამოუკიდებელ გარე შეფასებას 2010 წლიდან ახორციელებს ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით; თავისუფალი უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ გარე შეფასება 2005-2011 წლებში განახორ-

ციელა საერთაშორისო დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის, კერძოდ კი, „დინამიკურ საზოგადოებებში მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის“ (International Association for Management Development in Dynamic Societies (CEEMAN IQA)) ჩართულობით. გარდა სტუდენტებისა და პერსონალისა, აღნიშნულ შეფასებაში მონაწილეობა მიიღო დამსაქმებელთა ჯგუფმაც, თუმცა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები ჩვენთვის უცნობია; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გარე შეფასება ხორციელდება 2014 წლიდან და ფასდება მხოლოდ აკადემიური პროგრამები, მათი კურიკულუმები და არა მთლიანად უნივერსიტეტი. რაც შეეხება საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (ჯიპა), გარე შეფასება ხორციელდება 2005 წლიდან, ყოველ ხუთ წლიწადში ერთხელ, თუმცა ადგილობრივ დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ. შეფასებაში მონაწილეობენ სტუდენტები, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. თავად შეფასების კრიტერიუმებად მითითებულია შეფასების ისეთი ზოგადი კრიტერიუმები, როგორებიცაა შეფასებაში მონაწილე სუბიექტების განწყობები, დამოკიდებულებები, უნივერსიტეტის არჩევის კრიტერიუმები, მოტივატორები და ბარიერები.

ცხადად ჩანს, რომ, თუ არ ჩავთვლით სახელმწიფოს მიერ დაწესებული აკრედიტაციის (და ავტორიზაციის) პროცედურას, კვლევის სამიზნე უნივერსიტეტებში ხარისხის შიდა და გარე შეფასება არასისტემატურად და არასტრუქტურირებულად ხორციელდება. აღნიშნული სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ვინაიდან, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) სტანდარტებისა და კრიტერიუმების მიხედვით, ხარისხის შეფასება დინამიკურ პროცესს უნდა წარმოადგენდეს და არა ერთჯერადად განხორციელებულ აქტივობას, ხოლო შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ანგარიშები ღიად ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისთვის (ENQA, 2009).

## **უგაღლესი განათლება და კვლევა**

ბერგენის სამიტზე ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნებმა წინა პლანზე წამოსწოებს განათლებასა და კვლევას შორის მჭიდრო კავშირის საჭიროება. აკადემიურ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სწავლების ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით, ასევე ეპროპული სივრცის კონკურენტუნარიანობის გაზრდის კუთხით. კვლევის მნიშვნელობის ხაზგასმამ წინა პლანზე წამოსწია დოქტორანტურის საფეხურის მნიშვნელობაც, რომელიც მოიცავს როგორც სწავლების, ისე კვლევის კომპონენტებს. გადაწყდა, რომ დოქტურანტურის კვალიფიკაციები სრულ თანხვედრაში უნდა იყოს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციებთან. შესაბამისად, ხაზი გაესვა სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების დანერგვისა და სადოქტორო განათლებაში ინტერდისციპლინური და ინტერსექტორალური მიდგომების აუცილებლობას (Leuven Louvain-la-Neuve Communiqué, 2009). ინდივიდუალური დოქტორანტურისგან განსხვავებით, რომელიც გულისხმობს კანდიდატის მიერ დამოუკიდებლად მუშაობას დისერტაციაზე ერთი ან ორი უფროსი მეცნიერის ხელმძღვანელობით, სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა, გარდა კვლევის ინდივიდუალურად ჩატარებისა, ასევე მოიცავს ტრანსფერული უნარების განსავითარებლად საჭირო კურსების (მაგ., კვლევის მეთოდები, ინფორმაციული ტექნოლოგიები) და სადოქტორო თემისთვის რელევანტური თემატური კურსების ინკორპორირებას სადოქტორო პროგრამაში (Dublin Institute of Technology, 2010).

კვლევისა და სწავლების ინტეგრაცია განისაზღვრა, როგორც ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორი თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევების დასაკმაყოფილებლად, ვინაიდან სწორედ ამ ორი კომპონენტის კავშირითაა შესაძლებელი ცვალებადი კვლევითი პრიორიტეტების ასახვა და ახლად აღმოცენებული დისციპლინების განვითარება (Bucharest Communiqué, 2012). შესაბამისად, შემუშავდა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის განვითარებისთვის ინოვაციური სადოქტორო ტრენინგის პრინ-

ციპები, რომლებიც „ზალცბურგის პრინციპების“ სახელითაა ცნობილი (Bologna Seminar, 2005). „ზალცბურგის პრინციპები“ მოიცავს ათ ძირითად დებულებას, რომელთა ერთობლიობაც ხელს უწყობს კვლევისა და სწავლების მჭიდრო ინტეგრაციას: ცოდნის გაღრმავება ინოვაციური კვლევის საფუძველზე; სადოქტორო საფეხურის განვითარებისთვის საჭირო ინსტიტუციური სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავება; მრავალფეროვანი სადოქტორო პროგრამების, განსაკუთრებით კი ერთობლივი სა-დოქტორო პროგრამების დანერგვა; დოქტორანტების სტატუსის განსაზღვრა, როგორც დამწყები მკვლევრებისა (და არა სტუ-დენტებისა), რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ახალი ცოდნის ფორმირებაში; სუპერვიზისა და შეფასების გად-ამწყეტი მნიშვნელობა (პასუხისმგებლობის თანაბრად გადან-აწილება დოქტორანტზე, ხელმძღვანელსა და თავად ინსტიტუ-ციაზე); სადოქტორო პროგრამების „კრიტიკული მასის“ შექმნა; სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობის განსაზღვრა; ინო-ვაციური სტრუქტურის შექმნა კვლევის ინტერდისციპლინური კომპონენტის დანერგვის გზით; მობილობის გაზრდა; და სათა-ნადო დაფინანსების უზრუნველყოფა. აქვე უნდა განიმარტოს, რომ „კრიტიკული მასა“ ნიშნავს კვლევის მრავალფეროვანი, ინოვაციური პრაქტიკების დანერგვას, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო თანამშრომლობას; თუმცა ის არავითარ შემთხვევაში გულისხმობს კვლევების რაოდენობას, არამედ – ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე განხორციელებული კვლევების ხარისხს (იქვე, გვ. 3).

2010 წელს მოხდა „ზალცბურგის პრინციპების“ გადახედვა და მათთვის კონკრეტული განზომილებების დამატება, რასაც „ზალცბურგი II რეკომენდაციები“ ეწოდა (Salzburg II Recommen-dations, 2010). ახალი პაკეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სადოქტორო პროგრამები პრინციპულად განსხვავებული უნდა იყოს სა-ბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებისგან. აღნიშნული მოიცავს როგორც შინაარსობრივ, ისე სტრუქტურულ განსხ-ვავებებს პირველი ორი საფეხურისგან. თუმცა აქვე ხაზგას-

მულია, რომ სადოქტორო საფეხურზე გადამწყვეტი სიტყვა აკადემიურ პერსონალს ეთქმის, და არც სახელმწიფოს და არც თავად უნივერსტეტის მიერ არ უნდა ხდებოდეს კონკრეტული სტრუქტურების დანერგვა და თავს მოხვევა აკადემიური პერსონალისა და მათი დოქტორანტებისთვის. „ზალცბურგის პირნციპების“ მეორე სარეკომენდაციო პაკეტში ასევე ხაზგასმულია რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება, როგორიცაა: კრედიტების მოქნილი სისტემის დანერგვა სადოქტორო საფეხურზე, რაც გულისხმობს, რომ, ვინაიდან რთულია კვლევის ასახვა კრედიტებსა და დოქტორანტის დატვირთვაში, ამიტომ აღნიშნული სისტემის გამოყენება სადოქტორო საფეხურზე გაცილებით უფრო მარტივად და მოქნილად უნდა ხდებოდეს; სადოქტორო საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს რეფერირების პრინციპით (peer-review) დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით (რეფერირება განხორციელდეს იმავე დარგის წარმომადგენლის მიერ); სადოქტორო საფეხურზე ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის დანერგვა/განხორციელება; ინტერსექტორალური თანამშრომლობის წახალისება, რაც გულისხმობს უნივერსიტეტების თანამშრომლობის გაღრმავებას არააკადემიურ პარტნიორებთან ერთობლივი კვლევების განხორციელების გზით.

სადოქტორო ტრენინგის განვითარების თვალსაზრისით, ბოლონიის სხვადასხვა ნორმატიულ დოკუმენტებში ხაზგასმულია „ტრანსფერული უნარების“ განვითარების მნიშვნელობა, ინტერ- და მულტიდისციპლინური მიდგომების ინკორპორირება კვლევაში და დამსაქმებელთა სექტორის ჩართულობის გაზრდა სადოქტორო ტრენინგების პროცესში, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე მორგებული დოქტორანტურის განვითარებასა და კურსდამთავრებულთა ადაპტირებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ამ ყველაფრის ხელშემწყობ საშუალებად კი მოიაზრება უნივერსიტეტებს შორის სპეციალური სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება სადოქტორო სკოლების (doctoral schools, graduate schools) სახით (Report of Mapping Exercise on Doctoral Training in Europe, 2011).

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, საქართველოში სწავლებისა და კვლევის ერთმანეთთან ინკორპორირების პროცესი 2005 წლიდან, ქვეყანაში ბოლონიის პროცესის დანერგვის პერიოდიდან დაიწყო, როდესაც საბჭოთა პერიოდში გავრცელებული „ასპირანტის“ სტატუსის აღიარება და გათანაბრება მოხდა დოქტორის ხარისხთან (EPPM, 2008). დღეს საქართველოში არსებული 75 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან 31 ახორციელებს სადოქტორო სწავლებას (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი). რიცხობრივი თვალსაზრისით, ეს მაჩვენებელი გაზრდილია 2012 წელთან შედარებით (2012 წელს 58 უსდ-დან 26 ახორციელებდა დოქტორანტურის საფეხურს (ჯავახიშვილი, 2012)), თუმცა თუ პროცენტულ განაწილებას შევხედავთ, ეს მაჩვენებელი შემცირებულია – 2016 წელს – 41%; 2012 წელს – 45%. რაც შეეხება დოქტორანტების რაოდენობას, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, წლების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება, თუმცა 2011 წლიდან დაფიქსირდა მკვეთრი კლება, რაც, სავარაუდოდ, დაკავშირდულია ე.წ. „მილევადი პროგრამების“ დასრულებასა და დოქტორანტურის ახალ სტანდარტზე გადასვლასთან. აქვე საინტერესოა ის ფაქტი, რომ მიუხედავად დოქტორანტების დიდი რაოდენობისა საქართველოს უნივერსიტეტებში, სადოქტორო საფეხურის კურსდამთავრებულთა რაოდენობა საკმაოდ დაბალია (იხ. ცხრილი 1.1).

#### ცხრილი 1.1. დოქტორანტების განაწილება საქართველოს უნივერსიტეტებში

	2007	2008	2009	2011	2012	2013	2014	2015
დოქტორანტების რიცხობობა, სულ	786	1588	2986	4266	3040	3213	3410	3765
დოქტორანტურის კურსდამთავრებულები, სულ	101	41	109	270	406	450	349	369

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამ განსვლის მიზეზად რამდენიმე ფაქტორი შეიძლება განვიხილოთ, როგორიცაა სტუდენტების დასაქმებულობა დოქტორანტურაში სწავლასთან ერთად, უნივერსიტეტების მოუმზადებლობა, დაქმარონ დოქტორანტებს კვლევის განხორციელებაში (ჯავახიშვილი, 2012), აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების არაპროპორციული განაწილება (როდესაც ერთი ხელმძღვანელი ბევრ დოქტორანტს ხელმძღვანელობს), დოქტორანტებისა და მათი ხელმძღვანელების ურთიერთობების ფორმალური ხასიათი, დისერტაციის შეფასების მოუქნელი სისტემა, როდესაც დოქტორანტს საშუალება არ ეძლევა, რეცენზიტის შენიშვნები გაითვალისწინოს, დაფინანსების ნაკლებობა, დარგობრივი კურსების არარსებობა და ა.შ. (გურჩიანი და სხვ., 2014).

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია დოქტორანტურის საფეხურის არასათანადო დაფინანსება როგორც უნივერსიტეტების, ისე სახელმწიფოს მხრიდან. საქართველოს უნივერსიტეტების დიდ ნაწილში დოქტორანტურა ფასიანია, ხოლოს თანხის ალკაცია უნივერსიტეტების ბიუჯეტებიდან დოქტორანტის კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისთვის, როგორც წესი, არ ხდება. ამასთან დაკავშირებით განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის 2013 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №65/6 პროგრამის მიზნებზე, შედეგებსა და მათ პროგრამასთან შესაბამისობაზე საუბრისას საერთოდ არ ითვალისწინებს კვლევის კომპონენტს. აღნიშნულ ბრძანებაში ნახსენები არ არის არც საუნივერსიტეტო და არც დოქტორანტის კვლევა, ზოგადად კვლევის ხელმძღვანელობის ან განვითარების სტრატეგიები. საერთო ჯამში, უნივერსიტეტში დაფინანსებული კვლევა (მაგ., კვლევითი ბლოკები) საერთოდ არ მოიაზრება დოქტორანტურის საფეხურის განხორციელების წინაპირობად და მეტიც, დოქტორანტურის საფეხურზე შეფასებისა და კრედიტების იგივე პრინციპები ვრცელდება,

რაც უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე. ასეთი მარტივი რეგულაციის პირობებში საქართველოში მოქმედმა უსდ-ებმა ასევე მარტივად შეძლეს დოქტორანტურის საფეხურის შემოღება და შესაბამისად, ავტორიზაციის (უსდ-ს სტატუსის) წარმატებით მიღება (ბაქრაძე, 2013).

დოქტორანტურის განვითარების მნიშვნელობაზე აქცენტს აკეთებს წინამდებარე კვლევაში მონაწილე აკადემიური და ად-მინისტრაციული პერსონალიც. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტებში კვლევისა და სწავლების განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ ორს შორის მჭიდრო კავშირის არსებობა. მათი თქმით, თუ თანამედროვე კვლევების წარმოების საფუძველზე არ შეიქმნა ახალი ცოდნა, სწავლების პროცესი ჩიხში შევა და ბუნებრივია, ველარ განვითარდება. ჩვენი რესპონდენტებიც ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ძალიან ზოგადად არეგულირებს დოქტორანტურის საფეხურს მაშინ, როცა საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე რეგულაციები გაცილებით ზუსტია. რესპონდენტები ასევე საურობენ აკრედიტაციის სტანდარტების შეუსაბამობაზე დოქტორანტურის საფეხურის მოთხოვნებთან და აღნიშნავენ, რომ სადოქტორო პროგრამების აკრედიტაცია კრედიტების ჯამური ოდენობის შემონმებით შემოიფარგლება და არავინ აფასებს მის შინაარსობრივ ღირებულებას.

„საბოლოო ჯამში, შეიძლება სასწავლო პროცესში მეტი წინსვლა გვქონდეს, ვიდრე მეცნიერებაში, მაგრამ თუ ამ ორ პროცესს შორის ბუნებრივი კავშირი არ დამყარდა, რაღაც ეტაპზე პროგრესი გაჩერდება“. (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

„არავინ სვამს კითხვას, შინაარსობრივად პროგრამას აქვს თუ არა ხარვეზი, შინაარსი შეფასებიდან ამოვარდნილია. ავტომატურად გამოდის, რომ ძალიან ზედაპირულ დონეზე ამონმებენ: რამდენკრედიტიანია, არის თუ არა კრედიტების ჯამი ამ შემთხვევაში 180, ვინ მონაწილეობს პროგრამაში და მსგავსი“. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

დოქტურანტურის საფეხურის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს, უპირველესად, საჯარო უნივერსიტეტებისთვის მიზნობრივი დაფინანსების (ბლოკგრანტები) უზრუნველყოფას და ნორმატიული ბაზის მოწესრიგებას (დოქტურანტურისთვის აკრედიტაციის განსხვავებული სტანდარტის დადგენა, რომელიც რეალურად ორიენტირებული იქნება კვლევის ხარისხის ამაღლებაზე, სამეცნიერო კვლევების ხარისხის შეფასების მექანიზმების დანერგვა და სხვ.), დღემდე არ განხორციელებულა (ბაქრაძე, 2013, გვ. 22). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში, დოქტორანტურის დაფინანსების მიმართულებით მდგომარეობა იცვლება. 2013 წლიდან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი აცხადებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსს, რომლის ბიუჯეტიც წლიდან წლამდე იზრდება (იხ. ცხრილი 2.2).

**ცხრილი 2.2 რუსთაველის ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში დაფინანსებული პროექტების რაოდენობა წლების მიხედვით**

წელი	მიღებული განაცხადები	დაფინანსებული პროექტები	ჯამური გაცემული თანხა (ლარი)
<b>2013</b>		135	1,741,201
<b>2014</b>	249	135	1,935,850
<b>2015</b>	376	87	2,560,886
<b>2016*</b>		76	

\* 2016 წლის შემთხვევაში მონაცემები არასრულია, რადგან ინფორმაცია სრულად გამოქვეყნებული არ არის.

წყარო: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წლიური ანგარიშები, 2013, 2014, 2015; ფონდის ვებგვერდი

გარდა ამისა, 2016 წლიდან ფონდმა გამოაცხადა სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების

განვითარების კონკურსი, რომლის ძირითად მიზანსაც წარმოადგენს კვლევის ხარისხის გაუმჯობესება და ახალი სამეცნიერო კადრების მომზადების უზრუნველყოფა ახალი სადოქტორო პროგრამების დანერგვის ან არსებული პროგრამების მოდერნიზაციის გზით (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი). ამ ეტაპზე კონკურსის შედეგები, დაფინანსებული პროგრამებისა და ჯამური ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია უცნობია, რადგან წინამდებარე ანგარიშის მომზადების პერიოდში კონკურსი დასრულებული არ იყო.

დოქტორანტურის დაფინანსებასთან დაკავშირებით წინამდებარე კვლევის სამიზნე უნივერსიტეტებიდან გამოვითხოვეთ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, დოქტორანტები, უმეტესწილად, თავად აფინანსებენ საკუთარ სწავლებას/კვლევას უნივერსიტეტებში. თსუ-ს შემთხვევაში არსებობს შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება, რომელიც 2015 წლიდან დაინერგა და გულისხმობს თითო ფაკულტეტი-დან 5-5 დოქტორანტის დაფინანსებას სწავლის საფასურისა და სხვა აქტივობების (მათ შორის საგრანტოს) დასაფარად (თსუ-ს რექტორის ბრძანება №126/01-01, 29/07/2015). საინტერესოა ისიც, რომ თსუ-ს შემთხვევაში სწავლის გადასახადი ვარირებს ფაკულტეტების მიხედვით და 150 ლარიდან 2250 ლარამდე მერყეობს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურა მთლიანად უფასოა 3 წლის განმავლობაში, თუმცა, თუ დოქტორანტმა ვერ მოახერხა დათქმულ ვადებში დისერტაციის დაცვა, მას ეკისრება ჯარიმა, რომელიც განსაზღვრულია 2250 ლარით. ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლა 2250 ლარი ღირს და დოქტორანტები თავადვე იფინანსებენ სწავლას. რაც შეეხება კერძო უნივერსიტეტებს, აღსანიშნავია, რომ ჯიპაში დოქტორანტურის გადასახადი არ აღემატება სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ დათქმულ გადასახადს და შეადგენს 2500 ლარს. დაფინანსების წყაროებიც იგივეა, რაც სახელმწიფო უნივერსიტეტების შემთხვევაში: თვითდაფინანსება, შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება და რუსთაველის ფონდის სადოქტორო გრანტები. რაც შეეხება სხვა სამიზნე კერძო უნი-

ვერსიტეტებს, აქ მდგომარეობა ოდნავ განსხვავებულია: თავისუფალ უნივერსიტეტში წლიური გადასახადი 4950 ლარია, ხოლო შავი ზღვის უნივერსიტეტში – 3540/4500 ლარი. ორივე უნივერსიტეტის შემთხვევაში სტუდენტები თავადვე იფინანსებენ სწავლის გადასახადს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ყველაზე მეტი დოქტორანტი სახელმწიფო უნივერსიტეტებს ჰყავთ: თსუ-ს – 2175 სტუდენტი, ილიაუნის – 624, ტექნიკურ უნივერსიტეტს – 771, ჯიპას – 67, თავისუფალ უნივერსიტეტს – 15, შავი ზღვის უნივერსიტეტს – 194. თუმცა ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ სწავლის გადასახადი ახდენს სტუდენტების რაოდენობაზე გავლენას. აქ გასათვალისწინებელია პროფესურის რაოდენობა, მიღების კრიტერიუმები, უნივერსიტეტის დასაქმების მაჩვენებელები და სხვ.

რაც შეეხება ზოგადად უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების განვითარებას, კვლევის რესპონდენტების შეფასებით, მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. აკადემიურ პერსონალს შორის აღინიშნა, რომ სოციალურ მეცნიერებებთან და სხვა თანამედროვე დარგებთან შედარებით, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები უფრო მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საბჭოთა პერიოდში მათი განვითარება ცალსახად პრიორიტეტული იყო. შესაბამისად, ძველი სისტემის პერიოდში დაგროვებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს თანამედროვე დროში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მეტი შესაძლებლობა და უფრო დიდი ასპარეზი მისცა. ზემოთქმულის თვალსაჩინოებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ სამეცნიერო გამომცემლობა Elsevier Scopus-ის ბაზაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იქნება მხოლოდ თსუ-ს 1933 წელს დაარსებული მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი „Transactions of A. Razmadze Mathematical Institute“, რაც უნივერსიტეტის ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო დარგის განვითარებისა და მისი თანამედროვე ეპოქაში ინტერნაციონალზაფირის კარგი მაგალითია.

„სხვადასხვა სფეროებში სხვადასხვანაირი მდგომარეობაა და ძალიან რთულია განაზოგადო. დარწმუნებული კარ, ბევრად უკეთესი მდგომარეობა იქნება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში იმის გამო, რომ უფრო მეტი გამოცდილება იყო ამ სფეროში და ამ გამოცდილების საფუძველზე დაშენება უფრო მეტად იყო მესაძლებელი“. (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

როდესაც სწავლებისა და კვლევის ხარისხის შეფასებაზე ვლაპარაკობთ, გარდა აკადემიური პერსონალის სუბიექტური შეფასებებისა, მნიშვნელოვანია კონკრეტული რაოდენობრივი მონაცემების განალიზებაც. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია სამიზნე უნივერსიტეტების მიერ სტრუქტურირებულ კითხვარზე დაყრდნობით მოწოდებული მონაცემები. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუერები მიზნობრივად მიღიოდნენ უნივერსიტეტებში სხვადასხვა დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან, უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი მონაცემების მოპოვება საკმაოდ გართულდა, დროში გახანგრძლივდა და ზოგჯერ შეუძლებელიც კი აღმოჩნდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტებში არ არსებობს ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტი, რომელიც სხვადასხვა რაოდენობრივი თუ თვისებრივი მონაცემების შეგროვებითა და ანალიზით იქნებოდა დაკავებული (და რასაც მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, როგორც ჩანს, არ აკეთებენ).

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ 2014 წელს გამოცემული ანგარიშის თანახმად, ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტის ფუნქცია არა მხოლოდ მონაცემების შეგროვება, არამედ მათი ანალიზია, რის საფუძველზეც ხდება უნივერსიტეტის სწავლებისა და კვლევის ხარისხის შეფასება, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება და გრძელვადიანი გეგმების დასახვა (უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების, დაგეგმვისა და ინსტიტუციური კვლევის ერთეულის დანიშნულება და მნიშვნელობა, 2014). უფრო მეტიც, საგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო სისტემების

არსებობის აუცილებლობა, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით იქნებოდა დაკავებული, განერილია ENQA-ს მიერ 2009 წელს შემუშავებულ დოკუმენტში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შესახებ, რომლის თანახმად, ინსტიტუციური ინფორმაციის ფლობა ხარისხის ეფექტიანი უზრუნველყოფის ამოსავალი წერტილია. აღნიშნული დოკუმენტი ხაზს უსვამს ისეთი ინფორმაციის შეგროვების აუცილებლობას, როგორიცაა სტუდენტების პროგრესისა და წარმატების ნიშნულები, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები, სტუდენტების კმაყოფილების დონე განვლილი პროგრამებით, მასწავლებელთა ეფექტურობა, სტუდენტების პროფილები, სასწავლო მასალები/წყაროები და მათი ხელმისაწვდომობა და თავად უნივერსიტეტების მიერ შემუშავებული ე.წ. „აკადემიური მოსწრების ინდიკატორები“ (key performance indicators). ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ამ ინფორმაციის ანალიზი ეხმარება უნივერსიტეტებს, არა მხოლოდ გაზომონ ზოგადად ინსტიტუციის ან სწავლებისა თუ კვლევის ეფექტიანობა, არამედ შეადარონ საკუთარი მონაცემები სხვა უნივერსიტეტების მონაცემებს, აღმოაჩინონ ნაკლოვანებები და მათ გაუმჯობესებაზე იზრუნონ (ENQA, 2009). საქართველოს უნივერსიტეტებში კი (რის თვალსაჩინო მაგალითიცაა კვლევის სამიზნე უნივერსიტეტები) ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტების არარსებობისა და მონაცემთა შეგროვების არასისტემური მექანიზმის პირობებში სტატისტიკური ან თვისებრივი მონაცემების არსებობა თავად უნივერსიტეტების თანამშრომელთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

## შემაჯამახელი მიმოხილვა

ყოველივე ზემოთ თქმული რომ შევაჯამოთ, ბოლონიის პროცესში ჩართვა და დასავლური გამოცდილების გამოყენება საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებისთვის გარდამტეხი მნიშვნელობის მოვლენაა, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან წახნაგს შეიცავს: 1) ეს არის ევროპასთან

და ევროკავშირთან ინტეგრაციის ერთ-ერთი გზა; 2) პოსტ-საბჭოთა წარსულისაგან თავის დაღწევის საშუალება უკეთესი დასავლური გამოცდილების გაზიარებით; 3) მტკიცნეული რეფორმების გატარების მარტივი გზა, როდესაც რეფერირება ხდება დასავლურ გამოცდილებაზე, რაც მოსახლეობისთვის „უკეთესის“ ტოლფასია და 4) საკუთარი სამეცნიერო აზრის გლობალურ არენაზე გატანის შესაძლებლობა, თუმცა ამისთვის ხარისხის სტანდარტის დაკმაყოფილება არის ერთ-ერთი წინაპირობა და, შეიძლება ითქვას, წინაღობაც. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესაძლებლობის თვალსაზრისით, ბოლონიის პროცესი სწორედაც რომ ევროპეიზაციის განუყოფელი ნაწილია, ვინაიდან საქართველო ნებაყოფლობით ჩაერთო ევროპის საგანმანათლებლო სივრცის მოდერნიზაციის პროცესში და თავისი საგანმანათლებლო სისტემაც ევროპული მოდელის მიხედვით გარდაქმნა. რაც შეეხება ბოლონიის პროცესის გამოყენებას ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად, ეს ეხმაურება ირონდელის მოსაზრებას „ევროპეიზაცია ევროკავშირის გარეშე“ (Irondelle, 2003 in Tsuladze et al., 2016), რომლის თანახმად, ქვეყანა ევროპულ ქვეყნებში დანერგილ რეფორმებს ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად იყენებს, თუმცა, ამავე დროს, ეროვნული საქმეების მოლოდინი აქვს ან სულაც არ ესწრაფვის მას (Tsuladze et al., 2016, გვ. 69). საქართველოს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ორივე მიდგომის კომბინაციასთან გვაქვს საქმე: ევროკავშირთან ინტეგრაციის გაცხადებულ სურვილსა და საშინაო პრობლემების მოგვარების მცდელობასთან.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, საქართველომ ფორმალურ დონეზე საკმაოდ წარმატებულად დანერგა ყველა ის ძირითადი ასპექტი, რომელსაც ბოლონიის პროცესი მოიცავს. კანონმდებლობაში გაიწერა ბოლონიის მთავარი მოხმავნები: ხარისხის ერთიანი სისტემის დანერგვა და საგანმანათლებლო საფეხურების განსაზღვრა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), რის საფუძველზეც საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ერთიანი ევ-

როპული სისტემის წევრად იქცა, ხოლო აქ მიღებული უმაღლესი განათლება აღიარება შესაძლებელია ევროპულ ქვეყნებში; კრედიტების სისტემის დანერგვა, რამაც შესაძლებელი გახადა სტუდენტებისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა სახელმწიფო და საუნივერსიტეტო დონეზე აკრედიტაცია-ავტორიზაციის სისტემისა და უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ამოქმედებით.

მიუხედავად ამისა, როგორც სხვადასხვა კვლევების, ასევე წინამდებარე კვლევის შედეგებიდან იკვეთება, ბევრი კომპონენტი მხოლოდ ფორმალურად შესრულდა და დახვეწასა და მოდერნიზებას საჭიროებს. მათ შორისაა თავად აკრედიტაციის სტანდარტების პრობლემა, რაც გამოიხატება მის ფორმალურ ხასიათში (აკადემიური პროგრამების მხოლოდ ფორმალური მახასიათებლებით შეფასება, ნაკლები აქცენტი შინაარსობრივ შეფასებაზე) და მიკერძოებული შეფასების საფრთხეში (აკრედიტაცია მხოლოდ ეროვნულ დონეზე ხორციელდება და მასში არ მონაწილეობენ საერთაშორისო ექსპერტები ან სააგენტოები). აკრედიტაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაკლია ის, რომ სტანდარტები მორგებული არ არის სადოქტორო პროგრამების სპეციფიკაზე და დღეს სადოქტორო პროგრამების აკრედიტაცია ზუსტად იმავე კრიტერიუმებით ფასდება, რომლებითაც ბაკალავრიატი და მაგისტრატურა, მაშინ როცა უმაღლესი განათლების პირველი და მეორე დონისგან განსხვავებით, დოქტორანტურაში აქცენტი კვლევაზე კეთდება და არა სწავლებაზე.

გარდა ამისა, პროგრამული აკრედიტაცია, ფაქტობრივად, გარე შეფასების ერთადერთი მექანიზმია და უნივერსიტეტები არ ან ფრაგმენტულად დგამენ ნაბიჯებს სხვა ტიპის გარე შეფასების დასანერგად, როგორიცაა, მაგალითად, უნივერსიტეტის მიერ დაქირავებული მოწვეული (ადგილობრივი ან/და საერთაშორისო) ექსპერტების ჯგუფი, რომლებიც რეგულარულად განახორციელებდნენ უნივერსიტეტის ხარისხის მონიტორინგს.

პრობლემები აღინიშნება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა  
მექანიზმებთან დაკავშირებითაც. კვლევის შედეგები ცხადყ-  
ოფს, რომ ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმები არასისტე-  
მურად ფუნქციონირებს: პერმანენტულად არ ხდება სტუდენ-  
ტებისა და პერსონალისგან უკუკავშირის მიღება (რაც კანონ-  
მდებლობითაც კია განერილი) და რაც მთავარია, ეს უკუკა-  
ვშირი არ აისახება განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.  
ამ დასკვნას ადასტურებს სახელმწიფო აუდიტის მიერ 2016  
წელს განხორციელებული კვლევაც. აღსანიშნავია ისიც, რომ  
ხარისხის შეფასების გარე და შიდა მექანიზმებს შორის კავ-  
შირი ნაკლებია, ვინაიდან გარე შეფასება (აკრედიტაცია) არ  
ეფუძნება შიდა შეფასების მექანიზმების ეფექტურობის შე-  
ფასებას და მხოლოდ ფორმალური ყოველწლიური თვითშე-  
ფასების კითხვარის შევსებით შემოიფარგლება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც, ბოლონი-  
ის პროცესით გათვალისწინებული ცვლილებების მიუხედავად,  
მაინც დგას საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის წი-  
ნაშე, არის სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციის ფორმალური  
ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტებში დაინერგა  
სადოქტორო საფეხური, ამ კომპონენტს თვისებრივად მაინც  
ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს, როგორიცაა, მაგალი-  
თად, დარგობრივი კურსების არარსებობა, ხელმძღვანელსა და  
დოქტორანტს შორის ურთიერთობის ფორმალური ხასიათი, და  
რაც მთავარია, დოქტორანტურის დაფინანსების პრობლემა. ის  
ფაქტი, რომ დაფინანსებული კვლევის არსებობა არ წარმოად-  
გენს დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობას და უნივერ-  
სიტეტებში ფრაგმენტულად ხდება კვლევის დაფინანსებისთ-  
ვის თანხების ალოკაცია, უარყოფითად აისახება საბოლოო  
პროდუქტის ხარისხზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ცხადია, რომ განათლების  
ხარისხის გასაზრდელად საჭიროა ქმედითი ნაბიჯები როგორც  
სახელმწიფოს, ისე თავად უნივერსიტეტების მხრიდანაც, რაც,  
პირველ რიგში, გულისხმობს ხარისხის შეფასების ეფექტიანი  
შიდა და გარე მექანიზმების ამოქმედებას.

## ნაილი II.

### სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ შიდა საუნივერსიტეტო გარემოსა და განათლების ხარისხის შეფასება

როგორც წინამდებარე ანგარიშის შესავალში აღინიშნა, კვლევის სამიზნე უნივერსიტეტებში ჩატარდა ფოკუსჯგუფების სერია უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებთან. ფოკუსჯგუფების ორგანიზება ემსახურებოდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ საუნივერსიტეტო სწავლების ხარისხის შეფასების კვლევას. თითო სამიზნე უნივერსიტეტში (გარდა ტექნიკური უნივერსიტეტისა და ჯიბასი) ჩატარდა ორი ფოკუსჯგუფი იმის დასადგენად, თუ რა ტრანსფორმაცია განი-ცადა უნივერსიტეტებმა წლების განმავლობაში, იქნია თუ არა ბოლონიის პროცესის შედეგად დანერგილმა რეფორმებმა გავლენა სტუდენტების შეფასებებზე. აღნიშნული ტენდენციის გამოსავლენად რესპონძენტები დავყავით შემდეგი პრინციპით: სტუდენტები, რომლებსაც უნივერსიტეტში სწავლა 2005-2010 წლებში მოუნიათ, და სტუდენტები, რომლებიც ან ამჟამად სწავლობენ, ან 2011-2016 წლებში დაამთავრეს უნივერსიტეტი.

კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა სამიზნე უნივერსიტეტების ერთმანთთან შედარება, არამედ ზოგადად იმის გაანალიზება, თუ რამდენად აისახება უმაღლესი განათლების რეფორმები თავად სტუდენტების დამოკიდებულებებზე საუნივერსიტეტო ცხოვრების მიმართ. შესაბამისად, წინამდებარე თავი დაყოფილია ოთხ ნაწილად სამიზნე უნივერსიტეტების მიხედვით. თავის მხრივ, თითოეული მათგანი დაყოფილია ქვეთავებად შემდეგი საკითხების მიხედვით: უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, სტუდენტთა მომსახურება და აკადემიური პროგრამების, პროფესორებისა და სწავლების ხარისხის შეფასება. ბოლოს, დასკვნის სახით წარმოდგენილია ფოკუსჯგუფების შედეგად გამოვლენილი ძირითადი საკითხების მიმოხილვა.

## **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

### **უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა**

ინფრასტრუქტურის შეფასებისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) კურსდამთავრებულები და სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სწავლისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები თსუ-ს პირველ კორპუსშია, რომელიც რამდენიმე წლის წინ გარემონტდა და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა, თუმცა არასაკმარისად. ხშირია შემთხვევები, როდესაც არ მუშაობს მიკროფონი, ან არ არის საკმარისი სკამები. დისკომფორტის გამომწვევია გაუმართავი საგენტილაციო და კონდიცირების სისტემა, რაც სალექციო პროცესს ნაკლებ ეფექტურს ხდის. ტექნიკური აღჭურვილობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა სხვა კორპუსებში.

„აუდიოტორიებში არის სკამების ნაკლებობა და სტუდენტებს უწევთ ფეხზე დგომა. თუ მოასწარი და წინ დაჯერი, მხოლოდ ამ შემთხვევაში არის ღერძის მოსმენის საშუალება. უკანა რიგებში ხშირად არ ისმის. პირველ კორპუსში არის ორმაგი ფანჯრები, რომლებიც ბოლომდე არ იღება და ზაფხულში ძალიან სიცხვა“.(მამრ., 2011-2016)

„ჩვენ გვაქვს შემთხვევა, მთელი 3-4 წლის მანძილზე არ გვაქვს პროექტორი, მერხზე ვდებთ სკამს და სკამზე ლეპტოპს, ასე ვატარებთ პრეზენტაციებს. ეს არის რეალური ფაქტი“. (მდედრ., 2011-2016)

რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული გამართვის თვალსაზრისით მოწესრიგდა თსუ-ს მესამე კორპუსიც, რომელიც ახლახანს გარემონტდა. თუმცა მათი შეფასებით, ცუდი მდგომარეობაა თსუ-ს სხვა კორპუსებში, მაგ.: მაღლივის კორპუსი, მეორე კორპუსი, სადაც მოუწესრიგებელია როგორც აუდიოტორიები, ისე სხვა სივრცე, როგორიცაა კაფეტერია, ტუალეტები და ა.შ. რესპონდენტების თქმით, ავარიულია მეოთხე და მეექვსე კორპუსები.

„არც ტექნიკურად იყო აღჭურვილი, სულ რაღაც 15 კომპიუტერი იყო და იქ იდგა რიგი“. (მდედრ., 2005-2010)

„სამნუხაროდ, ერთი სემესტრის გატარება მომინია მაღლივ კორპუსში და ეს არის დეპრესიის მაჩვენებელი ზამთარში, 9 საათზე იქ ასვლა. ყოველდღე მიწევს ასვლა, არის ძალიან ცუდი სიტუაცია, საჭმელს იქ ვერ შეჭამ, ტუალეტშიც იგივე პრობლემებია“. (მდედრ., 2011-2016)

რესპონდენტები ასევე ხაზს უსვამენ პრობლემებს, რომლებსაც შშმ პირები აწყდებიან უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული მოუწესრიგებლობის გამო. მათი თქმით, შშმ პირები-სთვის ადაპტირებული სივრცე მხოლოდ პირველ და მესამე კორპუსებშია, სადაც მათ აქვთ შესაძლებლობა, სართულებს შორის თავისუფლად გადაადგილდნენ.

„მხოლოდ პირველი კორპუსია ადაპტირებული ისე, რომ შშმ პირებისთვის სართულიდან სართულამდე გადაადგილება შესაძლებელი იყოს, სხვა კორპუსებში ასეთი სტუდენტის გადაადგილება უბრალოდ შეუძლებელია. მესამეში აკეთებენ ლიფტს [...] მეორე კორპუსის ფართი ამის სამუალებას ნამდვილად იძლევა. მე რამდენადაც ვიცი, მეოთხე და მეექვსე კორპუსი ისედაც ავარიულ მდგომარეობაშია და შეიძლება რამდნეიმე თვეში ჩამოინგრეს“. (მამრ., 2011-2016)

რაც შეეხება ბიბლიოთეკებსა და თანამედროვე ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობას, ამ მხრივაც ძირითადად თსუ-ს პირველი კორპუსი გამოირჩევა, სადაც განთავსებულია ახალი ბიბლიოთეკა. რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ ყველა ფაკულტეტს საკუთარი ბიბლიოთეკააქვთ, თუმცა იმის გამო, რომ ამ ბიბლიოთეკებში ლიტერატურა ძირითადად ინგლი-სურენოვანია, მათით სარგებლობა მხოლოდ იმ სტუდენტებს შეუძლიათ, რომელებმაც ენა იციან. შესაბამისად, სტუდენტებისთვის ყველაზე კომფორტული პირველი კორპუსის ბიბლიოთეკაა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებს დისკომფორტს უქმნის დაცვის მიერ პირველი კორპუსის საბიბლიოთეკო სივრცის გადამეტებული კონტროლი. რესპონდენტები უკმაყოფილებას გამოხატავენ იმასთან დაკავშირე-

ბითაც, რომ წიგნის ასლის გადალება და წიგნის ელექტრონულ ვერსიაზე ხელმისაწვდომობა ფასიანია.

„პირველი კორპუსის ბიბლიოთეკა მშვენიერია, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ, თუ რომელიმე წიგნის ასლის გადალება გჭირდება, პირველ კორპუსშივე გახდევინებენ ფულს, რაც, ჩემი აზრით, არასწორია. ყველა ფაკულტეტზე არსებობს ბიბლიოთეკა, მაგრამ ინფორმირების დონე ძალიან დაბალია და ძალიან იშვიათად სარგებლობენ სტუდენტები. ძირითადად უცხოენოვანი ლიტერატურაა, შეიძლება ამის გამოც არ სარგებლობენ. ასევე პირველი კორპუსის ბიბლიოთეკის პრობლემა ის არის, რომ ყველა წიგნის ელექტრონული ვერსია არსებობს, მაგრამ ამაში გახდევინებენ ფულს. ეს, ჩემი აზრით, არასწორი ფაქტია, ეს ყველასთვის უფასო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს“. (მდედრ., 2011-2016)

## სტუდენტთა მომსახურება

თსუ-ს სტუდენტები მომსახურების ხარისხზე საუბრისას განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიან. რესპონდენტების მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ მათთვის სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია, იქნება ეს სასწავლო პროცესთან თუ გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით, ელფონსტის ან მოკლე ტექსტში-რი შეტყობინების სახით მიდის. თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ ეს მხოლოდ კონკრეტულ მიმართულებებზე ხდება, დამოკიდებულია პიროვნებებზე, ტუტორებსა და კოორდინატორებზე და ამ მომსახურებას სისტემური ხასიათი არ აქვს. აღინიშნა ისიც, რომ ამ მხრივ მოწესრიგებულ მიმართულებებზეც კი სტუდენტების მომსახურებას სელექციურად ეწევიან და უპირატესობას ანიჭებენ თავისი მიმართულების ნარმომადგენელი სტუდენტების მხარდაჭერას.

„ჩემი მიმართულების [...] ადმინისტრაციის, ტუტორების ძალიან კმაყოფილი ვარ. მობილურზე მომდის ყველა მნიშვნელოვანი შეტყობინება და სმსტსუ-გე-ზე არის

განთავსებული ინფორმაცია“. (მდედრ., 2011-2016)

„სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე [დასახელებულია მიმართულება] უკეთესი ტურორები ჰყავთ იმ მხრივ, რომ უფრო მეტ ინფორმაციას აძლევენ, თუნდაც ეს-ეზ-ესის სახით. ჩვენ ერთგვარად ვაკუუმში ვართ, იქნება ეს სტაუირების პროგრამა თუ სხვა, კვლევაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია“. (მდედრ., 2011-2016)

„ვთქვათ სოც. პოლიდან ხარ და ჰუმინატულ ფაკულტეტზე რაღაც დაგჭირდა, ნაკლებ ყურადღებას გაქცევენ, რბილად რომ ვთქვათ“. (მამრ., 2011-2016)

ერთეული რესპონდენტებისგან განსხვავებით, კვლევის მონაწილეთა უმეტესობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული მართვის პრობლემებზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ თსუ-ს ადმინისტრაციული აპარატი იმდენად დიდი და დაქსაქულია, რომ ფაკულტეტებმა სრულად არც კი იციან უნივერსისტეტის ცენტრალური დეპარტამენტებისა და მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. პრობლემას ქმნის ისიც, რომ ფაკულტეტები გაფანტულია სხვადასხვა კორპუსში, მათ ადმინისტრაციებს შორის კოორდინაცია არასათანადოდ ხორციელდება და ინფორმაციის ოპერატორულად გავრცელება არ ხდება. შესაბამისად, სტუდენტების ერთი დეპარტამენტიდან მეორეში გადამისამართება კონკრეტული სერვისის მისაღევად ხშირად არასწორად ხდება, რაც სტუდენტებისთვის გრძელვადიან და არაეფექტურ პროცესად იქცევა ხოლმე.

„ადმინისტრაცია თსუ-ში ძალიან დიდი პრობლემაა. თუ გჭირდება რაღაც კონკრეტულის გაგება, ჯერ გაგიშვებენ ყველა ფაკულტეტზე. თურმე არსებობს სტუდენტების მომსახურების ცენტრი და ამის შესახებ სხვა უნივერსიტეტის ლექტორმა გვითხრა. ზუსტად ორი კვირა ვერებდით, სად ჰქონდათ ოთახი, რადგან არავინ იცოდა“. (მამრ., 2011-2016)

აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტები საუბრობენ უნივერსიტეტში არსებულ ნეპოტიზმსა და ფინანსურ მაქინაციებზე, რომლის კარგ საფუძველსაც უნივერსიტეტის მრავალგანყოფილებიანი სტრუქტურა ქმნის. ასეთ გარემოში კი სტუდენტებისთვის ახალი პროექტების რეალიზება, იქნება ეს კვლევა თუ კურიკულუმს მიღმა არსებული სხვა აქტივობა, შეუძლებელი ხდება.

„გაძერილია შტატები, რეალურად არაფერს აკეთებენ, ოცი ადამიანი მუშაობს იმ საქმეზე, რასაც რვა ადამიანიც გააკეთებს. თვითმმართველობიდანაც აქ იწყებენ მუშაობას, ეს არის კარიერული ნინსელა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში დაიწყო მუშაობა. იქ რას აკეთებენ, კაცმა არ იცის“. (მდედ., 2011-2016)

უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებზე საუბრისას რესპონდენტები ხაზგასმით გამოყოფენ ელექტრონული ბაზის ([sms.tsu.ge](http://sms.tsu.ge)) გაუმართაობის საკითხს. ერთი მხრივ, ბაზის ტექნიკური ხარვეზები, მეორე მხრივ, სასწავლო პროცესის არასათანადო ადმინისტრირება წლების განმავლობაში თსუ-ს სტუდენტებს საგნების არჩევის პრობლემას უქმნის და რაოდენობრივი შეზღუდვების გამო სტუდენტებისთვის საგნის არჩევა, ფაქტობრივად, „დასწრებაზეა“. ასეთ პირობებში საგანზე რეგისტრაცია განსაკუთრებით პრობლემურია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც მეორადი სპეციალობის ან სხვა ფაკულტეტის ფარგლებში ირჩევენ მას, რადგან ამა თუ იმ საგანზე დაწესებული საფაკულტეტო კვოტა საკმაოდ დაბალია და სტუდენტებს შორის „სარეგისტრაციო კონკურენცია“ კიდევ უფრო ძლიერდება. როგორც ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, პრობლემა სისტემური ხასიათისაა, რადგან პირდაპირ კავშირშია ფაკულტეტების დაფინანსების საკითხთან. კერძოდ, სტუდენტების მიერ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტზე მოტანილ სწავლის გადასახადი (სახელმწიფო დაფინანსება იქნება ეს თუ ინდივიდუალური) საბოლოოდ შეადგენს კიდევ საფაკულტეტო ბიუჯეტს, რომელიც მხოლოდ იმ ფაკულტეტს რჩება, რომელზეც სტუდენტი სწავლობს. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სხვა ფაკულტეტის

საგანს(ებს) ირჩევს, მისი მომსახურებისთვის ხარჯების გაწევა სწორედ მეორად ფაკულტეტს უწევს, რის თავიდან არიდება-საც ფაკულტეტები თუნდაც კვოტების დაწესებით ცდილობენ. ასეთი პრინციპით მოქმედება კი სტუდენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებაა.

„ფაკულტეტზე იმდენი სტუდენტია, რომ სხვა ფაკულტეტის სტუდენტები აღარ სჭირდებათ. ახლა სოციო-ლოგიაზე მხოლოდ ორი ადგილია გამოყოფილი სხვა ფაკულტეტისთვის. რა თქმა უნდა, წამიერად დამასწრო სხვამ და ვერ ავირჩიე. შემდეგ მივედი და ჩხუბი მომონია. თვითონ გადმოდიან აგრესიაზე, ფსიქოლოგს აქ რა გინდაო!“ (მდედრ., 2011-2016)

„მაინტერესებდა, ეს პრობლემა რატომ იყო და როგორც გავარკვიე, დაფინანსება მოდის ფაკულტეტების მიხედვით. მაგალითად, ჰუმანიტარი სტუდენტების დაფინანსება მოდის ჰუმანიტარების ფაკულტეტზე. როდესაც სტუდენტი მიდის სხვა (მეორად) ფაკულტეტზე, ლექტორი და აუდიტორია მან უნდა გამოუყოს, არადა ფული მიდის სხვის ფაკულტეტზე. ანუ ეს მხოლოდ მათი პრობლემაც არ არის“. (მამრ., 2011-2016)

## **აკადემიური პროგრამების, აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმისა და სასწავლო პროცესის შეფასება**

გარდა ინფაქტურულებისა და ადმინისტრაციული მომსახურებისა, მნიშვნელოვანია გავიგოთ, როგორ აფასებენ კულევის მონაწილე სტუდენტები და კურსდამთავრებულები თავად სასწავლო პროცესს, აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმსა და დამოკიდებულებას სტუდენტების მიმართ, აკადემიური პროგრამების შინაარსსა და კურიკულუმს მიღმა არსებულ სხვა აქტივობებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში ფოკუსჯგუფის მონაწილეთა ნარატივებში განსაკუთრებით გამოიკვეთა მათი უკმაყოფილება აკადემიური პერსონალის

მიმართ. რესპონდენტები პროფესორების არაპროფესიონალიზმის უჩივიან და აღნიშნავენ, რომ ამის გამომხატველი ერთ-ერთი მთავარი პრობლემა პროფესორების სტუდენტებთან დამოკიდებულებაა. მონაწილეებმა მრავალჯერ გაუსვეს ხაზი პროფესორების მხრიდან უთანასწორო და გულგრილ დამოკიდებულებას სტუდენტების მიმართ, რაც გამოიხატება, როგორც ცინიკური, სექსისტური და ჰომოფობიური განწყობებით, ისე სტუდენტებისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებით. კვლევის მონაწილეებს შორის აღინიშნა, რომ პროფესორების მხრიდან აგრესიული ქცევის გამოვლენა განსაკუთრებით მოსალოდნელია მაშინ, თუ სტუდენტები რაიმე ინიციატივას გამოხატავენ, თუნდაც აუდიტორიული მუშაობის ფორმატის ცვლილებასთან დაკავშირებით.

„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ ბევრი ლექტორი არის სექსისტი და ჰომოფობი. როდესაც იგებენ, რომ ქალთა უფლებებზე, ლგბტ თემზე და ა.შ. საკითხებთან დაკავშირებით გაქვს გამოცდილება ან კვლევას აკეთებ, დაინტერესებული ხარან სენსიტიური ხარ ამ თემების მიმართ, ეჭვის თვალით გიყურებენ; თითქოს გეუბნებიან, რომ გაიზრდები, უფრო მნიშვნელოვანი თემებით დაინტერესდებით. ასეთი დამოკიდებულება, ჩემი აზრით, ნამდვილად სამარცვინოა უმაღლეს სასწავლებელში“. (მდედრ., 2011-2016)

„ვართ სტუდენტების ისეთი ნაწილი, ვისაც გვინდა რაღაცის გამოსწორება. როდესაც ლექტორს ვუთხარით, რომ სემინარი და ლექციაზე ჯდომა არაფერს გვაძლევდა, ამიტომ დავწეროთ ესეები, ვიმსჯელოთ, მოვაწყოთ დისკუსიები-თქო, ლექტორი ძალიან გაღიზიანდა და ერთ-ერთ სტუდენტს უთხრა, მოკეტეო. მეორეს დაცინვა დაუწყო, შენ სწავლა არ გინდა და ფინალურების ჩაბარება არ გინდაო“. (მდედრ., 2011-2016)

ლექტორების პროფესიონალიზმის შეფასების არანაკლებ მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი დამოკიდებულება საკუთარ

პროფესიულ განვითარებასა და ცოდნის წარმოებასთან. ერთ-ერთ ფოკუსჯვეფში ხაზი გაესვა თსუ-ს პროფესორებს შორის ცოდნის გადაცემის მიმართ არასწორ, ნეგატიურ დამოკიდებულებას. კვლევის მონაწილე სტუდენტები და კურსდამთავრებულები საუბრობენ იმაზე, რომ თსუ-ში ლექტორებს არ სურთ სტუდენტებისთვის საკუთარი ცოდნის გაზიარება, რომ ლექტორებისთვის მიუღებელია, სტუდენტმა მათზე მეტი იცოდეს (მეტად ინფორმირებული იყოს), რის გამოც ლექციაზე სტუდენტებს აქტიურობის შესაძლებლობას არ აძლევენ და მათ მიერ დასმულ შეკითხვებზე ირონიული პასუხების გაცემით შემოიფარგლებიან. კვლევის მონაწილეებმა აღინიშნეს ისიც, რომ თსუ-ში გავრცელებული პრაქტიკაა, როდესაც პროფესორები ხელს უწყობენ აუდიტორიაში დომინანტური, უალტერნატივო აზრის ფორმირებას, რომელიც უნდა გაიზიაროს ყველა სტუდენტმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი, შესაძლოა, დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდეს.

„მე ვინც კარგი ლექტორი მყავდა, ყველა თანასწორად გვიყურებდა და არა ის, რომ ის ლექტორია, მეტი იცის და ზევიდან მიყურებს. კარგად ხსნიდა მასალას და თუ გააჩერებდი, რამეს კითხავდი, აგიხსნიდა და არ გეტყოდა, რომ დეგენერატი ხარ; თანამედროვე ცოდნა ჰქონდა თავის საგანძი, შეეძლო მრავალი სხვადასხვა გზით აეხსნა ერთი და იგივე რამ, არ იყო გადახტომაზე და მოცილებაზე“. (მამრ., 2005-2010)

„მე რასაც ვუყურებ, ლექტორებს ცოდნის მიმართ აქვთ ფაშისტური დამოკიდებულება. ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები გასწორისგან დამატებით გადასაცემან, რაც შეიძლება ნაკლები გალაპარაკონ ლექციაზე, რომ მათზე ჭკვიანი არ გამოჩნდე. ბევრჯერ მქონია შემთხვევა, როცა დასმულ კითხვაზე ლექტორისგან ირონიული და ცინიკური პასუხი მიმიღია. ცდილობს, დაგამციროს სხვა სტუდენტების თვალში, ვინმემ არ იფიქროს, რომ მისი თანაკურსელი უფრო ჭკვიანია, ვიდრე მისი ლექტორი“. (მდედრ., 2011-2016)

„ლექციებზე აზრის წარმოება შემდეგნაირად ხდება, იქმნება დომინანტური აზრი, რომელიც უნდა მოიწონოს ყველამ და იმ უმცირესობას, რომელსაც განსხვავებული აზრი აქვს, შეიძლება დასცინონ. მქონია ისეთი შემთხვევაც, რომ ლექტორები ხელს უწყობენ, რომ მხოლოდ დომინანტურ აზრს ვცეთ პატივი და ვინც უმცირესობაშია და განსხვავებული აზრი აქვს, ამ აზრის გათვალისწინება და გაუდერებაც კი არ ხდება“. (მდედრ., 2011-2016)

კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ თსუ-ში „ძველ“ და ახალგაზრდა ლექტორებს შორის ფუნდამენტური განსხვავებაა, რაც გამოიხატება შემდეგში: პირველი კატეგორიის ლექტორები ორიენტირებული არ არიან სილაბუსის განახლებაზე, სტუდენტებს აიძულებენ სალექციო მასალების „დაზუთხვას“, არ აინტერესებთ სტუდენტის აზრი და ლექციაში მისი აქტიური მონაწილეობა, ცდილობენ საკუთარი აზრის სტუდენტებისთვის თავს მოხვევას. მათ საპირისპიროდ, ახალგაზრდა ლექტორები ის კატეგორიაა, რომელიც სამუშაო დონეზე ფლობს ინგლისურ ენას და მუდმივად ზრუნავს სილაბუსის თანამედროვე ლიტერატურით განახლებაზე, არ შემოიფარგლება მხოლოდ თეორიული სწავლებით და აქტიურად იყენებს „ქეისებს“, რათა სწავლების პროცესი უფრო ინტერაქტიული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული იყოს. თუმცა ისიც აღინიშნა, რომ ახალგაზრდა ლექტორები ხშირად დადიან საზღვარგარეთ და აცდენენ ლექციებს, რაც სტუდენტებში უკმაყოფილებას იწვევს.

„იყო ლექტორების ორი კატეგორია: ძველი ლექტორები, რომლებიც არ იცნობენ თანამედროვე პროცესებს და სწავლების მეთოებს, არ გისმენენ, არ ითვალისწინებენ შენს აზრს, მონოგრაფურად კითხულობენ ლექციას. მრჩება შთაბეჭდილება, რომ სჭირდებათ მსმენელი, რომელსაც თავის აზრს მოახვევენ. მეორე კატეგორია არიან ახალგაზრდები, რომლებსაც განათლება მიღ-

ბული აქვთ უცხოეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, მაგრამ არასდროს აქვთ ლექციის დრო, სემინარზე მოსვლის დრო, სულ აგვიანებენ, სულ უცხოეთში არიან და ვერ გიტარებენ ლექციას, ამიტომ, რეალურად, ვერც მათგან ვიღებდით იმას, რაც უნდა მიგვეღო“. (მდედრ., 2011-2016)

„ლექტორების ბრალი ის არის, რომ არ ხდება სილაბუსების განახლება. მე რაც მინახავს, არის 3-4 წლის წინანდელი. ერთ-ერთ ლექტორთან დაკავშირებით ის არის საინტერესო, რომ ყოველ ჯერზე ანახლებს ლიტერატურას, თარგმნის. მისთვის ეს არის ძალიან ჩვეულებრივი მოვლენა, რადგან ევროპაში აქვს განათლება მიღებული და მას აქვს გამოცდილება, თუ როგორ კონტაქტობენ ლექტორები სტუდენტებთან და ცდილობს, რომ გადმოიტანოს, რაც ჩვენთვის არის ცოტა უცხო“. (მამრ., 2011-2016)

„არიან ლექტორები, რომლებიც ბევრ ინფორმაციას განვდიან, რაც არ გჭირდება და არც გახსოვს მეორე სემესტრში. არიან ლექტორები, რომლებიც უფრო მეტად პრაქტიკულ ინფორმაციას გაძლევენ და ეს უფრო მეტად გამახსოვრდება. შეიძლება ველზე არ გადიხარ, მაგრამ ეს მუშაობის პროცესი უფრო პრაქტიკულია, ვიდრე სხვების. თუნდაც ქეისები და თუნდაც ის, რომ ფინალურში ან შუალედურში კი არ გინერს ქულას, არამედ გაძლევს რაღაც თემას და ამ თემაზე შენ რაღაც ნაშრომს წარადგენ“. (მამრ., 2011-2016)

ალინიშნა ისიც, რომ პრაქტიკული სამუშაოების თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენენ ლექტორები, რომლებიც სწავლებასთან ერთად დამოუკიდებლად ახორციელებენ კვლევით პროექტებს, რომლებშიც სტუდენტებსაც რთავენ. თუმცა მსგავს პროექტებში ამა თუ იმ სტუდენტის ჩართულობის შესახებ გადაწყვეტილებას თავად ლექტორი იღებს საკუთარი შეხედულებიდან და სტუდენტებისადმი პირადი დამოკიდე-

ბულებიდან გამომდინარე, რაც არათანასწორ პირობებში აყენებს სტუდენტებს.

„ლექტორები, ვისაც თავისი კომერციული ან აკადემიური კვლევები ჰქონდა, ჯგუფში ირჩევდნენ სტუდენტებს, რომლის მიმართაც ჰქონდათ სიმპათია და ვინც ვსწავლობდით, გვრთავდნენ ამაში. ეს იყო მინიმალური ჩართულობა, მაგრამ პირველ და მეორე კურსზე ეს იყო ერთადერთი ნათელი წერტილი“. (მდედრ., 2005-2010)

კვლევასთან დაკავშირებით ხაზი გაესვა თსუ-ს ახალ ინიციატივას შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსებასთან დაკავშირებით. რესპონდენტების ინფორმაციით, გამოცხადდა საფაკულტეტო კვლევითი გრანტები, რაც, ერთი მხრივ, აშკარად პოზიტიურ მოვლენად ფასდება სტუდენტების მიერ, თუმცა, მეორე მხრივ, დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთანაც. სტუდენტებში უკმაყოფილებას იწვევს ის შეზღუდვა, რომ განაცხადის გაკეთების უფლება მხოლოდ პროფესორს აქვს მინიჭებული, რომელმაც რამდენიმე სტუდენტი უნდა ჩართოს კვლევაში. როგორც სტუდენტებმა თქვეს, ასეთი პირობები ხელს აძლევს ლექტორებს, რომ თავიანთთვის სასურველ თემებზე იმუშაონ, რაც, შესაძლოა, სტუდენტების უმრავლესობისთვის საინტერესო არ იყოს. გარდა ამისა, როგორც პროფესორის მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი კვლევების შემთხვევაში, აქაც ლექტორი თავად განსაზღვრავს იმ სტუდენტებს, რომლებსაც პროექტში ჩართავს, რამაც, შესაძლოა, პირადი სიმპათიისა და მიკერძოების საფუძველზე მიაღებინოს გადაწყვეტილება.

„ახლა გამოცხადდა თსუ-ში, რომ შეიძლებოდა სტუდენტს კვლევა ჩაეტარებინა პროფესორთან ერთად, მაგრამ განაცხადის შეტანის უფლება აქვს მხოლოდ პროფესორს. მე რა თემაც მაინტერესებს, სულ რომ დაუჩინე, იმაზე მაინც არ შეიტანს განაცხადს“. (მამრ., 2011-2016)

გარდა პროფესორების პროფესიონალიზმისა, თსუ-ს სტუ-

დენტები და კურსდამთავრებულები სხვა არანაკლებ მწვავე საკითხებზეც საუბრობენ. მათ შორის განსაკუთრებით პრობლემურად სახელდება თანამედროვე სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე არარსებობა. როგორც ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, უცხოენოვანი ლიტერატურა უარყოფითად მოქმედებს სტუდენტების მოტივაციაზე, კარგად ისწავლონ, რადგან ინგლუსურენოვან ტექსტებზე მუშაობა უჭირთ. ასეთ შემთხვევაში სტუდენტებს უწევთ მათი წინამორბედი სტუდენტების მიერ შექმნილი კონსპექტების გამოყენება, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება მიღებული განათლების ხარისხზე. მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ს სტუდენტებისთვის უცხოენოვანი ლიტერატურის საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას, ერთ-ერთმა სტუდენტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტში მიზანმიმართულად ხდება მთარგმნელობითი პროექტების „ჩაგდება“. მიუხედავად იმისა, რომ არ სახელდება კონკრეტული მიზეზი, კვლევის მონაწილემ მინიშნება გააკეთა ფინანსურ მაქინაციებზე უნივერსიტეტში, რის გამოც „კარგი პროექტები“ ყოველგვარი არგუმენტაციისა და ახსნა-განმარტების გარეშე იბლოკება.

„ადმინისტრაციაში ვიკითხეთ, თუ რატომ დაბლოკეს პროექტი და პასუხი რეალურად ვერ გავიგეთ. ზოგი ამბობდა, რომ ხელს ვუშლით სტუდენტთა მომსახურებაში. მე ვერ ვხვდები, ჩვენი თარგმნილი წიგნი რა შუაში იყო ამათ მომსახურებასთან. ზოგი ამბობდა, რომ ამას ჰქონდა გარკვეული ბიზნეს გათვლა, ჩვენ კი არ გვქონდა არანაირი ფინანსური ინტერესი. ჩვენმა უნივერსიტეტმა დაბლოკა უნივერსიტეტისთვის კარგი პროექტი“. (მამრ., 2011-2016).

რაც შეეხება თსუ-ში აუდიტორიული (სალექციო) მუშაობის ფორმატსა და სწავლების მეთოდებს, ფოკუსჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობას ამ მხრივაც კრიტიკული დამოკიდებულება აქვს. როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, სალექციო საათებზე მათ არ აქვთ აკადემიური მუშაობის შესაძლებლობა, რაც გულისხმობს პროფესორებთან ერთად სასწავლო მასალის ირ-

გვლივ ანალიტიკური მსჯელობის განვითარებას, საკითხების კრიტიკულ გააზრებას და ლექტორსა თუ სხვა დამსწრე სტუ-დენტებთან ლია დისკუსიის რეჟიმში კომუნიკაციას. ამის ნაცვ-ლად, სტუდენტები სწავლას კვლავ „სასკოლო სისტემაში“ გა-ნაგრძობენ, რაც გამოიხატება იმაში, რომ ლექტორები ლექცი-აზე სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას მშრალად ჰყვები-ან და როგორც ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, „მონოლოგს კითხულობენ“, რომელიც სემინარზე ასევე მშრალად უნდა ჩააბარონ ლექტორს, ინდივიდუალური რეფლექსის გარეშე.

„უნივერსიტეტში უფრო თავისუფალ აკადემიურ გარე-მოს ველოდი; ველოდი, რომ დაზეპირების გარდა იქნე-ბოდა ფიქრი და გააზრება, რასაც ქვეყანაში ყველაზე დიდი და ძველი უნივერსიტეტისგან უნდა ელოდო. იმაზე არაფერს ვამბობ, რომ ლექტორებს მომზოდებინათ ახა-ლი მასალა, რომ ერთის გარდა სხვა წიგნი და ავტორებიც არსებობენ, რომ შეიძლება უფრო ფართო აზროვნება და არა საკითხის მხოლოდ ერთი მხრიდან განხილვა. არა-ვის აინტერესებდა, შენ რას ფიქრობ, არავინ გეკითხებო-და აზრს, ბავშვები დგებოდნენ და ზეპირად აბარებდნენ თავს წიგნიდან“. (მამრ., 2005-2010)

„პროფესორთა პროფესიონალიზმზე იყო აქ საუბარი. მე არ მქონია ბედნიერება, ბევრ ისეთ ლექტორს შევხვე-დროდი, რომელიც მომენტებოდა. მე არ მომწონს სემი-ნარის ჩაბარების სასკოლო სისტემა, არ მომწონს ლექ-ტორები, რომლებიც სლაიდიდან მიკითხავენ მასალებს. მომწონს ის საგნები, რომლებშიც იმ მასალის ირგვლივ ვსაუბრობთ და რაც წიგნში წერია, იმაზე არ მესაუბრე-ბიან, იმის წაკითხვა ისედაც შემიძლია. ისეთი ტიპის სემ-ინარები და ლექციები უფრო მომწონს, როდესაც ანალი-ტიკურ აზროვნებას შეეხება საქმე და არა რაღაცების დაზეპირებას“. (მდედრ., 2011-2016)

თსუ-ს კურსდამთავრებულები დამოუკიდებელი აზ-როვნებისა და კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარების

შემაფერხებელ ფაქტორად ასახელებენ პრაქტიკული სასწავლო კურსების სიმწირეს და ძირითად ფოკუსს თეორიულ სწავლებაზე. მათი თქმით, უნივერსიტეტიდან იღებდნენ მხოლოდ და მხოლოდ თეორიულ ცოდნას, რასაც კავშირი არ აქვს პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების შესაძლებლობებთან.

„ლექტორი, რომელიც მასწავლის [დასახელებულია საგანი], არ გვაკეთებინებს კრიტიკულ ანალიზს, რაც [დასახელებულია დარგი] არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ვსწავლობთ და ვნერთ ამ თეორიებზე, მაგრამ არანაირი კრიტიკული მსჯელობა არ მიმდინარეობს. ლექციაზე არის ლექტორის ერთგვარი მონოლოგი, გვიკითხავენ ლექციებს, ეს მე პირადად არ მომნის, ვფიქრობ, რომ უფრო მეტი დისკუსია უნდა იყოს, უფრო მეტი ინდივიდუალური სამუშაო და ა.შ.“ (მდედრ., 2011-2016)

„კონკრეტულად დარგობრივი პრაქტიკული ცოდნა, რომელიც გჭირდება, რომ კვლევითი სამუშაო აწარმოო, იყო ნოლი“. (მამრ., 2005-2010)

ზემოთ აღნიშნული დისკურსი განსაკუთრებით საინტერესოა იმის გათვალისწინებით, რომ დამსაქმებლების მხრიდანაც სწორედ ამ პრობლემებზე ხდება აქცენტირება, როდესაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების სამსახურში აყვანაზეა ლაპარაკი. 2015 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, შრომის ბაზრის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სტუდენტებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება უნივერსიტეტები-სთვის პრიორიტეტული არ არის, შესაბამისად, ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძირითადი ფოკუსი თეორიული საგნების სწავლებაზე მოდის, რაც უარყოფითად აისახება კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივებზე (ლეჟავა, ამაშუკელი, 2015).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ფოკუს-ჯგუფზე გაესვა ხაზი, არის ლექტორებისგან უკუკავშირის მიღების სურვილი. კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ

ხშირად ვერ იღებენ უკუკავშირს პროფესორებისგან, რის ერთ-ერთ მიზეზადაც სასემინარო ჯგუფებზე სტუდენტების დიდი რაოდენობა სახელდება. რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ ზოგ შემთხვევაში ლექტორები მხოლოდ ზედაპირულად გადახედავენ ხოლმე ნაშრომებს და კონკრეტულ ახ-სა-განმარტებას არ აძლევენ სტუდენტებს დაშვებული შეც-დომების შესახებ.

„სასემინარო ჯგუფი უნდა იყოს სამუშაო ჯგუფი და იმ-დენად ბევრნი ვართ სემინარებზე, რომ ვეღარ ვმუშაო-ბთ“. (მდედრ., 2011-2016)

„ჩემი კვლევა ვინც შეასწორა, უბრალოდ გადახედა, ეზარებოდა... უკუკავშირის პრობლემაა“. (მდედრ., 2011-2016)

პრობლემას წარმოადგენს სტუდენტის მხრიდან უკუკავ-შირის მიწოდებაც სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, რაც მჭიდრო კავშირშია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გაუმართაობასთან. დისკუსიისას აღინიშნა, რომ თსუ-ს ელექტრონულ სისტემაში (sms.tsu.ge) არის ლექტორის შეფასების სისტემა, სადაც სტუდენტს შეუძლია დააფიქსიროს პრეტენზია ლექტორის მიმართ, უკუკავშირი მისცეს მას სწავ-ლების ამა თუ იმ კომპონენტთან დაკავშირებით. თუმცა ეს მხოლოდ ფორმალურია და სტუდენტების მიერ გაკეთებულ შეფასებას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან უნივერ-სიტეტის მხრიდან მას რეაგირება არ მოჰყვება.

„Smstsu.ge-ზე არის ლექტორების შეფასების სისტემა, მა-გრამ იმას არც არავინ კითხულობს და არავინ აქცევს ყუ-რადლებას. ბევრჯერ გვითქვამს მიმართულების ხელმძღვანელისთვის, რომ ლექტორი, რომელიც კითხულობს სავალდებულო საგანს, არ მოგვწონს, არაფერს აკეთებს და გვინდა შეცვლა. რა თქმა უნდა, შემდეგ სემესტრში იგივე ლექტორი დაგვხვდება“. (მდედრ., 2011-2016)

რესპონდენტებმა იმასაც გაუსვეს ხაზი, რომ მიუხედავად ზე-

მოთ აღნიშნული ინდიფერენტულობისა სტუდენტის შეფასების მიმართ, უნივერსიტეტში არიან ლექტორები, რომლებიც უნივერსიტეტისგან დამოუკიდებლად ცდილობენ მიიღონ უკუკავშირი სტუდენტისგან და მათი შეფასების მიხედვით გამოასწორონ ხარვეზები. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთი ტიპის შეფასებას სისტემური ხასიათი არ აქვს და მხოლოდ ამათუ იმ პროფესორის ინიციატივაზეა დამოკიდებული.

„ახალგაზრდა ლექტორებმა შუა სემესტრში შეადგინეს ანონიმური კითხვარი, რომლის მიხედვითაც უნდა შეგვეფასებინა ისინი, გვთხოვეს მაქსიმალურად გულწრფელად შეგვეფასებინა, როგორ მიმდინარეობდა სალექციო პროცესი, რომ რაღაც გამოესწორებინათ და ეს ძალიან კარგია“. (მდედრ., 2011-2016)

როდესაც თსუ-ში სწავლების ხარისხს აფასებენ, რესპონდენტები პარალელს ავლებენ საქართველოში და საზღვარგარეთ მიღებულ განათლებას შორის. ფოკუსჯგუფების დროს აღინიშნა, რომ თსუ თავის სტუდენტებს გაცვლით პროგრამებს სთავაზობს სხვადასხვა ქვეყანაში, რასაც სტუდენტები აქტიურად იყენებენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის, რომ საზღვარგარეთ გატარებული პერიოდი, თუნდაც ერთი სემესტრი, საშუალებას აძლევს სტუდენტებს, უფრო ცხადად დაინახონ უნივერსიტეტში არსებული პრობლემები და შესაბამისად, მეტი მოთხოვნაც წაუყენონ უნივერსიტეტს.

„უნივერსიტეტში ხშირად იყო ერთსემესტრიანი გაცვლითი პროგრამები, თუნდაც მაგისტრატურაზე წასვლა, რითაც მე ვისარგებლე, ვიყავი დამამთავრებელი კურსის სტუდენტი და მაგისტრატურაზე წავედი სხვაგან, რადგან თსუ მონაწილეობდა იმ პროექტში. ამან ძალიან დიდი რამე მომცა. თუმცა ამის იქით ჩემს სფეროში პრაქტიკულ უნარებზე ვერაფერს ვიტყვი. [...] საერთო შედეგი მე რაც მივიღე იყო არასტრუქტურული ცოდნა და სამეცნიერო კვლევითი უნარ-ჩვევების ძალიან დაბალი დონე“ (მდედრ., 2011-2016)

ფოკუსჯგუფის მონაწილეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სტუდენტების შეფასების სისტემის მიმართაც. სტუდენტებს შორის დომინანტურია მოსაზრება, რომ უნივერსიტეტში მოქმედი 100-ქულიანი სისტემა ობიექტურად ვერ აფასებს სტუდენტის ცოდნას და მხოლოდ ფორმალურ საზომად რჩება. როგორც კვლევის მონაწილეები ამბობენ, ბევრია დამოკიდებული თავად ლექტორზე, რომელიც საგნის სილაბუსში სურვილისამებრ ანიჭებს ქულებს სხვადასხვა კომპონენტს. სტუდენტებს შორის უსამართლობის განცდას იწვევს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ზეპირი პრეზენტაციის ჩატარება, რომელსაც აუდიტორიაში რეალურად არავინ უსმენს, უკუკავშირს არ აძლევს მომხსენებელს და მხოლოდ 15-20 წუთს გრძელდება, შეიძლება ფასდებოდეს თითქმის ისეთივე მაღალი (მაქსიმალური) ქულით, როგორიც არის განსაზღვრული სტუდენტის მიერ განეული მთელი სემესტრული შრომის შესაფასებლად და რომლის მოცულობაც აღემატება 15-წუთიანი პრეზენტაციისთვის დახარჯულ დროსა და ენერგიას.

„ქულები ხომ იმიტომ იწერება, რომ სტუდენტის ცოდნა ასახოს? თუ ეს არის ცოდნის საზომი, მე არ მესმის, რატომ უნდა დაიწეროს ლექციაზე სიარულში ქულა. მე შეიძლება ლექციაზე ვიარო და ტელეფონზე თამაშის გარდა არაფერი გავაკეთო და არაფერი მოვისმინო. მხოლოდ იმისთვის, რომ მოვედიდადადგენახე, ვიღებ ქულას. ასევე, სხვადასხვა კომპონენტებისადმი არის არაპროპორციულად მინიჭებული ქულა. მქონია საგანი, რომელშიც 100-დან 30 ქულა იწერება 15-წუთიან პრეზენტაციაში, რომელსაც ძალიან მარტივად ამზადებ, 1 საათის განმავლობაში დაჯდები და ინტერნეტიდან მასალებს დააკოპირებ და იღებ 30 ქულას. რაც მთელი სემესტრის განმავლობაში იმეცადინე და იკითხე, ფაქტობრივად, იმის ნახევარს ღებულობ 15-წუთიან პრეზენტაციაში. გარდა ამისა, შეფასების დროს ლექტორის სუბიექტური გადმოსახედიდან გამომდინარებს ბევრი რამე. ყველა ლექტორი სილაბუსის სხვადასხვა ქულებს საზღვრავს“ (მდედრ., 2011-2016)

დისკუსიების დროს გამოიკვეთა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ზოგი ლექტორი უფრო მარტივად წერს ქულებს, ვიდრე დანარჩენები. შესაბამისად, სტუდენტები სასწავლო კურსს ხშირად ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით ირჩევენ, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც დასაქმებულია. ეს საკითხი დაკავშირებულია უნივერსიტეტში შეფასების ერთიანი, სტანდარტული სისტემის არარსებობასთან. ვინაიდან საუნივერსიტეტო დონეზე შემუშავებული არ არის შეფასების ერთიანი კრიტერიუმები და ქულების განაწილება კომპონენტების მიხედვით დამოკიდებულია თავად ლექტორზე, სტუდენტებს უჩნდებათ მოტივაცია, ისეთ საგნებს დაესწოონ, რომელშიც მარტივად შეძლებენ ქულის მიღებას და ნაკლები აქცენტი გააკეთონ ცოდნის მიღებაზე. განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ სწავლის საფასურის გადასახდელად სტუდენტების ნაწილი მუშაობს.

„ლექტორები იყოფიან ორ ნაწილად. ერთი, რომელიც ადვილად წერენ ქულებს და მეორე, რომლებიც რთულად წერენ ქულებს. ეს არის ძალიან ცუდი ტენდენცია. სემესტრის დაწყების დროს თითოეული სტუდენტი კითხულობს, თუ როგორ წერს ესა თუ ის ლექტორი ქულას. ეს კატეგორიზება ნამდვილად არსებობს ყველა ფაკულტეტზე თითქმის“. (მდედრ., 2011-2016)

„ბევრ სტუდენტს არ აქვს თანხა, რომ გადაიხადოს სწავლის საფასური და ამიტომ უნდევთ მუშაობა, ამიტომ მათ აწყობთ ლექტორი, რომელიც ადვილად დაწერს ქულას, არ მოსთხოვს დასწრებას და ყოველ ლექციაზე დავალების ჩატარებას“. (მდედრ., 2011-2016)

საერთო ჯამში, თსუ-ს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის დომინანტურია მოსაზრება, რომ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული განათლებისა და სხვა სერვისების ხარისხი დაბალია, განსაკუთრებით კი სწავლის გადასახადთან შედარებით. რესპონდენტების აზრით, ხარისხთან მიმართებაში თსუ-ში სწავლის საფასური არაადეკვატურად მაღალია სახელმწიფო გრანტის არსებობის შემთხვევაშიც კი. მეორე მხრივ,

ფოკუსჯგუფის მონაწილეებს შორის განათლების ხარისხისა და ღირებულების შესაბამისობის საკითხი საბაზრო ეკონომიკის ჭრილში განიხილება. შესაბამისად, კვლევის მონაწილეებს შორის გაიუდერა მოსაზრებამ, რომ თსუ თავის პროფესორებს არ სთავაზობს ისეთ ანაზღაურებას, რომ ლექტორებმა სწავლების მაღალი ხარისხი უზრუნველყონ. თავის მხრივ, სიახლეს არ წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტების ბიუჯეტი განსაკუთრებით განისაზღვრება სტუდენტზე მიბმული დაფინანსებით (სხვა სიტყვებით, ბიუჯეტის მოცულობა დამოკიდებულია სტუდენტების რაოდენობაზე, რომლებიც სწავლაში წლიურად 2250 ლარს იხდიან), რაც, სტუდენტების აზრით, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პროფესორების ანაზღაურება და შესაბამისად, მოტივაცია გაიზარდოს, რაც პოზიტიურად აისახებოდა უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაზე.

„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სწავლაში სახელმწიფო ჩადო ფული, ეს იმას მაინც არ ნიშნავს, რომ 2250 ლარის ხარისხის განათლებას იღებ“. (მდედრ., 2005-2010)

„დღეს განათლებაში არ მოძრაობს ის თანხები, რომლითაც შენ ლექტორს დაავალდებულებ... ხარისხი არის მოთხოვნის და საფასურის შესაბამისი. ამიტომ თუ ბაზრის პრინციპით შევხედავთ, სავსებით ობიექტურ რეალობაში ვართ დღეს“. (მამრ., 2011-2016)

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (ილიაუნის) ინფრასტრუქტურას და ტექნიკურ აღჭურვილობას ფოკუსჯგუფის მონაწილეების უმრავლესობა პოზიტიურად აფასებს. თუმცა

4 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში პირველ ფოკუსჯგუფში გაერთიანებული არინ რესპონდენტები, რომლებიც 2006-2010 წლებში სწავლობდნენ უნივერსიტეტში, და არა 2005-2010 წლებში, ვინაიდნ თავად უნივერსიტეტი იმ ფორმით, როგორითაც დღეს ფუნქციონირებს, სწორედ 2006 წელს შეიქმნა.

მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა გარედან შემოსული ხმაური, რაც განპირობებულია უნივერსიტეტის კორპუსების ცენტრალურ ქუჩებზე მდებარეობით და აუდიტორიულ მუშაობას ართულებს ხოლმე. ასევე, რესპონდენტების თქმით, არასახარბიელო ვითარებაა პანდუსების თვალსაზრისით. კვლევის მონაწილე ილიაშვილის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ პანდუსები უნივერსიტეტის შენობას მხოლოდ პირველ სართულზე აქვს, რაც ქმნის ილუზიას, რომ ამ მხრივ ინფრასტრუქტურა მონესრიგებულია, რეალურად კი შშმ პირების გადაადგილება მაინც შეზღუდულია.

„C კორპუსში, ზედა სართულებზე პანდუსები არ გვაქვს, არც ლიფტი, შესაბამისად, მეორე და მესამე სართულებზე ვერ გადაადგილდებიან“. (მდედრ., 2011-2016)

რაც შეეხება ბიბლიოთეკას, ფოკუსჯგუფის მონაწილეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ გარემო საკმაოდ მოწესრიგებულია, ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ნიგნების მიწოდების სერვისიც. უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია ელექტრონული ბაზები, როგორიცაა *Jstor* და ოქსფორდის უურნალების ბაზა. ერთადერთი, პრობლემას ქმნის ის, რომ გარკვეულ ნიგნებზე სტუდენტებს შორის მოთხოვნა ბევრად აღემატება ამ ნიგნების რაოდენობას ბიბლიოთეკაში. ასევე აღინიშნა, რომ სტუდენტებს ბიბლიოთეკიდან ნიგნის გატანის უფლება იმაზე მცირედროით აქვთ, ვიდრე ეს რეალურად სჭირდებათ.

„ახალ ბიბლიოთეკაში ვიყავი ბოლო კურსის ბოლო სემეტრში E კორპუსში და მივჰვდი, რომ ნინა სამი წელი სიცრუეში მიცხოვრია. ძალიან მაგარია. გარდა იმისა, რომ ბიბლიოთეკაა, სამუშაო სივრცეც არის თავისი კომპიუტერებით“. (მამრ., 2011-2016)

„ბიბლიოთეკაში სულ სამი ნიგნი იყო და ჯგუფში ვიყავით 50 ბავშვი. ამის გამო ლექტორს უწევდა წვალება და, საბოლოო ჯამში, საგანი ისე გავიარეთ, რომ ვერაფერი მივიღეთ“. (მდედრ., 2006-2010)

## სტუდენტთა მომსახურება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და კურს-დამთავრებულები, ერთი მხრივ, დადებითად აფასებენ უნივერსიტეტში მოქმედ სტუდენტთა მომსახურების სისტემას და აღნიშნავენ, რომ ილიაუნის ადმინისტრაცია სტუდენტებს ოპერატორულად აწვდის ახალ ინფორმაციას. უნივერსიტეტში გამართულია ელექტრონული სისტემები, რომელთა საშუალებითაც არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსაც სისტემატურად მისდით ინფორმაცია სხვადასხვა აქტივობისა თუ ვაკანსიის შესახებ.

„მე სტაუირებაც გამიკეთებია ამ ინფორმაციის საფუძველზე, მისწავლია კიდევ საზღვარგარეთ ასეთი მეოღლის მოსვლის შემდეგ, სამსახურიც დამიწყია. ილიაუნის მეილი არის დღეს ჩემი აქტიური მეილი, სამუშაო მეილი, ყველაფერს ამით ვგზავნი და ვიღებ“. (მამრ., 2006-2010)

ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პრობლემას არ წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თუ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირება და მათგან პასუხის მიღება გარკვეულ კითხვებზე. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ელექტრონული სისტემა „არგუსი“, ილიაუნის სტუდენტებისთვის შექმნილი საინფორმაციო-სასწავლო ბაზა, საკმაოდ გამართული და მოსახერხებლია არა მხოლოდ ლექტორთან კონტაქტის, არამედ ლიტერატურის მოძიების მხრივაც. აღინიშნა ისიც, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად აწვდის თავის სტუდენტებს ინფორმაციას გაცვლითი პროგრამების შესახებ.

„ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კარგი სამსახური ილიაუნიში, რომელზეც შეიძლება თქვა, რომ ყველაფერი წესრიგშია, რადგან „არგუსი“ გაქვს, ეკონტაქტები ლექტორს, მასალები იქ არის ატვირთული, ინფორმაციას იქ გაწვდის, ამის გარდა აქვს მეილი გუგლის ბაზაზე და არ გჭირდება მოძიება მისი მეილის, ჩაწერ სახელს და გვარს და გიგდებს“. (მამრ., 2006-2010)

„არის რამდენიმე საკომუნიკაციო წყარო, სტენდებზე და კედლებზე იკვრება, „არგუსზე“ მოგვდის სპეციალურ ველში. სულ მანდ იდება ერაზმუს მუნდუსის და ერაზმუს პლუსის პროგრამები, რაც საყურადღებო და მნიშვნელოვანია, ყველაფერი მოდის „არგუსზე“. ტრენინგები, კონფერენციები მოდის მეოლზე. [...] „არგუსზე“ დაგვემატა განცხადებების ველი, სადაც არის საგნის ჩასმა, ამოდება, სტუდეტის ცნობის მიღება ქართულ და ინგლისურ ენაზე, ტრანსკრიპტის მიღება, ხშირად მიწევს საზღვარგარეთ სიარული და სწრაფად მჭირდება ხოლმე, ვიზზაზე მაქვს ხოლმე პრობლემა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ დაგვიანება ყოფილიყო“.  
(მდედრ., 2011-2016)

თუმცა, მეორე მხრივ, ფოკუსჯგუფის მონაწილეები ლაპარაკობენ პრობლემებზე, რომლებიც ჩნდება უშუალოდ ადმინისტრაციულ და საინფორმაციო სამსახურებთან პირისპირ კომუნიკაციის დროს. კვლევის მონაწილეების დიდი ნაწილი უარყოფითად აფასებს ადმინისტრაციული პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალურ, საკონსულტაციო მუშაობას და აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლები სტუდენტების მიმართ ხშირად უყურადღებო და უპასუხისმგებლობამკიდებულებას ამჟღავნებენ.

„ყოველდღიურად მოგვდის მესიჯები იმის შესახებ, თუ რომელ დღეს სად რა ხდება. ინფორმირებულები ვართ, მაგრამ რამდენჯერაც შევსულვარ საინფორმაციოში, მეუბნებიან, რომ არ სცალიათ“. (მდედრ., 2011-2016)

„კანცელარიასთან შეხვედრის ბედნიერება არასდროს მქონია. რამდენჯერაც მივედი, ან შიგნიდან არის კარი დაკეტილი, ან მეუბნებიან, რომ არ სცალიათ, სულ არეულობაა“. (მდედრ., 2011-2016)

„...ყურადღებას არ გაქცევენ, ჯერ 5 წუთი უნდა ელოდო, როდესაც რაღაცას აკეთებს, როდესაც ეკითხები ნორმალურ პასუხს არ გცემს. თუ მოინდომა და გამცა პასუხი, ისე მცემს პასუხს, რომ უფრო მაბნევს. მე არ მქონია შემთხ-

ვევა, რომ საინფორმაციოდან გამოვსულიყავი კმაყოფილი და ნორმალური პასუხი მიმედო“. (მდედრ., 2011-2016)

### **აკადემიური პროგრამების, აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმისა და სასწავლო პროცესის შეფასება**

იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და კურს-დამთავრებულები აღინიშნავენ, რომ იღიაუნის პროფესორებს არ აკლიათ ცოდნა და გამოცდილება, თუმცა პოზიტიურად არ აფასებენ მათ დამოკიდებულებას სტუდენტების მიმართ. სტუდენტებს ექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ლექტორები მათზე მაღლა აყენებენ საკუთარ თავს და სტუდენტებთან ავტო-რიტეტის პოზიციიდან კომუნიკაციას ცდილობენ, რაც, თავის მხრივ, სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას ხელს უშლის.

„ლექტორს სტუდენტთან ურთიერთობა უნდა შეეძლოს, არ უნდა მაგრძნობინოს, რომ ჩემზე რამით მეტია. ჩემთვის კარგი ლექტორი ის არის, ვინც ზემოდან არ მიყურებს“. (მამრ., 2006-2010)

„ჩემთვის კვალიფიციურობასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ ლექტორის მიმართ არ ჰქონდეთ სტუდენტებს დამოკიდებულება, რომ ის ავტორიტეტია, რადგან შემდგომ ამ ლექტორების მოსაზრებები ჰქონიათ ამოსავალი წერტილი“. (მდედრ., 2006-2010)

ფოკუსჯუფის მონაწილეებმა ისაუბრეს პროფესორებისგან უკუკავშირის მიღების პრობლემაზეც, როგორც ნერილობითი, ისე ზეპირსიტყვიერი ფორმით, რაც იღიაუნის სტუდენტების აზრით, მათ მიმართ უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამოვლენაა. თუმცა აღინიშნა ისიც, რომ არიან ლექტორები, რომლებიც დეტალურ უკუკავშირს აძლევენ სტუდენტებს, რაც ხშირად სტუდენტების გაოცებასაც იწვევს, რადგან ნაკლებ არიან შეჩვეული ლექტორისგან მსგავს ყურადღებასა და დამოკიდებულებას.

„მესამე კურსზე მივიღე ნამდვილი უკუკავშირი. მომდის ვორდის ფაილი, სადაც თითოეული აბზაცი შინაარსობრივად და აკადემიურად არის გასწორებული, აღნიშნულია, რა არის შეცდომით და რა არა. გეუბნება, რომ აქ შეიძლებოდა უფრო მეტი მსჯელობა, შენი ესე არის თავიდან ბოლომდე არგუმენტირებულად დამუშავებული, ამას რომ იღებ, შოკში ხარ“. (მამრ., 2006-2010)

„ჩვენთან იყო ეგ პრობლემა, გარდა ერთ-ორი ლექტორისა, რომელთა ლექციაზეც არ გვეზარებოდა ჯდომა, რადგან ვიცოდით, რომ უბრალოდ წიგნიდან არ ჰქონდა გადმოტანილი ტექსტი, სლაიდში ჩაყრილი და ამას არ კითხულობდა ჩვენს წინაშე. ამ ლექტორთან უკუკავშირის დამყარებაც შესაძლებელი იყო. სხვები გვეუბნებოდნენ, ლექცია რომ დამთვარდება, მერე გვკითხეთო ან ბრაზდებოდნენ, ნუ გვაწყვეტინებთო“. (მამრ., 2006-2010)

უკუკავშირის ნაკლებობის გარდა, რესპონდენტები ლაპარაკობენ კომუნიკაციის პრობლემებზეც და ასახელებენ შემთხვევებს, როდესაც ლექტორის ინიციატივით ლექციის გაცდენის შესახებ ბოლო მომენტში, ლექციის დაწყებამდე ათი წუთით ადრე იგებენ. ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს უნივერსიტეტში არსებული ადამიანური რესურსების ნაკლებობაზე და განიხილეს შემთხვევები, როდესაც ლექციას ან სემინარს ლექტორის თანაშემწედ წარმოდგენილი მაგისტრატურის სტუდენტები ატარებენ. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები პროფესორის ასისტენტების კვალიფიკაციაზე უარყოფითად არ საუბრობენ, მათთვის მაინც მიუღებელია ის ფაქტი, რომ ბაკალავრიიატში მაგისტრატურის სტუდენტები კითხულობენ ლექციებს ან უძლვებიან სემინარებს.

„პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ყველა ლექტორმა, ასე თუ ისე, იცის თავისი საქმე, მაგრამ არიან ლექტორები, რომლებიც მოვალეობის მოხდის მიზნით მოდიან ლექციაზე ან ზოგჯერ ლექციის დაწყებამდე 10 წუთით ადრე გვწერენ, რომ ვერ მოდიან ლექციაზე, მაშინ როდესაც

მე უკვე აუდიტორიაში ვზივარ და ველოდები. იყო შემთხვევები, როდესაც საერთოდ არ გვნერდნენ“. (მდედრ., 2011-2016)

„თან მომწონს და თან არ მომწონს ახალგაზრდა ლექტორები, რომლებიც სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლობენ მაგისტრატურაში, მგონია, რომ ჩვენზე გადიან პრაქტიკას“. (მდედრ., 2011-2016)

ჯგუფური დისკუსიის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად სილაბუსები დასახელდა. განსაკუთრებით 2005-2010 წლების ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ მაგისტრატურის საფეხურზე სასწავლო კურსები შინაარსობრივად ხშირად ბაკალავრიატის იდენტურია და მხოლოდ დასახელებაა შეცვლილი. შესაბამისად, მაგისტრატურის სტუდენტები ახალ ცოდნას ვერ იღებენ.

„მაგისტრატურაში, ფაქტობრივად, ახალი არაფერი გამივლია, იგივე გავიარე, რაც ბაკალავრიატის დროს. ახალი აკადემიური საფეხური რომ ახალს არაფერს გაძლევს, ცუდია, რა თქმა უნდა“. (მამრ., 2006-2010)

„მოტივაციას კარგავ, როდესაც შინაარსობრივად ან თუნდაც ავტორების კუთხით იგივე საგნებს სწავლობ შეცვლილი სათაურით“. (მდედრ., 2006-2010)

მაგისტრანტებთან შედარებით, 2010 წლის შემდეგ იღიაუნიში ჩარიცხული ბაკალავრი სტუდენტები უფრო დადებითად აფასებენ სასწავლო კურსების მრავალფეროვნებას. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ერთმანეთის მომიჯნავე კურსებში შესაძლოა ზოგიერთი თემა განმეორდეს, თუმცა ეს არ იწვევს უკმაყოფილებას, რადგან მოდულებად დაყოფილი მიმართულებები და თავისუფალი კრედიტების სისტემა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მათვის საინტერესო საგნები აირჩიონ.

„თვითონ მოდულებში ზოგიერთი საგანი ერთმანეთს ძალიან ჰგავს. თუმცა რომ ვთქვა, რომ კატასტროფულად

ერთი და იგივე საგნებია, ეკონომიკაზეც, ფინანსებზეც და მენეჯმენტზეც ერთი და იგივეს გველაპარაკებიან, ეს ტყუილი იქნება, მაინც მრავალფეროვანი და საინტერესოა”. (მამრ., 2011-2016)

ისევე როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიაუნის შემთხვევაშიც განსაკუთრებულ პრობლემად სახელდება სასწავლო მასალების ქართულ ენაზე არარსებობა. კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ამ პრობლემამ სწავლის პერიოდში მათ ბევრი სირთულე შეუქმნა. ბაკალავრიატის სტუდენტებს განსაკუთრებით უჭირთ ინგლისურენოვანი ტექსტების დაძლევა. სტუდენტების მხოლოდ ნაწილი ფლობს ინგლისურს B2 დონეზე, რადგანაც აბიტურიენტებს ეროვნულ გამოცდებზე ეძლევათ საშუალება, სხვა უცხო ენაც ჩააბარონ. რესპონდენტები აცხადებენ, რომ დღეისთვის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი ტექსტი არ არის ქართულ ენაზე თარგმნილი. სტუდენტები თავადვე ცდილობენ, თარგმნონ აუცილებელი მასალა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ისინი პროფესიონალები არ არიან, თარგმანი ძალიან დაბალი ხარისხისაა. ილიაუნის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ხშირად სილაბუსით მოთხოვნილი ენის გარკვეულ დონეზე ფლობა მხოლოდ ფორმალობაა და კურსზე არიან სტუდენტები, რომლებიც ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებენ, თუმცა მაინც ესწრებიან და ამთავრებენ კიდევ კურსს. ჯგუფურ დისკუსიებში ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ენისა და თარგმანის პრობლემა განსაკუთრებით მაგისტრანტებთან დგას, რადგან საკითხავი ლიტერატურა თითქმის მთლიანად ინგლისურენოვანია, ხოლო ინგლისური ენის მაღალ დონეზე ფლობა სტუდენტს არ მოითხოვება (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაგისტრატურის საფეხურზე მოთხოვნა არის B2 დონე). დისკუსიიდან გამოიკვეთა, რომ ტექსტების ქართულ ენაზე არარსებობის პრობლემას აღიარებენ როგორც სტუდენტები, ისე ლექტორები, მაგრამ არც ერთი მხარე არ აქტიურობს ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. სტუდენტების აქტივობა შემოიფარგლება ლექტორებთან დისკუსიით კვირიდან კვირამდე უცხოენოვანი მასალების თარგმნის სირთულეზე.

ლექტორები კი, თავის მხრივ, ამბობენ, რომ ვერაფერს გააწყობენ.

„ბაკალავრიატზე კურსის პრობლემა იყო ის, რომ კვირაში დაახლოებით ას ინგლისურ გვერდს გვაძლევდნენ ნასაკითხად. მასალა ქართულად არ არის, ამიტომ გინევს იმ ენაზე მუშაობა, რომელიც შეიძლება არც იცი კარგად. უნივერსიტეტში ქართული მასალების დიდი პრობლემაა“. (მამრ., 2006-2010)

„ხანდახან სილაბუსში მითითებულია, რომ აუცილებელია ინგლისურის B2 დონეზე ცოდნა, თუმცა ეს ფორმალურია. ბევრი სტუდენტი მასალებსაც ვერ ეცნობა იქიდან გამომდინარე, რომ არ ფლობს ენას“. (მდედრ., 2006-2010)

„მაგისტრატურაში ქართულად თითქმის არაფერია. რაც არის, ინგლისურადაა, თუმცა ინგლისურის მაღალ დონეზე ცოდნას არ ითხოვენ“. (მდედრ., 2011-2016)

მიუხედავად ამ პრობლემებისა, ფოკუსჯგუფის მონაწილეების უმრავლესობა კმაყოფილებას გამოთქვამს ილიაზნიში სწავლების პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით და მისი დახმარებით შეძენილ არაერთ უნარს (კომპეტენციას) ასახელებს. ზოგიერთი სტუდენტი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკული დავალებები დაეხმარა დასაქმებისთვის საჭირო ისეთი საბაზისო უნარების გამომუშავებაში, როგორიცაა, მაგალითად, კომუნიკაციის ეთიკა და მენეჯმენტი, კვლევითი უნარები, პრეზენტაციის მომზადება და სხვ. სტუდენტების ინფორმაციით, პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები ძირითადად არჩევითია, არჩევანი კი – საკმაოდ ფართო. კვლევის მონაწილეებს შორის პოზიტიურად შეფასდა „სიმულაციური ლექციების“ პრაქტიკაც, როდესაც თავად სტუდენტები ცდილობენ ლექტორის როლის მორგებას და კონკრეტული აუდიტორიისთვის „გასაგებ“ ენაზე სალექციო მასალის ახსნას. ასეთი პრაქტიკა სტუდენტებს ეხმარება, უკეთ გაიგონ თეორიული მასალის შინაარსი და მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები.

„საქმაოდ ხშირი იყო პრაქტიკული სავარჯიშოები ბაკალავრიატში და გაცილებით მეტია ახლა მაგისტრატურაზე. ერთხელ გავაკეთეთ ბაზრის ანალიზი, ვიღებდით ტურისტულ კომპანიებს და უნდა შეგვესწავლა მათი პროდუქცია, რა მომსახურებას სთავაზობდნენ ტურისტებს და რამდენად წარმატებული იყვნენ ბაზარზე. ძირითადად იყო კვლევები“. (მდედრ., 2006-2010)

„გვქონდა პრაქტიკა დასაქმების ადგილას. ვმუშაობდით ჯგუფებად, იყვნენ სტუდენტები, რომლებსაც ეს დაეხმარა, შინაგანი ბარიერი გადაელახათ და შეეღოთ უცხო თრგანიზაციის კარი. შევიძინეთ ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. მაგალითად, როგორ მიმართო ადამიანს, დაიცვა ეთიკის წესები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თუ გინდა, რომ კარგი უკუკავშირი გქონდეს. მსგავსი პრაქტიკა ავითარებს ლიდერობის უნარს, რადგან არის ჯგუფური მუშაობა და პასუხისმგებლობის გადანაწილება. ილებ გამოცდილებას და ვითარდები როგორც პიროვნულად, ისე პროფესიულად. საკუთარ თავს ხედავ სხვადასხვა სიტუაციაში, ახდენ შენი შესაძლებლობების იდენტიფიკაციას, რა არის შენი სუსტი და ძლიერი მხარეები, რაზე უნდა იმუშაო, რომ დიპლომის აღების შემდეგ ეს არ იყოს მხოლოდ ფარატინა ფურცელი და მის უკან იყოს თეორია და პრაქტიკული გამოცდილება“. (მდედრ., 2011-2016)

„ვატარებთ ხოლმე სიმულაციურ ლექციებს: უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მერვეკლასელები ან შშმ პირები არიან და როგორ აუხსნიდი თემას. ეგ გვეხმარება პრაქტიკულ დონეზე გავიგოთ თეორია“. (მდედრ., 2011-2016)

ფოკუსჯგუფის მონაწილეების აზრით, ილიაუნი კავკასიის მასშტაბით ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტია გაცვლითი პროგრამების თვალსაზრისით. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ კარგად არიან ინფორმირებულები უნივერსიტეტში არსებული მრავალი გაცვლითი პროგრამის თაობაზე. ყოველი ახალი პრო-

გრამის შესახებ ინფორმაციას სტუდენტები ელექტრონული ფოსტით იღებენ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ბევრი ახერხებს უცხოეთში გაცვლითი სემესტრით ან სტაჟირებით წავიდეს. მათი ინფორმაციით, მუდმივად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები, სტუდენტებმა კარგად იციან გაცვლით პროგრამებზე შესარჩევი პროცესის ისეთი დეტალები, როგორიც არის სტიპენდიანტების შერჩევის კრიტერიუმები და საფეხურები, გამოცხადებული პროგრამების კვოტები და ა.შ.

„მე პოლანდიის უნივერსიტეტში გავგზვანე საბუთები. არსებობს თანამშრომლობა მასპინძელ და ქართულ უნივერსიტეტს შორის. აქედან გაფასებს ილიაუნი, გადიხარ გასაუბრებას, ამონმებენ ენის ცოდნას, სამოტივაციო საბუთებს და თუ პირველ ეტაპებს გაივლი, შემდეგ უკვე მიმღები უნივერსიტეტი წყვეტს“. (მამრ, 2006-2010)

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გამოიკვეთა არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არამედ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებთან დისკუსიის დროსაც, არის შეფასების არსებული სისტემა. ამ საკითხზე მსჯელობისას გამოვლინდა საინტერესო ნარატივი, რომლის თანახმად, თავად ლექტორზეა დამოკიდებული, არსებული 100-ქულიანი შეფასების სისტემა ფორმალურ ინსტრუმენტად დარჩება თუ სტუდენტის აკადემიური მოსწრების შეფასების რეალური საზომი გახდება. როგორც კვლევის მონაწილე ახალგაზრდები აღნიშნავენ, ლექტორების გარკვეული კატეგორია უფრო მარტივად ან უბრალოდ „მოვალეობის მოხდის მიზნით“ წერს ქულებს და არ არის ორიენტირებული სტუდენტის ცოდნის რეალურ შეფასებაზე. დისკუსიის მონაწილეებს შორის ისიც ითქვა, რომ სემესტრის ბოლოს 51 (მინიმალური გამსვლელი) ქულის მისაღებად სწავლა არც იყო საჭირო, ხოლო ზოგიერთ ლექტორთან გამოცდაზე გასვლაც არ ყოფილა სავალდებულო. ასეთი რეალობის პარალელურად, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტში მუშაობს პროფესორების ისეთი კატეგორიაც, რომელიც შესაბამისი მუშაობის გარეშე სტუდენტს ქულებს უბრალოდ არ უწერს.

„როდესაც ვაკვირდები, ვხვდები, რომ ეს შეფასების სისტემა იმდენად ფორმალურია, რომ სტუდენტის ცოდნა არ არის მთავარი. მთავარია, რომ დააგროვოს გამსვლელი ქულები“. (მდედრ., 2006-2010)

„ზოგი მოგალეობის მოხდის მიზნით წერს ქულას და არაფერ შუაშია ვის რა ეკუთვნის, უბრალოდ წერს ქულას, როგორც თვითონ უნდა“. (მამრ., 2011-2016)

„[არიან ლექტორები, რომელებიც] ქულას არ დაგინერენ, თუ მართლა არ მუშაობ. თუმცა არის ისეთი საგნებიც, სადაც არავინ არაფერს აკეთებს და ქულა მაინც ინერება“. (მდედრ., 2011-2016)

დისკუსიის მსვლელობისას ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა ლექციაზე დასწრების საკითხიც ახსენეს. მათი ინფორმაციით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დასწრებაში ქულები აღარ იწერება, რაც ზოგიერთი მონაწილის აზრით, სამართლიანია იმ სტუდენტის მიმართ, რომელიც მუშაობს და ფიზიკურად ვერ ახერხებს ლექციაზე მისვლას, ზოგიერთი კი დასწრების ქულის გაუქმებას უარყოფითად აფასებს, რადგანაც ბევრი სტუდენტი უბრალოდ ზარმაცობს და არ დადის ლექცია-სემინარებზე; საბოლოოდ კი მაინც ახერხებს ისეთივე მაღალი ქულის მიღებას, როგორსაც ლექციაზე სისტემატურად დამსწრე სტუდენტები იღებენ.

„ჩვენს უნივერსიტეტში დასწრება არის თავისუფალი, ჩვენ ამაში ქულა არ გვენერება. როგორც ლექტორს, მეც იგივე გამოცდილება მაქვს: ყველა სტუდენტი, რომელსაც მხოლოდ 51 ქულაზე აქვს პრეტენზია, მოდის და გეუბნება, რომ მუშაობს და ვერ ახერხებს ლექციაზე მოსვლას. ჩემს ჯუფებში არასოდეს ყოფილა, რომ 51 ქულისთვის ვინმეს ესწავლოს“. (მდედრ., 2006-2010)

„როდესაც შეფასების სისტემას აფასებენ, პირველი თავში მომდის დასწრების ქულა. მე ბაკალავრიატი და-კამთავრე 2015-ში. ამ დროს დასწრების ქულა აღარ იყო.

დასწრების ქულა რომ დარჩენილიყო, კარგი იქნებოდა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც იძულებით არ გამოტოვებდნენ ამ 10 ქულას, რაც სტიპენდიაში ძალიან სჭირდებათ ხოლმე. თუმცა მეორე საკითხია, როცა იმ სტუდენტებზე ვლაპარაკობთ, რომლებიც მუშაობენ. ანუ, ერთი მხრივ, ეს ცუდია და, მეორე მხრივ, კარგია. მე პირადად დასწრების ქულის არქონას ჩემთვის სასიკეთოდ ვიყენებდი, ცხრილს ისე ვაღლაგებდი, რომ სამსახურში არ შემშლოდა ხელი“. (მამრ., 2011-2016)

ილიაუნიში შეფასებისა და ლექცია-სემინარებზე დასწრების პროცედურა განხილულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშშიც, რომელიც უსდ-ებში სტუდენტებისთვის განათლების მისაღები ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასებას ეხება (2016). ამ ანგარიშის თანახმად, შეფასების სისტემა, რომელიც არ ითვალისწინებს საბოლოო გამოცდის ჩაპარებისა და ლექცია-სემინარებზე დასწრების აუცილებლობას, წევარიურად აისახება სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზე, რადგან სტუდენტებს საშუალება აქვთ, მინიმალური 51 ქულა სხვა აქტივობებით (მაგ., პრეზენტაცია, შუალედური გამოცდა, ქვიზები და ა.შ) დააგროვონ და აღარ იზრუნონ სასწავლო კურსით გათვალისწინებული მასალის სრულყოფილად ათვისებაზე (ეფექტური ანგარიში, 2016, გვ. 35).

რაც შეეხება ზოგადად განათლების ხარისხის შეფასებას და მის შესაბამისობას სწავლის გადასახადთან, ფოკუსჯგუფის მონაწილეებს შორის მრავალმა განსხვავებულმა მოსაზრებამ გაიჟორა: ზოგი კურსდამთავრებული თვლის, რომ ილიაუნიში სწავლებამ მას არაფერი შემატა და სწავლისთვის განკუთვნილი თანხა ფუჭად გადაყრილი ფულია, ზოგის აზრით, სწავლის გადასახადი ამართლებს იმ ხარისხს, რომელსაც ისინი იღებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, გარკვეულ ნაწილს კი მიაჩინია, რომ სწავლების შედეგები განისაზღვრება არა საფასურის მოცულობით, არამედ სტუდენტის მონდომებით და თავად სტუდენტზეა დამოკიდებული, როგორ გამოიყენებს იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც მას უნივერსიტეტი სთავაზობს.

„ჩემს დროს გადასახადი ბაკალავრიატზე იყო 1500 ლარი, მაგისტრატურაზე 2500 იყო. შემიძლია ვთქვა, რომ იმ 10 000 ლარით, რაც დამიჯდა ბაკალავრიატი და მაგისტრატურა ერთად, აღბათ ჯობდა რაღაც ბიზნესი დამეწყო. ასეთი რადიკალური ვერ ვიქნები და ვერ ვიტყვი, რომ უნივერსიტეტმა საერთოდ არაფერი მომცა, ძალიან საინტერესო ადამიანები გავიცანი. თუმცა ხარისხი, რეალურად, არ შეესაბამება ამ თანხას“. (მდედრ., 2006-2010)

„სტუდენტზეა დამოკიდებული, გაამართლებს თუ არა გადასახადი, იმაზე, თუ რა საგანს აირჩივს და შემდეგ პრაქტიკაში ამას როგორ გამოიყენებს. ვიღაცამ შეიძლება ისწავლოს 4 წელი, მინიმალური განათლებით, ბაკალავრის ხარისხით დაიწყოს მუშაობა და დაწინაურდეს, პიროვნულად იმდენად ძლიერი მონაცემები ჰქონდეს, რომ მინიმალურიდან მაქსიმალური მიიღოს“. (მამრ., 2011-2016)

სწავლის საფასურზე საუბრისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, უმაღლესი განათლების გადასახადი მაინც მაღალია. კვლევის მონაცილეები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ მისი გადახდა მშობლების დახმარების გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია. თუმცა მდგომარეობას ამსუბუქებს ის გარემოება, რომ ილიაუნი სტუდენტებს გადახდის მოქნილ და, შეიძლება ითქვას, სტუდენტზე ორიენტირებულ სისტემას სთავაზობს, რაც შესაძლებელს ხდის მთლიანი თანხის ეტაპობრივად გადახდას, და რაც სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი შეღავათია. თუმცა ილიაუნიში მოქმედებს ჯარიმებიც იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი კუთვნილი საფასურის გადახდას დროულად ვერ ახერხებს.

„მე ვფიქრობ, რომ 2500 ლარი საქართველოში არის ძალიან ბევრი და მხოლოდ ილიაში არა, ზოგადად საქართველოში. გერმანიაში თუ 300 ევროს იხდი და აქ 2250

**ლარს იხდი წლიურად, სისულელეა მართლა!“ (მამრ., 2006-2010)**

„ჩემი ბაკალავრიატის დროს იყო ჯარიმები, მე თანხის ერთიანად გადახდა მიჭირდა, ერთი დღის გადაცილებაზე 100 ლარი იყო ჯარიმა, ახლა 50 ლარია“. (მამრ., 2006-2010)

„მე თანხა ორად მქონდა გაყოფილი და ძალიან მისაღები იყო. ზოგ სტუდენტს ურჩევნია ექვს ან მეტ ნაწილად გაიყოს და ამ მხრივ ძალიან კარგია. ვაწერდით კონტრაქტს ხელს და გვქონდა გრაფიკი, რომლის მიხედვითაც უნდა გადაგვეხადა საფასური...“ (მამრ., 2011-2016)

## **თავისუფალი უნივერსიტეტი<sup>5</sup>**

### **უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა**

თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და სტუდენტები უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას პოზიტიურად აფასებენ და ამბობენ, რომ უნივერსიტეტის ბაზა კარგად არის აღჭურვილი ტექნიკური თვალსაზრისით (ქსეროქსი, პრინტერი, პროექტორები საკლასო ოთახებში), ხოლო საუნივერსიტეტო სივრცე ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის – სტუდენტებს თავისუფლად შეძლიათ ლექციებს შორის თავისუფალი აუდიტორიებით სარგებლობა. 2006-2010 წლის კურსდამთავრებულთა ჯგუფში აღინიშნა სოციალური სივრცეის არსებობაც (სატრენაჟორო დარბაზი, კაფეტერია), რომელსაც უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობდა, თუმცა ეს მომსახურება დამატებით გადასახადს მოიცავდა. ასევე მნიშვნელოვა-

<sup>5</sup> თავისუფალი უნივერსიტეტის შემთხვევაში პირველ ფოკუსზე უფში მონაწილეობა მიიღეს 2006-2010 წლის სტუდენტებმა, რომლებსაც გარდამავალ ეტაპზე მოუნიათ სწავლა: 2006-2008 წლებში სწავლობდნენ ESM-ის ბიზნესკოლაში, 2008-2010 წლებში კი – უკვე თავისუფალ უნივერსიტეტში, რომელშიც ESM-ის გარდა სხვა დამოუკიდებელი უნივერსიტეტებიც გაერთიანდა.

ნია ითქვას, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს ბიბლიოთეკის განვითარებაზე და ელექტრონული ძვირად ღირებული წიგნებით ამარავებს სტუდენტებს, რაც მნიშვნელოვანი შეღავათია სტუდენტებისთვის.

„ჩვენ რაც გვჭირდებოდა, იყო. პროექტორი, ბიბლიოთეკა და კომპიუტერი იყო“. (მამრ., 2006-2010)

„ელექტრონული ბიბლიოთეკა ძალიან გვეხმარება, ეკონომიკის წიგნი გვქონდა ერთი, რომელიც 100\$ ღირდა, რომლის შეძენაც შეუძლებელი იყო, მაგრამ ყიდულობს თვითონ უნივერსიტეტი და ელექტრონულ ბიბლიოთეკა-შიც ტვირთავენ, საიდანაც ჩვენ ვიწერთ და ვსწავლობთ“. (მდედრ., 2011-2016)

## სტუდენტთა მომსახურება

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები საუნივერსიტეტო მომსახურებას დადებითად აფასებენ. მათი მსჯელობიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის მზად არის, მხარი დაუჭიროს სტუდენტურ ინიციატივებს და ფინანსური თუ სხვა სახის დახმარება აღმოუჩინოს მათ. უფრო მეტიც, უნივერსიტეტში არის სპეციალური განყოფილება, სადაც შესაძლებელია სტუდენტების ინივაციური იდეების წარდგენა და მათ განსახორციელებლად დახმარების მიღება. თუმცა ასევე აღინიშნა, რომ მსგავსი მომსახურებით უფრო ხშირად ტექნიკური მიმართულების სტუდენტები სარგებლობენ. რესპონდენტები ასევე საუბრობენ სხვადასხვა კლუბების შესახებ, რომლებიც მათი ინიციატივითა და უნივერსიტეტის დახმარებით ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ქალაქებარეთ მდებარე ბაზა სტუდენტური ინიციატივებისთვის ფასდაკლებითაა ხელმისაწვდომი.

„ძირითადად, ტექნოლოგიურ სფეროშია მსგავსი მომსახურება, ფიზიკის სფეროში“. (მამრ., 2011-2016)

„მესამე კურსზე გადავწყვიტეთ, გენდერული თანას-

ნორობის კლუბი გაგვეკეთებინა და ამაში ძალიან დაგვეხმარა უნივერსიტეტი. [...] კონტაქტები არ გვყავდა და ჩვენი პიარი ძალიან გვეხმარებოდა ამ ყველაფერში. მსგავს ნამოწყებებს, თუ მიხვალ, ყოველთვის მხარს გიჭრებ“. (მდედრ., 2011-2016)

„თავისუფალ უნივერსიტეტს აქვს თავისი სასწავლო ცენტრი ბაზალეთში და ვთქვათ, გასვლითი ბანაკის მოწყობა თუ გვინდა, შეგვიძლია უნივერსიტეტთან მის-ვლა და ფასდაკლების გაკეთება“. (მდედრ., 2011-2016)

მიუხედავად მომსახურების მოქნილი სისტემისა, ისევე როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში, რესპონდენტების ნაწილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ადმინისტრაციასთან პირისპირ კომუნიკაციისას ჰქონია პრობლემები. თუმცა ამას მასობრივი ხასიათი არ აქვს და სტუდენტები უფრო მეტად კმაყოფილნი არიან უნივერსიტეტში მიღებული მომსახურების ხარისხით, ვიდრე უკმაყოფილონი.

„10-ბალიანი შეფასებიდან ერთიანსაც არ დავუწერდი ადმინისტრაციას. ნებისმიერ საკითხზე, რაზეც არ უნდა მივიდე, ყველაფერზე მეჩხუბებიან“. (მამრ., 2011-2016)

„ჩვენთან ადმინისტრაცია დაყოფილია და სხვადასხვა რაღაცებს აკეთებენ [...] მძიმე სიტუაციაა, მართლა არის ასეთები, მაგრამ 2-3 კაცია, რომელიც მუშაობს ცხრილებზე და ისინი არიან რთულად საკომუნიკაციო“. (მდედრ., 2011-2016)

საინტერესო ნარატივი გამოიკვეთა კარიერული სამსახურების მუშაობასთან დაკავშირებით. 2006-2010 წლის კურს-დამთავრებულები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტი დღემდე ინარჩუნებს მათთან კონტაქტს და მუდმივად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ; თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ მათი სწავლის პერიოდში, როდესაც ESM-ის ბიზნესსკოლა არსებობდა (2008 წლამდე), უფრო მჭიდრო კავშირი იყო დამსაქმებლებსა და უნივერსიტეტს შორის. დამ-

საქმებლები უნივერსიტეტის პაზაზე ლექტორების რეკომენდაციით არჩევდნენ კანდიდატებს და ასაქმებდნენ. თავისუფალ უნივერსიტეტი კი უფრო კონკურენტუნარიანი გარემოა ამ თვალსაზრისით და ინფორმაცია ამა თუ იმ ვაკანსის შესახებ ყველა სტუდენტს მიეწოდება. რესპონდენტების ნაწილი ამას დადებითად აფასებს, ვინაიდან ყველა სტუდენტი თანასწორ გარემოში ხვდება და უკვე მათ შორის კონკურენციაზეა დამოკიდებული, შეძლებენ თუ არა ამა თუ იმ პოზიციის მოპოვებას.

„დასაქმების საკითხი თავისუფალმა უნივერსიტეტმა უფრო დაალაგა [ESM-თან შედარებით], დღემდე მომდის მეილები დასაქმების ცენტრიდან“. (მდედრ., 2006-2010)

„ESM-ში უფრო სხვანაირად იყო, უფრო ცოტა იყო და უფრო ადამიანური ურთიერთობებით, კონკრეტულად აქ მოდიოდა რომელილაც დამსაქმებელი, რომ აქედან ნაეყვანა“. (მამრ., 2006-2010)

„ლექტორი წყვეტდა, ვინ უნდოდა, რომ გაეშვა. თვითონ იღებდა გადაწყვეტილებას, რომელი სტუდენტი იქნებოდა იმ კომპანიისთვის კარგი [...] თავისუფალ უნივერსიტეტში ყველასთვის ხელმისაწვდომია ყველა ვაკანსია“. (მდედრ., 2006-2010)

### **აკადემიური პროგრამების, აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმისა და სასწავლო პროცესის შეფასება**

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თეორიული (საგნის) ცოდნის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, პოზიტიური შეფასება იმ ლექტორებს აქვთ, რომლებიც თავად პრაქტიკოსები არიან, შეუძლიათ სტუდენტებს პირადი გამოცდილება გაუზიარონ და მხოლოდ თეორიული კურსით არ შემოიფარგლონ. როგორც ფოკუსჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, თავისუფალ უნივერსიტეტში ლექტორების უმრავლესო-

ბა პრაქტიკოსია. აკადემიური პერსონალის გარკვეულ ნაწილს ESM-ის ბიზნესსკოლის კურსდამთავრებულებიც შეადგენენ, რომლებიც დღეს თავიანთ სფეროებში წარმატებით მოღვაწეობენ და სტუდენტებისთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენენ. სწორედ ასეთ ლექტორებს უნიდებენ ჩვენი კვლევის რესპონდენტები პროფესიონალებს იმისგან დამოუკიდებლად, აქვთ თუ არა მათ დოქტორის ხარისხი ან მრავალწლიანი აკადემიური სტაჟი.

„ახლა ვიხსენებ ჩვენს ლექტორებს და [...] ყველა იყო პრაქტიკოსი. ძალიან კარგი იყო, როდესაც რაღაცას გიყვებოდა, მოჰქონდა მაგალითები თავისივე საქმიანობიდან, გეუბნებოდა, რომ ამას ვაკეთებ და ეს საჭიროა“. (მდედრ., 2006-2010)

„შეიძლება თვითონ საგანი არ იყოს ძალიან საინჟინერებო, მაგრამ ლექტორმა ისე ამიხსნას და ისეთი მაგალითები მოიყვანოს, რომ ჩემთვის საინტერესო გახადოს. მთავარია, ლექტორისგან ის არ ვიგრძნო, რომ ლექტორმა ლექცია წაიკითხა და წავიდა. ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო დაწახებინა, ეს ცოდნა მომავალში ჩემს პროფესიაში როგორ გამომადგებოდა“. (მამრ., 2006-2010)

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია საგნის (ან საკითხის) გაგებასა და ანალიზე და არა უბრალოდ დაზიპირებაზე. აქედან გამომდინარე, სასწავლო პრაქტიკაში დანერგილია ე.ნ. „ქეისებზე“ მუშაობა. მნიშვნელოვანი დატვირთვა მოდის სასემინარო საათებზე, როდესაც სტუდენტები სალექციო საკითხს ჯგუფურად აანალიზებენ და ყველა სტუდენტი ჩართულია პროცესში. როგორც რესპონდენტებს შორის აღინიშნა, სემინარს თავისი სტრუქტურა აქვს: დისკუსიას ჰყავს ფასილიტატორი სტუდენტი, რომელსაც წინასწარ აქვს მომზადებული შეკითხვები, დასმულ შეკითხვებს კი სტუდენტები ერთად განიხილავენ და ბუნდოვან

საკითხებს ერთმანეთს უხსნიან. ასეთი ფორმატი, ბუნებრივია, არ ითვალისწინებს სტუდენტების „დაფასთან გამოსვლას“ და მასალის შინაარსის მოყოლას. თავად ლექტორიც მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ერთვება სტუდენტების დისკუ-სიაში. აღნიშნულ კონტექსტში ხაზი გაესვა სტუდენტების აკა-დემიური მოსწრების ხარისხსაც, რომელიც თავისუფალ უნი-ვერსიტეტში მაღალია და სტუდენტებს ერთმანეთისგან სწავ-ლის შესაძლებლობასაც აძლევს.

„ჩვენთან არასდროს არავინ გეკითხება, ამან იქ რა თქვა და ამან იქ რა თქვა, ყოველთვის იგულისხმება, რომ შენ ტექსტი წაკითხული გაქვს და მერე კეთდება მისი ანალ-იზი, ანუ ტექსტის მოყოლა ან ასეთი რაღაც არ ხდება“. (მდედრ., 2011-2016)

„ძირითადად, ისე არის სემინარი დატვირთული, რომ სტუდენტებმა უნდა ისაუბრონ და გააკეთონ ანალიზი, არ ზიხარ და არ უსმენ ლექტორს. ჩემი აზრით, გაცილე-ბით ეფექტურია, როდესაც სემინარი და ლექცია ერთ-ნაირი არ არის. ლექციაზე გიხსნის და განვდის ინფორ-მაციას ლექტორი და ამ ინფორმაციის გადამუშავების და გაანალიზების საშუალება გეძლევა, როდესაც შენ თვითონ ხარ იძულებული ამ ყველაფერზე ისუბრო“. (მდ-ედრ., 2011-2016)

თავისუფალ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი პრაქტი-კული დავალებების შესრულებას ითვალისწინებს, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. როგორც წესი, თითოეულ ჯგუფს ჰყავს თავისი ტუტორი, რომელსაც აკადემიური პრო-გრამის ხელმძღვანელი (ლექტორი) ნიშნავს. ტუტორები ხშირად თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან, რომლებიც სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე, სტუდენ-ტებს პრაქტიკულ რჩევებს აძლევენ დავალების წარმატებით შესასრულებლად.

„პრეზენტაციებს ვატარებდით ძალიან დიდს და თითო ჯგუფს ლექტორი მოგვიჩენდა ტუტორს, სულ 5 ტუტო-

რი გვყავდა. [...] ძალიან კარგია, როდესაც ვიღაცასთან გაქვს შეხება, ვინც ახლახანს წავიდა უნივერსიტეტიდან და დასაქმებულია. ძალიან კარგი შეგრძნება გვქონდა ბაზრის, კარგად ვხვდებოდით, სად გავიდოდით“. (მდედრ., 2006-2010)

„რასაც თეორიულად გვასწავლიან, იმაზე ყოველთვის ცდილობენ პრაქტიკული სამუშაოები გაგვატარონ. მაგალითად, საველე კვლევებს გვაკეთებინებენ, პროექტებს გვაძლევენ, რომელიც უნდა გავაკეთოთ ხან ჯგუფურად, ხან ინდივიდუალურად, ხანდახან არჩევანზეა“. (მამრ., 2011-2016)

როგორც ფოკუსჯგუფის მონაწილეები ამბობენ, მათთვის ძალიან სასარგებლოა აკადემიური კურსის ფარგლებში მოწვეული სტუმრების ლექციების მოსმენა, რომლებიც საკითხს სხვადასხვა პერსპექტივიდან აჩვენებენ სტუდენტებს. აღინიშნა კურიკულუმს მიღმა არსებული აქტივობების მნიშვნელობაც. რესპონდენტების ინფორმაციით, უნივერსიტეტში მრავალი საჯარო ლექცია იმართება, რაც სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის.

„ამ სემესტრში გავიარეთ მარკეტინგული კომუნიკაციები პრაქტიკაში და იყო ძალიან საინტერესო იმიტომ, რომ დაყოფილი იყო საგანი ოთხ კვირად და ოთხივე კვირას მოდიოდა სხვადასხვა ლექტორი და ყველა სხვადასხვა პერსპექტივით გვაჩვენებდა ამა თუ იმ საკითხს, თავის გამოცდილებას ყვებოდნენ, ქართულ ბაზარზე მორგებულ ქისებზე გვესაუბრებოდნენ; თან გვაძლევდნენ სამუშაოს, სასემინარო დავალებებს და პროექტებს, რაც უნდა გავეკეთებინა“. (მდედრ., 2011-2016)

„ძალიან ბევრი საჯარო ლექცია ტარდება ჩვენს უნივერსიტეტში, თითქმის ყოველდღე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ რაღაც სხვასაც იღებ, რასაც, ვთქვათ, შენი ლექტორი ვერ გეტყვის იმიტომ, რომ გამოცდილება არ აქვს ამაში. ძალიან ფართო მსოფლმხედველობა გიყალიბდება და ეს მნიშვნელოვანია“. (მდედრ., 2011-2016)

როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, ურთიერთობა სტუ-  
დენტსა და ლექტორს შორის არ შემოიფარგლება მხოლოდ  
ლექციებზე ინტერაქციით. ლექტორები ყოველთვის ყურ-  
ადლებით ეკიდებიან მათ შეკითხვებს და სალექციო საათების  
გარდა, დამატებით დროს უთმობენ მათვის გაურკვეველი ან  
დასაზუსტებელი საკითხების განხილვას და სტუდენტებთან  
დამოუკიდებელ მუშაობას. სტუდენტებს შორის ისიც ითქვა,  
რომ ლექტორები არასდროს ცდილობენ საკუთარი აზრის  
სტუდენტებისთვის თავზე მოხვევას და ამდენად, სტუდენტებს  
უნივერსიტეტში თავისუფალი სააზროვნო სივრცე აქვთ უზ-  
რუნველყოფილი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თავისუფ-  
ალი უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის უცხოა ლექტორების  
მხრიდან სიძულვილის ენა და მეტიც, ასეთი ლექტორი შეს-  
აძლოა თითოთ საჩვენებელიც კი გახდეს საუნივერსიტეტო  
სივრცეში.

„როდესაც მიდის საუპარი გენდერზე ან წიგნის განხილ-  
ვა გვაქვს, არასდროს შევხედრივარ სიძულვილის ენას  
და ყოველთვის მშვიდი გარემოა ამ კუთხით. დიდი დაც-  
ინვის საგანი იქნება, ვინმებ ეს რომ გააკეთოს, არ აქვს  
მნიშვნელობა, სტუდენტია თუ ლექტორი, სერიოზულად  
არავინ განიხილავს. შეიძლება ჰქონდეს დამოკიდებ-  
ულება, მაგრამ არ ამჟღავნება“. (მამრ., 2011-2016)

„ჩვენთან, მე მგონი, სტუდენტებზე აზრის მოხვევის  
მცდელობა არცერთ ლექტორს აქვს. მე რაც მომწონს,  
არის ის, რომ ლექტორებსა და სტუდენტებს შორის არის  
მეგობრული დამოკიდებულება“. (მდედრ., 2011-2016)

„ასევე, პრობლემა არ იყო, თუ ლექციაზე რამეს ვერ  
გაიგებდი, მერე გეკითხა. დამატებითი შეხვედრების სა-  
შუალებებიც გვქონდა. ხშირად უნივერსიტეტში ვმეცა-  
დინეობდით, ვამზადებდით რაღაც დავალებას და სულ  
შეგვეძლო ლექტორთან შევსულიყავით და რაღაც გვე-  
კითხა. არ წყვეტდი ამის გამო მუშაობას და არ ელოდე-  
ბოდი შემდეგ შეხვედრას“. (მამრ., 2006-2010)

ფოკუსჯგუფზე ხაზი გაესვა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის ეფექტიან მუშაობას, რაც გულისხმობს ყოველი სემესტრის ბოლოს ლექტორის, სილაბუსის და ა.შ. ანონ-იმურ შეფასებას, რასაც, სტუდენტების თქმით, გარკვეული რეაგირება მოჰყვება ხოლმე.

„ყოველი სემესტრის ბოლოს მოდის ანონიმური იმეილები, სადაც შეგვიძლია ლექტორის შეფასება. ხშირად ყოფილა მდგომარეობა, რომ ამის გამო ლექტორი გაუთავისუფლებიათ უნივერსიტეტიდან. ყველა ლექტორზე მოდის შეფასება, ასევე ითვალისწინებს საგნის სირთულეს, კურიკულუმს, სილაბუსს. არ საჯაროვდება, მაგრამ შედეგს ვხედავთ ხოლმე“. (მამრ., 2011-2016)

რაც შეეხება საუნივერსიტეტო სწავლების შედეგად მიღებულ კომპეტენციებს, დისკუსიის მსვლელობისას თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებმა არაერთი მიღებული კომპეტენცია დაასახელეს. უპირველესად, აღსანიშნავია დედუქციური/ინდუქციური მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება. ასევე, კომუნიკაციისა და ოპონირების უნარების გამომუშავება. ფოკუსჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ ისიც აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ, ვიდრე პირველი სასწავლო სემესტრი დაიწყებოდა, სტუდენტებმა გაიარეს მცირე შესავალი კურსები, მაგალითად, წაკითხული ტექსტის გააზრებასა და აკადემიურ წერაში, რაც შემდგომ სწავლის პროცესში ძალიან დაეხმარათ.

„მე ვთვლი, რომ უდიდესი დამსახურებაა ჩვენი უნივერსიტეტის, რომ რაღაცად შევდექით. მე ეს უნარები ძალიან გამომადგა მომავალში. ეს არის თავისუფლად აზროვნება, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, თუ რა მიმართულებით წაგვეყვანა პრეზენტაცია, როგორ გვეაქტიურა, შედეგზე ვყოფილიყვავით ორიენტირებული. იშვიათად თუ ვაკეთებდით რამეს მოვალეობის მოხდის მიზნით. როდესაც იცი, რომ ამაზე ბევრი რამეა დამოკიდებული, ბოლომდე იხარჯები“. (მდედრ., 2011-2016)

„სანამ უშუალოდ დავიწყებდით სწავლას, ჩაბარების შემდეგ გვქონდა სამკვირიანი მოსამზადებელი ეტაპი, სადაც გვასწავლიდნენ ჭორდ-ს, *Ebცელ-ს*, ჭონერჯონინტ-ს და ა.შ. სასწავლო პროცესის დაწყებამდე იყო აკადემიური წერის მცირე კურსი, იყო ტექსტის გააზრების, სწავლების მეთოდების კურსი, საინტერესო რაღაცები გვასწავლეს ძალიან მოკლე პერიოდში, რაც დღემდე ძალიან კარგად მადგება იმ სამ კვირაში ნასწავლით“. (მარ., 2011-2016)

რაც შეეხება სასწავლო ლიტერატურას შინაარსისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები უკმაყოფილებას არ გამოთქვამენ. სიაბაზუსით გათვალისწინებულ საკითხაც მასალას ელექტრონული სახით თავად ლექტორები უზრუნველყოფენ და მეილით უგზავნიან სტუდენტებს. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, ინფორმაციისა და სასწავლო მასალების ლექტორებსა და სტუდენტებს შორის გაცვლა მეილის გამოყენებით უპრობლემოდ ხორციელდება. ისევე როგორც ზემოთ განხილულ სახელმწიფო უნივერსიტეტებში, თავისუფალ უნივერსიტეტშიც გამოიკვეთა ქართულენოვანი ლიტერატირის სიმწირის საკითხიც. ფოკუსკვეთის მონაწილეთა ინფორმაციით, სასწავლო ტექსტები, საბაზისო საკითხავი მასალის გარდა, ძირითადად ინგლისურენოვანია. თუმცა ამის გამო რესპონდენტები უკმაყოფილებას არ გამოთქვამენ, ვინაიდან მათი ინფორმაციით, უნივერსიტეტი თავადვე ეხმარება სტუდენტებს ენობრივი ბარიერის დაძლევაში და ინგლისური ენის კურსებს სთავაზობს მათ, სადაც სტუდენტები დონეების მიხედვით ნაწილდებიან; პირველკურსელ სტუდენტებს კი, ვისაც ენობრივი ბარიერი აქვს, ქართულენოვანი თარგმანებსაც სთავაზობს.

„მეილით გვაქვს ურთიერთობა და საათივით გვაქვს აწყობილი ყველა ლექტორთან იმიტომ, რომ ყველამ იცის, რომ სემინარის შემდეგ უნდა მოგვწეროს დავალება, თემები, ნიგნები უნდა გამოგვიგ ზავნოს“. (მდედრ., 2011-2016)

„ძირითადად ინგლისურ ტექსტებს გვიგზავნიან, ქართულად არც არის მასალა. თავიდან ინგლისურის კურსს გავდივართ დონეების მიხედვით და შემდეგ ინგლისური ისე იცი, რომ რაღაც ტექსტი წაიკითხო და აზრი გაიგო და შემდეგ უკვე ოთხი კურსის განმავლობაში ინგლისურად რომ კითხულობ მასალის 80%-ს, იხვენები და ინგლისურიც კარგად იცი, ანუ B2 დონეზე ადიხარ ცოდნის მხრივ“. (მდედრ., 2011-2016)

„ბაზისური მასალა ქართულად არის წათარგმნი იმიტომ, რომ დეკანმა ერთხელ იჩხუბა, რომ, ვისაც ინგლისური არ ესმის, იმათმა რა ქნან, რა უნდა იმეცადინონო აზე ბაზისური მასალა ყველა საგანში არის ქართული“. (მამრ., 2011-2016)

განათლების ხარისხისა და სწავლის გადასახადის შეფარდების თვალსაზრისით, ფოკუსჯგუფების ფაქტობრივად ყველა მონაწილეს მიაჩნია, რომ თავისუფალ უნივერსიტეტში სწავლის ხარისხსა და საფასურს შორის სრული შესაბამისობაა. როგორც კურსდამთავრებულები, ისე სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სწავლების, სტუდენტზე ორიენტირებული სერვისისა და ინფრასტრუქტურის მაღალი სტანდარტები ამ უნივერსიტეტის სავიზიტო ბარათია. სწორედ სწავლების მაღალი სტანდარტი, კონკურენტული გარემო, რასაც უნივერსიტეტში ჩარიცხული მაღალქულიანი სტუდენტები განაპირობებენ, დასაქმების უკეთესი პერსპექტივები და, ასევე, გარდამავალი დაფინანსებით სარგებლობის შესაძლებლობა (სწავლის საფასურის გადახდა ხდება უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების შემდეგ) იყო ის მთავარი სტიმული, რის გამოც რესპონდენტებმა თავისუფალ უნივერსიტეტში ჩაბარების გადაწყვეტილება მიიღეს. გარდა ამისა, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მათთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანი იყო თავად უნივერსიტეტის მხრიდან აბიტურიენტების მოსაზიდად წარმოებული კამპანია, რომლის ფარგლებშიც მისი წარმომადგენლები აქტიურად დადიოდნენ სკოლებში და ინფორმაციას

აწვდიდნენ მოსწავლეებს უნივერსიტეტის შესაძლებლობების შესახებ.

„ვიცოდი, რომ აბარებდნენ ყველაზე მაგარი ბავშვები მაღალი ქულებით და გარემოც კარგი იყო, ინფრასტრუქტურაც და შეჯამებულად, ყველაფრის გამო ჩავაბარე“. (მდედრ., 2011-2016)

„გაცნობიერებული მქონდა თავიდან ბოლომდე-მეთქი რომ ვთქვა, ტყუილი იქნება, არ შემისწავლია წინასწარ კურიკულუმები, რას ვისწავლიდო, მაგრამ [...] ყველაზე მაღალქულიანი ბავშვები ხვდებიან თავისუფალში, მეორე ის, რომ შრომით ბაზარზე პირველია და მესამე ის, რაც თავისუფალის პიარისგან მოდიოდა, სკოლებში მოდიოდნენ ჩვენთან, გვაცნობდნენ, როგორი სისტემაა, მერე გვიწვევდნენ ლექციებზე, ღია კარის დღეებზე, ყველაზე საინტერესო იყო, რაც კი შემხვედრია“. (მამრ., 2011-2016)

ფოკუსჯგუფის მონაწილეებს შორის გამოიკვეთა კიდევ ერთი საინტერესო ნარატივი იმასთან დაკავშირებით, რომ ESM-ის ბიზნესკოლა კიდევ უფრო მაღალი სტანდარტებით ფუნქციონირებდა, ვიდრე ეს თავისუფალი უნივერსიტეტის პერიოდში ხდება. რესპონდენტების მსჯელობის თანახმად, თავისუფალი უნივერსიტეტის ჩამოყალიბების შემდეგ (2008 წლიდან) შესამჩნევად გაიზარდა მისაღები სტუდენტების რაოდენობა და, შესაბამისად, ყოველ თავისუფალ ადგილზე კონკურსიც შემცირდა. გარდა ამისა, დაინია შეფასების ქვედა ზღვარმა (61 ქულიდან 51 ქულამდე), აკადემიურ პერსონალს ახალი კადრები დაემატა და სტუდენტების გარიცხვის შემთხვევები გაიშვიათდა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, გამოითქვა მოსაზრება, რომ, თუ ადრე ESM-სთვის განათლების ხარისხი ნომერი პირველი პრიორიტეტი იყო და მისი პოლიტიკის თანხმად, ESM-ის კურსდამთავრებული მხოლოდ ის სტუდენტი იქნებოდა, რომელიც თავის სფეროში წარმატებას აუცილებლად მიაღწევდა, დღეს თავისუფალ უნივერსიტეტში ვითარება მაინც

შეცვლილია და განათლება ერთგვარ ბიზნესადაც იქცა.

„ჩვენთან ჩაჭრის ზღვარი იყო უფრო მაღალი. როდე-  
საც ბოლონის სისტემა შემოვიდა, ზღვარმა დაინია.  
რაღაცები ბევრად გაადვილდა. მე არ ვთვლი, რომ ეს  
ESM-ის შემთხვევაში კარგი იყო“. (მდედრ., 2006-2011)

„ESM-ისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მისი კურს-  
დამთავრებული ყოფილიყო წარმატებული და ვერ დაემ-  
თავრებინა იმ ადამიანს, რომელიც შემდეგ თავის საქმი-  
ანობაში ვერაფერს მიაღწევდა. [...] თავისუფალი უნივერ-  
სიტეტიც ზრუნავს ხარისხზე და თავისუფალ უნივერ-  
სიტეტსაც უნდა, რომ კურსდამთავრებულები დასაქმე-  
ბულები იყვნენ, მაგრამ, რომ შეადარო ეს დონე, ESM-ის  
დროს სამჯერ უფრო მაღალი იყო“. (მამრ., 2006-2011)

„ეს ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც ზრდი მიღებას, მი-  
იღებ ძლიერსაც, სუსტსაც, საშუალოსაც და როდესაც  
კონკურსი უფრო მეტია ერთ ადგილზე, უფრო უკეთეს  
სტუდენტს მიიღებ. როდესაც ზრდი სტუდენტების რა-  
ოდენობას, ხარისხი ყველა შემთხვევაში დაიწევს“. (მამრ.,  
2006-2011)

ზოგადად, თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრე-  
ბულებთან და სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუსჯგუფის  
შედეგად ნათლად გამოიკვეთა, რომ სხვა სამიზნე უნივერ-  
სიტეტებთან შედარებით, რესპონდენტები ნაკლებ კრიტი-  
კულნი და უფრო მეტად დადებითად განწყობილნი არიან თა-  
ვიანთი უნივერსიტეტის მიმართ. სტუდენტების შეფასებით,  
თავისუფალი უნივერსიტეტი დღეს საქართველოში საუკეთესო  
უმაღლესი სასწავლებელია, რომელსაც წარმატებული კურს-  
დამთავრებულები ჰყავს ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან მოყოლე-  
ბული, როდესაც მას ESM ეწოდებოდა (2008 წლამდე). მნიშ-  
ვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 2006-2011 წლის ფოკუსჯგუფის  
მონაწილეები ერთგვარად გარდამავალი ეტაპის სტუდენტებს  
წარმოადგენდნენ, რომლებმაც 2006-2007 წლებში ESM-ის ბი-  
ზნესკოლაში ჩააბარეს, ხოლო 2010-2011 წლებში თავისუფ-

ალი უნივერსიტეტი დაამთავრეს, რაც მათ ამ ორი სკოლის შედარების საშუალებას აძლევს. მათი ნარატივიდან აშკარად იგრძნობა ერთგვარი ნოსტალგია ESM-ის მიმართ, როდესაც უნივერსიტეტი ორიენტირებული იყო მცირე რაოდენობის, მაგრამ ძალიან წარმატებული კურსდამთავრებულების გამოშვებაზე. აღნიშნული, ერთი მხრივ, ზღუდავდა აპლიკანტებისთვის უნივერსიტეტის ხელმისაწვდომობას, თუმცა, მეორე მხრივ, უზრუნველყოფდა განათლების მაღალ ხარისხს.

## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

### უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი მისი დაარსების დღიდანვე გამოირჩეოდა კარგი სასწავლო რესურსებითა და ტექნოლოგიებით. სასწავლო ბიბლიოთეკა და ინფრასტრუქტურა დღესაც ძალიან გამართული და კარგად აღჭურვილია, რაც ნებისმიერ სტუდენტს, ლექტორსა და დასაქმებულ პერსონალს აძლევს შესაძლებლობას, საჭიროებისამებრ ისარგებლოს არსებული რესურსებით. უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტები აღნიშნავენ იმასაც, რომ ის ტექნოლოგიები, რომლებიც სხვა უნივერსიტეტებზე დიდი ხნით ადრე მათთან დაინერგა, მნიშვნელოვნად დაეხმარა მათ, დასაქმების ბაზარზე უკეთ მომზადებულები შესულიყვნენ. ფოკუსჯგუფის მონაწილეების თქმით, უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია თავისი სტუდენტების სოციალური ცხოვრებაც, რასაც ემსახურება შესაბამისი სივრცეები: სპორტული მოედნები, გასართობი ცენტრი და კარგად მოწყობილი სასადილო. ასევე, უნივერსიტეტი ზრუნავს რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის კომფორტული საცხოვრებელი გარემოთი უზრუნველყოფაზე, რომლის დასტურია უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული საერთო საცხოვრებლის რამდენიმე კორპუსი, რომელთაგან ზოგი უკვე ფუნქციონირებს,

ზოგი კი რემონტის პროცესშია. უნივერსიტეტი სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც ადაპტირებულია და დამონტაჟებულია პანდუსები, ემატება ლიფტიც.

„როცა ვნახე უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ლაბორატორიები, ვთქვი, რომ აქ ვაძარებ! უნივერსიტეტი იყო ძალიან კარგად აღჭურვილი თანამედროვე ინფრასტრუქტურით, იმ დროისთვის ეს იყო ძალიან კარგი. ბიბლიოთეკაც იყო საკმაოდ დიდი და თანამედროვე ლიტერატურით აღჭურვილი“. (მდედ., 2005-2009)

„საერთო საცხოვრებელიც ჰქონდა უნივერსიტეტს, სპორტული კომპლექსიც, მოკლედ, სტუდენტური სოციალური ცხოვრება ძალიან მრავალფეროვანი იყო. ყოველი თვის ბოლოს გვქონდა ექსკურსიები, შეჯიბრებები, ტურები, არა მარტო წიგნი, არამედ გვქონდა სოციალური ცხოვრებაც“. (მდედრ., 2005-2009)

„ახალ ლოკაციაზე გადასვლის შემდეგ რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებსაც შეეძლებათ სარგებლობა, სწავლის ფულთან ერთად საცხოვრებლის ფულიც გადაიხადონ და ვისაც სურვილი აქვს, იქ იცხოვრებს“. (მამრ., 2011-2016)

## სტუდენტთა მომსახურება

ფოკუს ჯგუფის მონაწილე ყოფილი და მოქმედი სტუდენტები სტუდენტთა მომსახურების სისტემაზეც საუბრობენ და ხაზს უსვამენ იმას, რომ უნივერსიტეტის ეს კომპონენტი კარგად გამართული და მოგვარებულია და ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია სწრაფად მიიღოს მომსახურება ადმინისტრაციისგან, რაიმე საბუთს ეხება საქმე თუ სხვა საკითხს. გამარტივებულია ინფორმაციის გავრცელებაც სწორედ აღნიშნული თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით. სტუდენტებს გაცილებით სწრაფად და მარტივად შეუძლიათ გაცვლითი პროგრამების ან სხვა მსგავსი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღება.

„მაგალითად, ძალიან მარტივი არის უნივერსიტეტიდან ნებისმიერი საბუთის მიღება. [...] ჩვენ გვაქვს სისტემა, სადაც შეხვალ, მიუთითებ, გინდა ჯარის ცნობა, ქართულად, ინგლისურად, თურქულად, ასევე ტრანსკრიპტი, სტუდენტობის მოწმობა, ძალიან ბევრი რამ ძალიან გა- მარტივებულია“. (მამრ., 2011-2016)

ისევე როგორც თავისუფალი უნივერსიტეტის შემთხვევაში, შავი ზღვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმაც გაუსვეს ხაზი აპიტურიენტების მოზიდვის სტრატეგიას, რო- მელიც საკმაოდ ეფექტურადა დანერგილი უნივერსიტეტში. რესპონდენტების ინფორმაციით, უნივერსიტეტის წარმომად- გენლები თავად დადიან სკოლებში და დამამთავრებელი კლა- სის მოსწავლეებს ხვდებიან, აცნობენ მათ უნივერსიტეტს და ბევრმა კურსდამთავრებულმა სწორედ ამგვარად გაიგო უნი- ვერსიტეტის არსებობის შესახებ.

„სპეციალური ჯგუფი იქმნებოდა, ვინც დადიოდა სკო- ლებში და სკოლებში აწვდიდნენ დაწვრილებით ინფორ- მაციას, ფინანსურს, გადასახადი რამდენი იყო, პროგრ- ამებთან დაკავშირებით... ყველაზე მეტად მომენტია, გაცვლითი პროგრამები ჰქონდა მაშინ, ერთ-ერთი იყო, შეიძლება ერთადერთიც. მაგალითად, ამერიკაში იყვნენ ჩემი ჯგუფელები, ფინანსური მომენტიც იყო, რაღაც ნაწილს გაფინანსებდა უნივერსიტეტი და რაღაც ნაწილი შენ უნდა გქონოდა“. (მდედრ., 2005-2010)

### **აკადემიური პროგრამების, აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმისა და სასწავლო პროცესის შეფასება**

აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმზე საუბრისას ორ ფოკუსჯგუფს შორის განსხვავებები გამოიკვეთა. 2005- 2010 წლის ფოკუსჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მათი სწავლის პერიოდში უნივერსიტეტში ძირითადად არაქა- რთველი, ამერიკელი ლექტორები კითხულობდნენ ლექციებს და სულ სხვა სტანდარტს ამკვიდრებდნენ. ჰქონდათ განსა-

კუთრებული მიდგომები სტუდენტებთან და იყვენენ პროფესიონალები. ლექციები ძალიან ინტერაქტიული იყო და ყველა სტუდენტი მონაწილეობდა პროცესში. ასევე აღინიშნა ლექტორების მცდელობაც, სტუდენტებს რაც შეიძლება მეტი მიეღოთ უნივერსიტეტიდან. სტუდენტები ასევე ადარებენ ქართველ და ამერიკელ ლექტორებს და ხაზს უსვამენ ამერიკელი ლექტორების უპირატესობას მეტი პროფესიონალიზმისა და სწავლების განსხვავებული მეთოდის გამო.

„პროფესიონალები იყვნენ ნამდვილად და ინტერაქტიულობას რაც შეეხება, მეტ-ნაკლებად იყო, ზოგიერთი ლექტორი უფრო მეტად, ზოგიერთი უფრო ნაკლებად, თუმცა არ მახსენდება ისეთი ლექტორი, რომელიც უბრალოდ დადგებოდა, ისაუბრებდა და ჩვენ მოვუსმენ-დით“. (მდედრ., 2005-2010)

„უცხოელები მეტად ინტერაქტიულები არიან. თუმცა ჩვენ გვყავდა ქართველი ლექტორები, რომლებიც ინტერაქტიულობით არ გამოირჩეოდნენ, მათი ახსნის სტილი და გადმოცემის უნარი მაინც ისეთი იყო, რომ პირდაპირ თავში გიდებდა, რასაც ამბობდა“. (მამრ., 2005-2010)

„ზრუნვის მომენტიც კი იყო, არ იყო ეს – მარტო ლექტორმა წაიკითხა ლექცია და წავიდა, ზრუნვის ფორმატში გადადიოდა. მაგალითად, რატომ დაბალი ქულა, შენ შეგიძლია მეტი, არ გეკადრება ეს ნაწერი“. (მამრ., 2005-2010)

2011-2016 წლის ფოკუსჯგუფის მონაწილეები უფრო კრიტიკულები არიან საკუთარი ლექტორების მიმართ. მათი თქმით, უნივერსიტეტი გაიზარდა, სწავლა ქართულადაც მიმდინარეობს, ლექტორების უმრავლესობა ქართველია, რადგან უნივერსიტეტს ადარ აქვს რესურსები, ყველა საგანში უცხოელი ლექტორი მოიწვიოს. ქართველი ლექტორების უმრავლესობას კი არ აქვს საგნის სწავლებისთვის შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება. რესპონდენტების ინფორმაციით, ზოგიერთ ლექტორს უჭირს ისეთ საკითხებზე მსჯელობა, რომელიც სცდება

მისი საგნის ან ლექციის უშუალო საკითხს, რაც მათ ზოგად კომპეტენციას ეჭვქვეშ აყენებს. ასევე, რესპონდენტები ხაზს უსვამენ განსხვავებებს, რომლებიც არსებობს სხვადასხვა ასაკის ლექტორებს შორის და ამბობენ, რომ რაც უფრო ასაკოვანია ლექტორი, მით უფრო ნაკლებ იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რომლებიც ანალიტიკური აზროვნების გამომუშავებაზეა ორიენტირებული.

„არიან ისეთი ლექტორები, რომლებიც არ შეესაბამებიან არც სფეროს, არც საგანს, მაგრამ აქვთ კარგი სივი. არც ცოდნა აქვთ, არ აქვთ კარგი გადმოცემის უნარი“. (მამრ., შავი ზღვა, 2011-2016)

„იშვიათია ლექტორი, რომელიც კონკრეტულ კითხვაზე გაგცემს პასუხს. შეიძლება ლექცია იყოს სხვა განხრით და შენ კითხვა სხვა მხრივ გაგიჩნდეს, ამაზე ლექტორი ჯერ დაფიქრდება და ან გაგცემს სრულფასოვან პასუხს, ან გეტყვის, რომ უნდა მოიძიო შენით“. (მამრ., შავი ზღვა, 2011-2016)

„...თუ დავყოფთ ასაკის მიხედვით, მივხვდებით, რომ ახალგაზრდები უფრო ხმარობენ კომპიუტერს, პროექტორს და უფრო აქვთ სურვილი, რომ ტექნიკა მოიხმარონ, ურთიერთობაშიც ბევრად უკეთესად შემოდიან და უფრო იგებენ, რა გინდა და რა არა, ვიდრე ძველი ყაიდის ლექტორები“. (მამრ., 2011-2016)

2005-2010 წლის ფოკუსჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მიუღიათ კარგი უკუკავშირი ლექტორებისგან, და აქვე აკონკრეტებენ, რომ ლაპარაკია ამერიკელ ლექტორებზე, რომ-ლებიც ყოველთვის აძლევდნენ უკუკავშირს. მეორე ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები კი ამბობენ, რომ კარგი უკუკავშირი იშვიათია. მხოლოდ ზოგიერთი ლექტორი თუ განუმარტავს სტუდენტებს, რა არის მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

„...თითქმის ყოველთვის იძლეოდა ამ უკუკავშირს, გამოხატავდა ამას სტუდენტთან საუბრისას, დასვენება-

ზე თუნდაც, წერილობით. მოსაწევ ადგილას შეგვეძლო  
ნებისმიერ თემაზე გვესაუბრა“. (მდედრ., 2005-2010)

„უცხოელი ლექტორები იყვნენ ძირითადად ჩემს დროს,  
დავუშვათ 10 ლექტორიდან 2 იყო ქართველი, დანარჩე-  
ნი გვყავდა უცხოელი და მით უმტეს ამერიკელი ლექ-  
ტორები. ჭედბაც-ს უფრო მეტად გვაძლევდნენ“. (მდ-  
ედრ., 2005-2010)

2011-2016 წლის ჯგუფის მონაწილეებმა გამოთქვეს უკმაყ-  
ოფილება იმის გამო, რომ ლექტორები არაკეთილსინდისირად  
ასრულებენ საკუთარ საქმეს. ეზარებათ ლექციისთვის მომზა-  
დება, ხშირია შემთხვევა, როცა სხვადასხვა საგანში ერთსა და  
იმავე წიგნს იყენებენ, სხვადასხვა საგნის სილაბუსები კი ერთ-  
მანეთს ემთხვევა. ლექტორები იყენებენ ერთმანეთის პრეზენ-  
ტაციებს, რომლებიც ასევე ინტერნეტიდანაა ჩამოტვირთული  
და სხვისი სახელი და გვარი აწერია. სილაბუსები თეორიულ  
მეცადინეობებზე უფროა გათვლილი, ვიდრე პრაქტიკულ  
საქმიანობაზე.

„პრაქტიკის გარდა, ჩემი აზრით, სერიოზული პრობ-  
ლემაა სხვადასხვა საგნების სილაბუსების დამთხვევა.  
შეიძლება 4 საგანში ერთი და იგივე ვისწავლოთ და ლიტ-  
ერატურაც იყოს ერთი და იგივე“. (მდედრ., 2011-2016)

„მგონი, ლექტორებს პრეზენტაციის გაკეთებაც კი ეზა-  
რებათ. მე მქონია შემთხვევა, როდესაც ერთი პრეზენ-  
ტაცია ყოფილა სხვადასხვა ლექტორთან. მგონი, ამ  
პრეზენტაციებს ინტერნეტიდან იღებენ. სახელისა და  
გვარის შეცვლაც ეზარებათ და ვიღაც ჩინელის სახელი  
წერია“. (მდედრ., 2011-2016)

რესპონდენტების ნაწილს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტს  
აქვს კომპეტენტური კადრების ნაკლებობაც. 2011-2016 წლის  
ფოკუსჯგუფის მონაწილეები ხაზს უსვამეს იმ ფაქტს, რომ მათ  
ძირითადად პრაქტიკოსი ლექტორები ჰყავთ, თუმცა მათ მიერ  
წაკითხული კურსიც კი თეორიული მასალის სწავლებაზეა

ორიენტირებული. შესაბამისად, იკარგება პრაქტიკოსი პროფესორის მოწვევის აზრიც.

„რომ შევადაროთ, რაც არის ევროპაში და აქ, ცდილობენ იყოს საერთაშორისო, ცდილობენ სილაბუსები და წიგნები დაამკიდრონ, მაგრამ შეიძლება საქართველოშიც ძნელი იყოს კადრების პოვნა, არ იყოს კონკრეტულ უნივერსიტეტზე მიმართული, რომ ჩვენს უნივერსიტეტს ჰყავს ცუდი ლექტორები. შეიძლება ზოგადად საქართველოში იყოს ასე და დამოკიდებული იყოს გადახდისუნარიანობაზე. რამდენს უხდი ხელფასს და რამდენად წამოგყება. არიან ლექტორები, რომლებსაც შეიძლება კემბრიჯში ჰქონდეთ გავლილი კურსები, ჩვენს ერთ-ერთ ლექტორს კარდიფის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, თუმცა მათ შემთხვევაშიც არ იყო ისე ლექცია, ჩამოგეძინებოდა“. (მდედრ., 2011-2016)

რაც შეეხება სასწავლო პროცესსა და პროგრამის სტრუქტურებს, ფოკუსჯგუფის მონაწილეები ამბობენ, რომ მათთან ცვლილებები ბოლონიის პროცესის დაწყებამდე, 2004 წელს დაიწყო, როდესაც შემოიღეს სილაბუსები და შეფასების ახალი სისტემა. გაიზარდა სტუდენტთა რიცხვი და ახალი პროგრამების ფორმირება/გამოყოფა მოხდა. მოიწვიეს უცხოელი ლექტორები და უფრო მრავალფეროვანი გახდა სასწავლო გარემო, რაც მანამდე არ ხდებოდა.

„ჩვენი უნივერსიტეტისთვის 2004-ში იყო მთავარი გარდამტები მომენტები, ამ დროს დაიწყო და გაფართოვდა და განსაკუთრებით მაშინ მიაქციეს ხარისხს ყურადღება“. (მამრ., 2005-2010)

ისევე, როგორც ყველა სხვა სამიზნე უნივერსიტეტის შემთხვევაში, შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულებიც საუბრობენ ქართულენოვანი ლიტერატურის არსებობის პრობლემაზე. რესპონდენტები ამბობენ, რომ როცა უნივერსიტეტში მხოლოდ ინგლისური სექტორი არსებობდა და ლიტერატურაც მთლიანად ინგლისურენოვანი იყო,

ეს საკითხი პრობლემად არ აღიქმებოდა. თუმცა ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტმა ქართული სექტორი გახსნა და გაჩნდა ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირის პრობლემა. თუმცა ფოკუსჯგუფის მონაბილეები აქვე აღნიშნავენ, რომ ინგლისურად სწავლა არ უჭირთ.

„...საჭიროა ითარგმნოს ის კარგი ინგლისური ლიტერატურა, რომლის კარგი თარგმანი რეალურად ძალიან იქციათია და ამ მხრივ, ძალიან დიდი პრობლემაა. აღარც არსებობს ქართული ლიტერატურა, ლექტორებიც აღიარებენ, რომ ეს არ არის იმ დონის ლიტერატურა, რაც ინგლისურ ენაზე არის“. (მდედრ., 2005-2010)

„ინგლისურ სექტორზე ჩვენ ეს პრობლემა არ გვქონდა, რადგან მაშინ მხოლოდ ინგლისური სექტორი იყო, ქართული არ იყო, თანამედროვე ინგლისური ლიტერატურა იყო“. (მამრ., 2005-2011)

რაც შეეხება სწავლების პროცესის შეფასებას თეორია-პრაქტიკის მიმართების თვალსაზრისით, როგორც დისკუსიებიდან გამოიკვეთა, ეს საკითხი პრობლემურია. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ძირითადად თეორიულ ცოდნას იღებენ და სწავლებაში პრაქტიკული კომპონენტის დანაკლისს განიცდიან. სახელდება შემთხვევები, როდესაც კონკრეტული ლექტორის დამსახურებით რესპონდენტები პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით მარტივად ითვისებდნენ თეორიულ მასალას. თუმცა რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ თანაფარდობა თეორიულ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას შორის ძალიან დაბალია.

„1-2 კურსზე 80% თეორია იყო, უფრო მეტიც, 90%, მაგრამ მე-3-4 კურსზე უკვე პრაქტიკის კომპონენტი იმატებდა და 40%-მდე ადიოდა“. (მამრ., 2005-2010)

„არის თეორიული მასალა და 4 წელი რომ სწავლობ, სულ თეორია არ უნდა იყოს. შეიძლება 3 კურსი დაეთმოს თეორიას და მეოთხე კურსი მთლიანად პრაქტიკას. ჩვენ

გვქონდა პრაქტიკული კურსები, მაგრამ ისინი არ იყო პრაქტიკის მიღებაზე ორიენტირებული“. (მდედრ., 2011-2016)

ფოკუსჯგუფის მონაწილეები ასევე საუბრობენ სწავლის გადასახადსა და მის შეფარდებაზე მიღებულ განათლებასა და დასაქმების პერსპექტივებთან. რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ის გადასახადი, რასაც ისინი სწავლაში იხდიან, უნივერსიტეტის პრესტიულობის გამო სრულიად მისაღებია, რადგან სწავლების სახელის გამო ისინი სამსახურს ადვილად შოულობენ.

„მე არ მქონია დაფინანსება და 1200 დოლარს ვიხდი-დი წელიწადში და იმდენად არ მენანებოდა ამ ფულის გადახდა, რომ დარწმუნებული ვიყავი, რომ 4 წლის მერე მე სამსახური მექნებოდა და მართლაც ასეა: IBSU-ს საშუალებით მაქვს ახლა სამსახური“. (მდედრ., 2005-2010)

„თვითონ 1000 დოლარიც ნამდვილად შეესაბამებოდა კი არა და ნაკლები იყო იმაზე, რასაც გვთავაზობდა უნივერსიტეტი“. (მდედრ., 2005-2010)

თუმცა გამოითქვა მოსაზრებაც, რომ სწავლება ისეთი სარისხიანი აღარაა, როგორიც ადრე იყო და გადახდილი თანხა ყოველთვის არ არის შესაბამისობაში მიღებულ ცოდნასთან. განსაკუთრებით ამ საკითხზე მეორე, 2011-2016 წლის სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ფოკუსჯგუფის მონაწილეები საუბრობენ.

„ამის განსაზღვრა ძნელია. ალბათ გადასახადს მეტს ვიხდით, ვიდრე ცოდნას ვიღებთ, თუმცა ალბათ იმასთან შედარებით, რაც სხვა უნივერსიტეტებში ხდება, უმრავლესობას შეიძლება მაინც ულირდეს“. (მდედრ., 2011-2016)

სწავლის გადასახადთან მიმართებაში რესპონდენტების ინფორმაციით, უნივერსიტეტს ყოველთვის ჰქონდა გადახდის მოქნილი სისტემა, რაც სტუდენტებსა და მათ ოჯახებს ძალიან უმარტივებს სწავლის საფასურის დაფარვას. გადახდა

ეტაპობრივად, ყოველთვიურად შეიძლება განხორციელდეს; არსებობს შიდა სტიპენდიებიც, რომელთა საშუალებითაც სტუდენტების გარკვეულ ნაწილს სრულად ან ნაწილობრივ უფინანსდება სწავლა. ასევე არსებობს შეღავათების სისტემა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ბაკალავრიატის შემდეგ მაგისტრატურას ან დოქტორანტურასაც შავი ზღვის უნივერსიტეტში აგრძელებენ და ერთი ოჯახის რამდენიმე სტუდენტი წევრისთვისაც.

„რაც შეეხება გადახდას, იმ დროს ზოგიერთი ოჯახისთვის ამ თანხის გადახდაც რთული იყო, ამიტომ ახლაც და მაშინაც უნივერსიტეტს ჰქონდა ძალიან მოქნილი გადახდის სისტემა. [...] 4 ნაწილად შეგეძლო გადაგეხადა ეს თანხა, ყოველთვეც შეგეძლო გეხადა... სესხი არ გჭირდება ბანები რომ აიღო სტუდენტებისთვის და თვითონ უნივერსიტეტი გინანილებს“. (მდედრ., 2005-2010)

შავი ზღვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს შორისაც გამოიკვეთა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების საკითხი. რესპონდენტების ინფორმაციით, სემესტრის დასასრულს ლექტორების შეფასება სტუდენტების მიერ საგალდებულოა. თუმცა, ეს რეალურად მაინც არაფერს ცვლის გარდა იმისა, რომ ლექტორი იგებს, თუ რომელმა ჯგუფმა რა შეფასება დაუწერა და შემდეგ ეს მათ ნიშნებზე აისახება. როგორც ამ ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ამბობენ, დეკანატთან პრობლემის მიტანასაც არ აქვს აზრი, რადგან არაფერი იცვლება. თუმცა, ამის საპირისპირო მოსაზრება გამოითქვა 2005-2010 ჯგუფის მონაწილეებს შორის; მათი თქმით, უნივერსიტეტი იყო პატარა და ერთი ოჯახივით, რაც აადვილებდა კომუნიკაციას. აქაც, ისევე როგორც თავისუფალი უნივერსიტეტის შემთხვევაში, აქცენტი კვლავაც სტუდენტების დაბალ რიცხოვნობაზე კეთდება; რესპონდენტების ნარატივებიდან იკვეთება, რომ რაც უფრო იზრდება სტუდენტების რაოდენობა, მით უფრო იკლებს სწავლების ხარისხი.

## **შემაჯამაპელი მიმოხილვა**

კვლევის მონაწილე ოთხი უნივერსიტეტის (თსუ-ს, ილიაუნის, თავისუფალი უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის) კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებთან ჩატარებული ჯგუფური დისკუსიების შედეგები საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ აღნიშნულ უნივერსიტეტებში განხორციელებული თუ მიმდინარე ცვლილებების დინამიკას 2005-2015 წლებში – მას შემდეგ, რაც საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ბოლონიის პროცესით გათვალისწინებული რეფორმების დანერგვა დაიწყო. მოცემული ქვეთავი არ წარმოადგენს სამიზნე უნივერსიტეტების შედარებით ანალიზს, არამედ ყურადღებას ამახვილებს სწავლების ხარისხთან დაკავშირებულ შეფასებებზე, რომლებიც ფოკუსის მონაწილეების ნარატივებში გამოვლინდა.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ სამიზნე უნივერსიტეტებში 2005-2010 და 2011-2016 წლის კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების შეფასებებში თვისებრივად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ აღინიშნება, გამონაკლისია მხოლოდ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომლის კურსდამთავრებულთა/სტუდენტთა ორი ჯგუფის შეფასებებს შორის არსებითი განსხვავება დაფიქსირდა. გამოიკვეთა ბევრი საკითხი, რომლებიც ოთხივე სამიზნე უნივერსიტეტშია აქტუალური; მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირე. რესპონდენტები ოთხივე უნივერსიტეტიდან აღნიშნავენ, რომ საკითხავი ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ინგლისურადა და არ ხდება სტუდენტების უზრუნველყოფა ქართულენოვანი თარგმანებით. თუმცა ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავეა სახელმწიფო უნივერსიტეტების შემთხვევაში, განსხვავებით კერძო უნივერსიტეტებისგან, რომელთა სტუდენტები/კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ არ უჭირთ ინგლისურენოვან ლიტერატურასთან მუშაობა, რადგან თავად უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს ინგლისური ენის მოსამზადებელი კურსებს პრობლემის გასანეიტრალიზაცია. ამ აღტერნატივაზე არ საუბრობენ სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რაც, ერთი მხრივ, იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ კერძო უნივერსიტეტებში სტუდენტების მცირე რაოდენობის გამო უფრო მარტივია ადამიანური და ფინანსური რესურსის მობილიზება. თუმცა ეს არგუმენტი არ ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ არ ზრუნავს არც ერთი უნივერსიტეტი (არც სახელმწიფო და არც კერძო) თანამედროვე ლიტერატურის ქართულენოვანი თარგმანების მომზადებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საბაკალავრო დონეზე სავალდებულოა ქართულენოვანი საკითხავი ლიტერატურის არსებობა (EPPM, 2013).

ფოკუსჯგუფების რესპონდენტებმა ისაუბრეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების არაეფექტურობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური თვალსაზრისით სტუდენტებს აქვთ საშუალება, შეფასება ყველანაირ აზრს არის მოკლებული, რადგან მასზე რეაგირება არ ხდება უნივერსიტეტის მიერ. მხოლოდ თავისუფალი უნივერსიტეტის რესპონდენტთა ჯგუფი ამბობს, რომ მათი შეფასების შედეგად შეიძლება ლექტორი სამსახურიდანაც კი გაათავისუფლონ. სტუდენტების მიერ პროფესორების შეფასება და მასზე ადეკვატური რეაგირება მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მძლავრი მექანიზმი (ENQA, 2009), რომლის საშუალებითაც უნივერსიტეტს შეუძლია განათლების ხარისხის გაუმჯობესება. ჩვენი კვლევის შედეგები კი ცხადყოფს, რომ სამიზნე უნივერსიტეტები ამ მექანიზმს არ იყენებენ, რაც მათი ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ხარვეზად შეიძლება მივიჩიოთ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მწვავედ დგას სამიზნე უნივერსიტეტების უმრავლესობისთვის, არის აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმი. ამ მხრივ ყველაზე კრიტიკული შეფასებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ გაკეთდა. თსუ-ში მეტად მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა საკუთარი პროფესიული საქმიანობისა და

თავად სტუდენტების მიმართ ნაკლები პასუხისმგებლობის მქონე აკადემიური პერსონალი. უნივერსიტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები განსაკუთრებული უკმაყოფილებით უფროსი თაობის წარმომადგენელ პროფესორებზე საუბრობენ, რომლებიც არ არიან მოტივირებული, საკუთარი ცოდნა ახალგაზრდებს გადასცენ, ნაკლებად ორიენტირებულნი არიან სწავლების თანამედროვე მეთოდებით მუშაობაზე, სასწავლო კურსის განახლებაზე (თუნდაც ინგლისური ენის არცოდნის გამო), უზღუდავენ სტუდენტებს დამოუკიდებლად/კრიტიკულად აზროვნების შესაძლებლობას და სტუდენტების მიმართ ქედმაღლურ, ხშირად დამამცირებელ დამოკიდებულებას ავლენენ. კვლევის მონაწილეთა ნარატივებში იკვეთება, რომ ლექტორების ამ კატეგორიისთვის უფრო მნიშვნელოვანია პროფესორის/ლექტორის სტატუსით განპირობებული უპირატესობის განცდა და ავტორიტეტის როლის შენარჩუნება, ვიდრე მათთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და სწავლის პროცესში მათთვის რეალური აკადემიური მხარდაჭერის განევა. ზემოხსენებული პრობლემების ლოგიკური გაგრძელებაა ისიც, რომ უნივერსიტეტში სტუდენტები ლექტორებისგან არ იღებენ (ისეთ) უკუკავშირს, რომელიც მათ აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში დაეხმარებოდა, არსებული შეფასების სისტემაც უფრო ფორმალობაა, ვიდრე სტუდენტის მიღწევების რეალური საზომი. როგორც აღინიშნა, თსუ-ში წამყვანია თეორიული სწავლება და სათანადო ყურადღება არ ექცევა პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას, რაც თავის მხრივ სტუდენტებში ისეთი საჭირო კომპეტენციების განვითარებას აფერხებს, როგორიც არის ანალიტიკური მსჯელობა, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, აკადემიური წერისა და ზოგადად, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

თსუ-ს მსგავსად აკადემიური პერსონალის ნეგატიურ დამოუკიდებულებებზე საუბრობენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და სტუდენტები. მათთვისაც პრობლემური საკითხია პროფესორების იერარქიული დამოუკიდებულება სტუდენტების მიმართ, რაც უარყოფითად

აისახება განათლების ხარისხზეც. როგორც ფოკუსჯგუფის ნარატივებში ჩანს, ლექტორებისგან უკუკავშირის მიღებისა და განუახლებელი სილაბუსების პრობლემა ილიაუნის სტუ-დენტებსაც აქვთ. თუმცა, თსუ-სგან განსხვავებით, ილიაუ-ნის შემთხვევაში პოზიტიური შეფასება აქვს პროფესორების კვალიფიკაციას და სწავლების პროცესში პრაქტიკული კომ-პონენტების ჩართულობას, რაც სტუდენტებს დასაქმებისთვის მნიშვნელოვანი უნარების შეძენაში ეხმარება.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში განათლების ხარისხთან დაკავშირებული კრიტიკული შეფასებები ძირითა-დად თეორიული და პრაქტიკული სწავლების დისპალანსის ირგვლივ კონცენტრირდება. როგორც ფოკუსჯგუფების ნარა-ტივიდან ირკვევა, აღნიშნულმა პრობლემებმა შავი ზღვის უნი-ვერსიტეტში თავი იჩინა 2011 წლის შემდეგ, როდესაც უნი-ვერსიტეტში ქართულენოვანი სექტორი გაიხსნა. შესაბამისად, გაიზარდა, როგორც სტუდენტების მიღება, ისე ქართველი ლექტორების რაოდენობა, რომელთა კომპეტენციისა და პა-სუხიმგებლობის მიმართ ფოკუსჯგუფის მონაწილეებს შორის უკამაყოფილება გამოითქვა, განსაკუთრებით კი ასაკოვანი აკა-დემიური პერსონალის მიმართ, რომელიც თავის პრაქტიკაში სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს არ იყენებს. ზემოხსენებული პრობლემები არ შეხებიათ შავი ზღ-ვის უნივერსიტეტის 2005-2010 წლების კურსდამთავრებულებს, რომლებიც უმაღლეს განათლებას ინგლისურ ენაზე იღებდნენ და უცხოელი ლექტორები ჰყავდათ, რომელთა კვალიფიკაციას და განეულ შრომას დისკუსიის მონაწილეები ცალსახად პოზი-ტიურად აფასებენ. დღეის მოცემულობითაც, ინგლისურენო-ვან სექტორში მონოდებული განათლების ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე ქართულენოვანში.

ზემოთ გამოთქმული კრიტიკული დამოკიდებულებების ფონზე უფრო მეტად თვალსაჩინო ხდება თავისუფალი უნი-ვერსიტეტის კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა განსა-კუთრებული ლოიალური დამოკიდებულება საკუთარი უნივერ-სიტეტის მიმართ. რესპონდენტების შეფასებით, თავისუფალი

უნივერსიტეტი გამოიჩინა სწავლების მაღალი სტანდარტით, რასაც განაპირობებს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება (მაგ., „ქეისზე“ დაფუძნებული პრაქტიკული სწავლება), თანამედროვე პროფესიულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობა (უცხო ენის ცოდნის პრობლემა სტუდენტებსა და პროფესორებს შორის ფაქტობრივად არ არსებობს), თავისუფალი სააზროვნო სივრცის არსებობა, პრაქტიკოსი ლექტორების სასწავლო პროცესში ჩართვა და თავად სტუდენტების ძლიერი კონტიგენტი, რომელიც უნივერსიტეტს სწავლების მაღალი სტანდარტის შენარჩუნებაში ეხმარება. შესაბამისად, თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებს მიაჩინათ, რომ ამ უნივერსიტეტში სწავლის საფასურსა და განათლების მოწოდებულ ხარისხს შორის სრული შესაბამისობაა. შეიძლება ითქვას, ერთადერთი კრიტიკული შეფასება, რომელმაც ფოკუსჯგუფებში ხარისხთან მიმართებაში გაიუღერა, არის ის, რომ ბოლო წლებში უნივერსიტეტმა საგრძნობლად გაზარდა სტუდენტების მიღება, რაც განათლების ხარისხზე არასახარ-ბიელოდ აისახება.

სალექციო და სასემინარო საათებზე სტუდენტების დიდი რაოდენობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა ყველა სამიზნე უნივერსიტეტში, რაც რესპონდენტთა შეფასებით, პირდაპირპროპორციულად უარყოფითად აისახება აუდიტორიული მუშაობის, და ზოგადად, სწავლების ხარისხზე. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ვერ იღებენ სათანადო უკუკავშირს ლექტორებისგან, ხოლო სალექციო და სასემინარო ჯგუფები გადავსებულია და რთულია ინტერაქცია პროფესორებთან.

ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწავლების ხარისხის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინდიკატორია სტუდენტთა და პროფესორთა შეფარდება (Student:Staff Ratio – SSR). დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სტატისტიკის სააგენტოს (HESA) განმარტების მიხედვით, სტუდენტთა და პროფესორთა შეფარდების გამოთვლა შემდეგნაირად ხდება: სტუდენტთა საერთო რაოდენობა (რომელშიც გათვალისწინებულია სტუდენტთა სხვადასხვა

კატეგორიები, მაგალითად, როგორც აქტიური, ისე მობილობაში მყოფი, სტატუსშეჩერებული სტუდენტები და ა.შ.) იყოფა პროფესორთა საერთო რაოდენობაზე და რაც უფრო ნაკლებია შეფარდება, მით უფრო მოსალოდნელია, რომ სწავლების ხარისხი მაღალი იქნება. მაგალითად, თუ ერთ პროფესორზე 10-20 სტუდენტი მოდის, უნდა ვივარაუდოთ, რომ სწავლების ხარისხი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ისეთ შემთხვევაში, როდესაც ერთ პროფესორზე 40-50 სტუდენტი მოდის. როგორც წესი, სტუდენტებისა და პროფესორების შეფარდებისას ითვლება მხოლოდ იმ აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომელთა მოვალეობაში სტუდენტებისთვის კლასგარეშე ინდივიდუალური კონსულტაციებისთვის დროის გამოყოფაც შედის. ამ შეფარდების გამოსათვლელად არ იყენებენ მოწვეული პროფესურის რაოდენობრივ მაჩვენებლებს. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს უნივერსიტეტებში საკმაოდ მაღალია მოწვეული ლექტორების რაოდენობა, გადავწყვიტეთ, ცხრილში ორივე მაჩვენებელი (მხოლოდ მუდმივი აკადემიური პერსონალის შეფარდება სტუდენტებთან და მთლიანი აკადემიური პერსონალის შეფარდება სტუდენტებთან) გამოგვეტანა.

კვლევის სამიზნე უნივერსიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სტუდენტთა და მთლიანი აკადემიური პერსონალის (მოწვეულის ჩათვლით) შეფარდების მიხედვით, ყველაზე უკეთესი შედეგები კერძო უნივერსიტეტებში აღინიშნება, სადაც ყოველ რვა სტუდენტზე საშუალოდ ერთი პროფესორი მოდის. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კერძო უნივერსიტეტებში სტუდენტთა საერთო რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტებში მაშინ, როცა მათი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა თითქმის იმდენივეა, რამდენიც, მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. სამიზნე უნივერსიტეტებში პროფესორთა ყველაზე მაღალი რაოდენობა ტექნიკურ უნივერსიტეტში ფიქსირდება (1520 ადამიანი). მას მოსდევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 767 აკადემიური პერსონალით და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 271 აკადემიური პერსონალით.

თსუ-ს შემთხვევაში პროფესორთა რიცხვი მოვიპოვეთ არა თავად უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან, როგორც ეს სხვა უნივერსიტეტების შემთხვევაში მოხდა, არამედ მისი ვებგვერდიდან. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თსუ-ს ვებგვერდზე მითითებულია მხოლოდ სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით, თუმცა არაფერია ნათქვამი მოწვეული ლექტორების რაოდენობის შესახებ. მხოლოდ ერთს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს აქვს ეს ინფორმაცია საკუთარ ვებგვერდზე განთავსებული. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაშიც მხოლოდ აკადემიური პერსონალის რაოდენობა გვაქვს, რადგან უნივერსიტეტის წარმომადგენლებს არ მოუწოდებიათ ინფორმაცია მოწვეული ლექტორების რაოდენობის შესახებ.

რაც შეეხება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების შეფარდებას (მოწვეული ლექტორების მაჩვენებლის გამოკლებით), როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტებში ის 32:1-იდან 76:1-მდე მერყეობს. გამონაკლისია ტექნიკური უნივერსიტეტი, სადაც აღნიშნული შეფარდებაა 17:1 (იხ. ცხრილი 2.1). მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ OECD-ის სტუდენტებისა და პროფესორების შეფარდების საშუალო მაჩვენებელი 2011-2016 წლებში მერყეობს 14:1- 16:1 (OECD Education at a Glance. 2011-2015 წლის ანგარიშები. ცხრილი D2.2)

**ცხრილი 2.1. სტუდენტთა და პროფესორთა შეფარდება უნივერსიტეტების მიხედვით**

უნივერსიტეტი	სტუდენტები	მუდმივი აკად. პერსონალი	SSR	აკად. პერსონალი მოწვეულების ჩათვლით	SSR
ილიაუნი	20727	271	<b>76:1</b>	N/A	N/A
თსუ	30811	711	<b>43:1</b>	767	40:1
ტექნიკური	20503	1185	<b>17:1</b>	1520	13.5:1
თავისუფალი	2043	63	<b>32:1</b>	274	7:1
ჯიპა	1223	38	<b>32:1</b>	268	5:1
შავი ზღვა	2648	63	<b>42:1</b>	206	19:1

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ გაუღერებული მოსაზრება, რომ ლექცია-სემინარებზე სტდუენტების დიდი რაოდენობა უარყოფითად აისახება სწავლების ხარისხზე, დასტურდება მოცემული რაოდენობრივი მონაცემებით. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ კვლევის რესპონდენტების ინფორმაციის თანახმად, პროფესორის ხელფასი დამოკიდებულია მხოლოდ ჩატარებული ლექცია-სემინარების რაოდენობაზე და ფაქტობრივად არ ითვალისწინებს სტუდენტთან დამოუკიდებლად მუშაობის, კონსულტირების, უკუკავშირის მიცემაზე დახარჯულ დროსა და ენერგიას, თუმცა ფორმალურად ეს პროფესორის ვალდებულებაში შედის. სტუდენტებისა და პროფესორების (და არა მოწვეული ლექტორების) შეფარდების გამოყენება სწავლების ხარისხის ინდიკატორად კი ამოსავალ წერტილად სწორედ ამ დამოუკიდებელი, კლასგარეშე აქტივობის (უკუკავშირის) აუცილებლობას მოიაზრებს (Court, 2012).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტების შემთხვევაში გამოვლინდა, დაკავშირებულია შეფასების 100-ქულიან სისტემასთან, რომელიც სტუდენტის აკადემიური მიღწევების შეფასების უფრო ფორმალური ინსტრუტუმენტია, ვიდრე მისი რეალური საზომი. ფოკუსჯგუფის რესპონდენტების აზრით, ეს პრობლემა გამომდინარებს იქიდან, რომ არ არსებობს შეფასების შემადგენელ კომპონენტებზე (დასწრება, შუალედური და ფინალური გამოცდები, საპრეზენტაციო მოხსენება და სხვ.) ქულების განაწილების ერთიანი სტანდარტი და შესაბამისად, ლექტორებს სრული თავისუფლება აქვთ, სურვილისამებრ გაანაწილონ ქულები. ასეთ შემთხვევაში კი შესაძლებელია არაადეკვატურად მაღალი ქულა მიენიჭოს ისეთ კომპონენტს(ებს), რომელიც სტუდენტის რეალურ ცოდნას ვერ შეაფასებს, თუმცა მაღალი შეფასების მარტივად დაწერის შესაძლებლობას მისცემს როგორც ლექტორს, ისე სტუდენტს.

გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ რესპონდენტების ნარატივებიდან აშკარად იკვეთება მოთხოვნა სწავლებაში თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე. მიუხედავად იმისა, რესპონდენტები

დადებითად აფასებენ უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების ხარის თუ უარყოფითად, ყველა ფოკუსჯგუფის მონაწილე აღნიშნავს, რომ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და კონკრეტული, პრაქტიკული უნარების შეძენა, როგორიცაა პრეზენტაციის უნარები, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება და ა.შ., რაც წარმოადგენს კიდევ შრომის ბაზრის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოთხოვნას, მათთვის პრიორიტეტული და გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე თეორიული ცოდნის მიღება. შესაბამისად, მეტია მოთხოვნა სწავლების პრაქტიკულ კომპონენტებზე, „ქეისებსა“ და სიმულაციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და სემინარების ინტერაქტიულ ფორმატზე.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს. ეს ეხება სხვადასხვა კურსის ფარგლებში, ასევე ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში მსგავსი საგნების არსებობას. რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს, რომ ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე საგანს, იდენტური სილაბუსითა და საკითხავი მასალით სხვადასხვა კურსზე (შავი ზღვის უნივერსიტეტის შემთხვევაში), ან ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში (ილიაუნის შემთხვევაში) გადიან. ეს პრობლემა, ერთი მხრივ, დაკავშირებულია თავად უნივერსიტეტების შეგნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის არაეფექტიან მუშაობასთან, და მეორე მხრივ, აკრედიტაციის სისტემის ნაკლოვანებასთან, რომელმაც მსგავსი პრობლემა ვერ დააფიქსირა.

ზემოთქმულის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ნარატივებიდან გამომდინარე, რთულია, დავინახოთ მოიტანა თუ არა პოზიტიური ცვლილებები ბოლონიის პროცესმა სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. წლების განმავლობაში განხორცილებული ცვლილებები მეტ-ნაკლებად ფიქსირდება ინფრასტრუქტურის და მომსახურების კუთხით (ბიბლიოთეკები, ტექნიკური აღჭურვილობა, სტუდენტების მომსახურება), თუმცა გაუმჯობესება შესამჩევი არ არის განათლების ხარისხის თვალსაზრისით.

### ნაცილი III.

## უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია (უგი) წარმოადგენს უმაღლესი განათლების ეროვნულ პოლიტიკაში, მის მიზნებსა და სამოქმედო გეგმაში საერთაშორისო, ინტერკულტურული და გლობალური განზომილებების ინტეგრაციას (Knight, 2008, as cited in De Wit et al., 2015). უგი-ს საერთო მიზანი საკმაოდ მრავალმხრივია. ის სცდება მხოლოდ სწავლებისა და აკადემიური ხარისხის საერთაშორისო მასშტაბით ამაღლებას და ორიენტირებულია „მსოფლიო მოქალაქის“ იდეისა და ღირებულებების გავრცელებაზე, მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერაზე, ასევე ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობასა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე (Teichler, 2009, De Wit et al., 2015).

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საერთაშორისო პრაქტიკა უკვე არაერთ ათწლეულს ითვლის (De Wit et al., 2015). თუმცა უგი, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, წლების განმავლობაში ფოკუსირებული იყო ძირითადად უნივერსიტეტებს შორის საერთაშორისო ფიზიკური მობილობის გაძლიერებაზე. 2012 წელს უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის (EHEA, რომლის წევრი საქართველოც არის) მიერ მობილობის 2020 წლის სტრატეგიაში (იგივე ბუქარესტის კომუნიკე) შევიდა დამატებები, რომლებიც განსაზღვრავს არა მხოლოდ საერთაშორისო მობილობის სამიზნე რაოდენობას (სტრატეგიის თანახმად, 2020 წლისთვის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში კურსდამთავრებულების მინიმუმ 20%-ს უნდა ჰქონდეს სწავლის ან ტრენინგის გამოცდილება საზღვარგარეთ), არამედ უზრუნველყოფს მობილობის მხარდამჭერი და ასევე, „ყოვლისმომცველი ინტერნაციონალიზაციის“ ხელის შემწყობი (Hudzik, 2011) ღონისძიებების გატარე-

ბას (EHEA Ministerial Conference, Mobility for Better Learning, Bucharest 2012). ეს ისეთი ღონისძიებებია, რომლებიც ეხება უმაღლესი სასწავლებლების მთლიან ინსტიტუციურ საქმიანობას და არა მხოლოდ მათ რომელიმე ცალკეულ კომპონენტს. ჰუძიკი (2011) აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია, ინტერნაციონალიზაცია აღიარებული და გაზიარებული ღირებულება იყოს, როგორც უმაღლესი სასწავლებლების მმართველი რგოლისა და ადმინისტრაციის მხრიდან, ისე ფაკულტეტებისა და სტუდენტების მიერ. ამ ღირებულების პრაქტიკაში გატარება კი უნდა ხდებოდეს სწავლების, კვლევისა და უნივერსიტეტის ყველა სერვისის დონეზე. ჰუძიკის აზრით, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია „ინსტიტუციური იმპერატივია“, რომლის გარეშეც შეუძლებელია უმაღლესი განათლების სისტემაზე გლობალიზებული ეკონომიკისა და კომუნიკაციების გამოწვევებს უპასუხოს, რასაც პირდაპირი გავლენა აქვს ინდივიდების ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე (2011). თანამედროვე ეპოქაში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია განისაზღვრება, როგორც „რეაქცია“ გლობალიზაციაზე. დღეს საერთაშორისო უმაღლესი განათლება ფორმების, მიმართულებებისა და მიდგომების ძალიან ფართო დიაპაზონს წარმოადგენს. საერთაშორისო სტუდენტების რეკრუტირება, კურსდამთავრებულების გლობალური დასაქმების ბაზრის მომზადება, უნივერსიტეტებისა და აკადემიური პროგრამების ფრანშიზი, ეროვნული განათლების პროდუქტის საზღვრებს გარეთ გატანა, საერთაშორისო ტალანტების ცოდნის ეკონომიკაში მოზიდვა და ონლაინ სწავლებაც ბოლო ათი წლის განმავლობაში უგი-ს მნიშვნელოვანი კომპონენტები გახდა. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ საერთაშორისო მასშტაბით მრავალი უნივერსიტეტი, რომელიც თავს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გამტარებლად აცხადებს, ხშირად მხოლოდ ფრაგმენტულად აკმაყოფილებს ინტერნაციონალიზაციის კრიტერიუმებსა და აქტივობებს, რადგან არ აქვს განვითარებული ინტერნაციონალიზაციის ყოველმხრივი სტრატეგია და მისი შემუშავების შესაძლებლობები (Wit et al., 2015). სწორედ ამ

კომპლექსურ ხედვაზეა ლაპარაკი ბუქარესტის კომუნიკეში, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო თანამშრომლობისა და მობილობისთვის ხელის შემსლელი, ლოკალურ დონეზე არ-სებული ბარიერების მინიმიზაციას (მაგ., მოქმედი ეროვნული კანონმდებლობების სახით), ერთობლივი აკადემიური პროგრამების დანერგვის ხელშეწყობას, არაფორმალური სწავლების აღიარებას და სხვ.

თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში განასხვავებენ უგი-ს ორ ფართო მიმართულებას – საგარეო (internationalization abroad) და საშინაო ინტერნაციონალიზაციას (internationalisation at home) (Knight, 2008, as cited in Wit, et al., 2015). ეს არის ინტერნაციონალიზაციის ორი დიდი კატეგორია და თითოეულს თავისი შემადგენელი კომპონენტები აქვს. საგარეო ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ფიზიკური პირების, პროექტების, პროგრამებისა და პროვაიდერების მობილობას. საშინაო ინტერნაციონალიზაცია მეტად ფოკუსირებულია ინტერკულტურული უნარების, გლობალური ხედვის განვითარებასა და ეროვნული საგანმანათლებლო კურიკულუმების ამ მიმართულებით ადაპტირებაზე. შესაბამისად, საგარეო ინტერნაციონალიზაციის მთავარი კომპონენტებია კრედიტების, ხარისხისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობა და ტრანსნაციონალური განათლება (უნივერსიტეტის ფილიალები/კამპუსები საზღვარგარეთ, აკადემიური პროგრამების ფრანშიზი, პროგრამების ვირტუალური/ელექტრონული მობილობა). ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, განსაკუთრებით საერთაშორისო მობილობის მიმართულებით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს Erasmus-ის პროგრამა (ყოფილი Erasmus Mundus, ამჟად Erasmus+ პროგრამა), რომლის მთავარ ორიენტირად ადრეული 90-იანი წლებიდან კვლევისა და განათლების ინტერნაციონალიზაცია იქცა. Erasmus-მა შექმნა საფუძველი ბოლონიის პროცესის ინიციირებისთვის და ისეთი ინსტრუმენტები მის განსახორციელებლად, როგორიც არის კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS). Erasmus-ის პროგრამისა და ბოლონიის პრო-

ცესის თანამშრომლობა იქცა არა მხოლოდ ინტრარეგიონულ და ევროპის ფარგლებში მობილობის წარმატებულ პროექტად, არამედ გადაიზარდა ინტერრეგიონულ კოლაბორაციაში და გასცდა ევროპის საზღვრებს.

რაც შეეხება საშინაო ინტერნაციონალიზაციას, მისი მთავარი კომპონენტი სასწავლო კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციაა. კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია ის საფუძველმდებარე ინსტრუმენტია, რომლითაც შესაძლებელია ინტერკულტურული და გლობალური პერსპექტივის ინკორპორირება ეროვნულ სასწავლო მიზნებში, შინაარსსა და აქტივობებში, სწავლის მეთოდებსა და შეფასების სისტემებში. კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს საშინაო ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში, რადგან საერთაშორისო ღირებულების განათლებას ხელმისაწვდომს ხდის ყველა სტუდენტისთვის და არა მხოლოდ იმ პრივილეგირებული უმცირესობისთვის, რომელიც ფიზიკური მობილობით სარგებლობს (Wit et al., 2015). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერკულტურულ და გლობალურ კომპეტენციებს, ასევე კურიკულუმების მოდერნიზებას არც საგარეო ინტერნაციონალიზაცია გამორიცხავს. შესაბამისად, ასეთი დაყოფა უფრო პირობითი ხასიათისაა და საზღვრები ინტერნაციონალიზაციის ამ ორ კატეგორიას შორის მეტად მყიფეა (იქვე).

90-იანი წლებიდან გამოიკვეთა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკურ-ეკონომიკური ორიენტირები და შესაბამისად, „გლობალური მოქალაქეობა“ და „გლობალური კომპეტენცია“ იქცა საკვანძო საკითხებად და ღირებულებებად, რომლებიც გვხვდება უმაღლესი განათლების საერთაშორისო დოკუმენტებში, ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციურ სტრატეგიებში და რომელსაც თავიანთ მიზნებში განიხილავენ ისეთი დიდი გაერთიანებები, როგორებიცაა გაერო, ევროკომისია და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD) (იქვე, გვ. 52). გლობალური კომპეტენციის საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად,

რამდენადაც დაკავშირებულია გლობალურ შრომის ბაზარზე დასაქმებასთან, ხოლო გლობალური მოქალაქეობა კავშირშია ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებასთან ისეთი გლობალური საკითხების შესახებ, როგორიც არის ჯანდაცვა, სიღარიბე, ეკოლოგია, მშვიდობა, სამოქალაქო ჩართულობა და მსგავსი (იქვე, გვ. 52).

კონკურენტუნარიანობის პრინციპი ევროპაში უგი-ს მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა. ამის საფუძველი გახდა 2000 წელს ბოლონიის პროცესისა და ევროკავშირის მიერ ერთობლივად შემუშავებული ლისაბონის სტრატეგია, რომლის უმთავრესი მიზანია საერთაშორისო ასპარეზზე ევროპული საზოგადოების კომპეტენციურ და ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებად პოზიციონირება. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროდ განისაზღვრა ევროპული საგანმანათლებლო კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების მეტი გამჭვირვალეობისა და შედარებითობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, აქცენტმა პროდუქტის მოკლე ვადებში მიღებიდან, რაც შედეგის მდგრადობას საეჭვოს ხდის, გადაინაცვლა პროცესზე, რაც კომპლექსურ-ინსტიტუციურ მუშაობასა და მდგრადი შედეგების მიღწევას გულისხმობს შედარებით გრძელვადით პერსპექტივაში (De Wit et al., 2015). თუმცა ამის პარალელურად სულ უფრო მზარდია დისკუსია იმის შესახებ, რომ უმაღლესი განათლების სისტემები კომერციალიზაციას განიცდიან და ხისტი კაპიტალიზმის პირობებში სოციალურ, კულტურულ, ინტელექტუალურ მიზნებსა და პასუხიმგებლობას შორდებიან. ასევე მნიშვნელოვან საკითხია მიიჩნევა ის, რომ უნივერსიტეტებისთვის საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მათ შორის კონკურენცია წამყვან ღირებულებად იქცა, რომლის პირობებშიც კურსდამთავრებულთა სახით „ინარმოება“ პროდუქტი დასაქმების საერთაშორისო ბაზრისთვის (Naidoo and Jamieson, 2005; De Wit, 2013). არანაკლებ საყურადღებო საკითხია „უმაღლესი განათლების მაკდონალდიზაციაც“ (Altbach, 2012). ეს ფენომენი პირდაპირ არის დაკავშირებული უნივერსიტეტებისა და ცალკეული აკადემიური პროგრამების ფრანშიზთან, რაც ოფშორული აქტივობის

(საგანმანათლებლო პროდუქტის საზღვრებს გარეთ გატანა) დაბალი ხარისხით შესაძლებლობას ზრდის, ვინაიდან დისტანციურად ხარისხის მონიტორინგი შეზღუდულად ხორციელდება.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის განხორციელება, გამომდინარე მისი კომპლექსური და მასშტაბური ხასიათიდან, გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. განათლების არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ დღემდე არ არსებობს ერთი უნივერსალური მოდელი, რომლითაც ქვეყნები შეთანხმებულად იხელმძღვანელებდნენ, რაც პროცესის მონიტორინგსა და შედეგების პროგნოზირებას უფრო მარტივს გახდიდა (თუმცა მეორე საკითხია, რომ ქვეყნების უმრავლესობას არ აქვს შემუშავებული არც ინტერნაციონალიზაციის ეროვნული სტრატეგია, რაც ქვეყნების მიხედვით მათი შედარების შესაძლებლობას გამორიცხავს). შესაბამისად, უგის განსაზღვრა ქვეყნის კულტურული თავისებურებების და ეროვნული კანონმდებლობის სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება. ეს გარემოებები ხშირად ეროვნულ დონეზე უგი-ის იდეის არასაწორად გაგების საფუძველი ხდება, კერძოდ, უგი წარმოდგენილია არა როგორც მიზნის მიღწევის საშუალება, არამედ როგორც საბოლოო მიზანი და პროცესის დასასრული (Frolich and Veiga, 2005; Knight, 2011; De Wit, 2011 as cited in De Wit, et al., 2015). იმის გათვალისწინებით, რომ EHEA-ს წევრ ქვეყნებს ერთმანეთისგან განსხვავებული სასტარტო პირობები და მობილობის მხარდამჭერი რესურსები აქვთ, EHEA-ს 2012 წლის მობილობის სტრატეგიაში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვით, ქვეყნებმა დამოუკიდებლად უნდა შეიმუშაონ ინტერნაციონალიზაციისა და მობილობის რეალისტური და განხორციელებადი ეროვნული გეგმა მეტი ეფექტურობის მისაღწევად (Bologna Process Implementation Report, 2015). EHEA-ს მოწოდების მიუხედავად, ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციის 2015 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2013-14 წლის მონაცემებით, 48 ქვეყნიდან მხოლოდ 16-ს აქვს შემუშავებული ინტერნაციონალიზაციის ეროვნული გეგმა, ხოლო რამდენიმე

წევრი ქვეყანა (ხორვატია, საფრანგეთი, ჰოლანდია და პორტუგალია) სტრატეგიის შემუშავების პროცესშია. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში უგი-ს დამოუკიდებელი სტრატეგია არ აქვს და ის ეკონომიკური განვითარების ვრცელი სტრატეგიის ერთ-ერთი ნაწილია (Bologna Process Implementation Report, 2015).

საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის (International Association of Universities – IAU) მიერ 2013-2014 წლებში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შესახებ ჩატარებული კვლევის რეგიონული შედეგების მიხედვით, ევროპაში (იგულისხმება ევროპის ქვეყნების აგრეგირებული მაჩვენებელი) ინტერნაციონალიზაციის ყველაზე მნიშვნელოვან პოზიტიურ ეფექტად, პირველ რიგში, სწორედ სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება დასახელდა, შემდეგ კი – გაფართოებული საერთაშორისო თანამშრომლობა და გაუმჯობესებული შესაძლებლობები (capacity building), აგრეთვე სტუდენტების ცნობიერების ამაღლება გლობალური მნიშვნელობის საკითხებზე. იმავე კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ქვეყნების უმრავლესობა უგი-ს ხელშემწყობობით და საშინაო (ქვეყნის შიდა) ფაქტორს ასახელებს: უნივერსიტეტის დონეზე უგი-ს სტრატეგიის არსებობა/მოქმედებასა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის (რექტორი, ვიცე-რექტორი, კანცლერი, უფროსი სპეციალისტები) მოტივაციას, რეალურ დაინტერესებასა და ინტენსიურ ჩართულობას მის განხორციელებაში. სახელმწიფოს დონეზე კი რელევანტური ეროვნული პოლიტიკის არსებობა აღინიშნა (IAU 4th Global Survey on Internationalization of Higher Education, 2014). არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ პოლიტიკას, რომლის თვალსაჩინოებაც არის ევროპავშირის მიერ ინიციირებული მასშტაბური პროგრამები (ERASMUS, MARIE CURIE) და ასევე, ბოლონიის პროცესი, რომელიც, თავის მხრივ, არა მხოლოდ გარდაქმნის უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცეში საგანმანათლებლო ინსტიტუტების მიზნებს, შინაარსსა და სტრუქტურას, არამედ ქმნის პლატფორმას ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებისთ-

ვის როგორც ინსტიტუციურ, ისე ეროვნულ დონეებზე (European University Association, 2013).

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია საქართველოში 2005 წელს დაიწყო, როდესაც ის ბერგენის სამიტზე პოლონიის პროცესს შეუერთდა და მოგვიანებით, უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის (EHEA) წევრიც გახდა. ორივე პლატფორმის მთავარი ამოცანაა ევროპაში (ევროკავშირის წევრი, კანდიდატი, ასოცირებული და პარტნიორი ქვეყნების ჩათვლით) შეთანხმებული და შედარებადი უმაღლესი განათლების სისტემის განვითარება.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების დოკუმენტის ხელმოწერის (2014) შემდეგ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა და პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხად იქცა, რამეთუ ასოცირების დოკუმენტის ხელმოწერით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულებაა უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება და მისი თანხვედრა ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა“ და ბოლონიის პროცესთან (საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი, 2014. გვ. 17).

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკური და ეკონომიკური განზომილებები ასახულია როგორც საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ (თავი 1, მუხლი 3, პუნქტი 1) და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020-ში, ისე განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგიული მიმართულებების დოკუმენტში (სამუშაო ვერსია). ამ დოკუმენტებში ნათლად არის განსაზღვრული განათლების სფეროს მნიშვნელოვანი როლი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატებაში, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებაში, კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის დაგროვებაში როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე დასაქმების ბაზრისთვის (იქვე). გარდა ამისა, ლაპარაკია უმაღლესი განათლების სისტემას და კერძო სექტორს შორის მჭიდრო თანამშრომლო-

ბაზე. მართალია, ნორმატიულ დონეზე პრიორიტეტები ნათლად არის განსაზღვრული, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების პოლიტიკის ჰილისტური ანალიზი არ კეთდება და მხოლოდ ფრაგმენტული, ცალკეულ კომპონენტებზე მომზადებული შეფასებითი და მიმოხილვითი დოკუმენტებია ხელმისაწვდომი.

EHEA-ს სხვა წევრი ქვეყნების მსგავსად, საქართველოში ბოლონიის პროცესის მიმდინარეობის შესახებ უახლესი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციის 2012-2015 წლების ეროვნულ ანგარიშში<sup>6</sup>. ბოლონიის ანგარიშები ეფუძნება მონაცემებს, რომლებიც მოპოვებულია ბოლონიის მონიტორინგის ჯგუფის (Bologna Follow-Up Group – BFUG) მიერ შემუშავებული სპეციალური კითხვარის საფუძველზე. ANRA-შის MIXEDVIთ, ვA4AლთVE<sup>7</sup> 1M ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც უგი-ს ეროვნული სტრატეგია არ აქვს. თუმცა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და მისი ბარიერების აღმოფხვრა გაწერილია „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“-ის (საქართველოს მთავრობა, 2013) უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების მიზნებში და ასევე, ძალიან ბუნდოვნად, თუმცა მაინც აღნიშნულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამუალოვადიან, 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმაში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #527, 2016). აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ფუნქციონირებს უმაღლეს განათლებაზე ორიენტირებული სპეციალური უწყება, რომელიც საქართველოში ბოლონიის პროცესს კურირებს, ხოლო განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია ცალკე სამუშაო მიმართულებად აქვს გამოყოფილი. საქართველოს შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რომელსაც

6 2012-2015 წლის ანგარიში შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უწყებების წარმომადგენლების მიერ.

შემუშავებული აქვს უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგია“. სტრატეგია ითვალისწინებს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ფაქტობრივად ყველა მიმართულებას, დაწყებული საერთაშორისო კვლევის, აკადემიური პროგრამების მოდერნიზებისა და საერთაშორისო მობილობის კომპონენტებით, დამთავრებული ელექტრონული სწავლების ხელშეწყობის საკითხებით, თუმცა მოცემული არ არის არც მათი განხორციელების გზები/მექანიზმები და არც შესრულების შეფასების კრიტერიუმები (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგია).

რაც შეეხება უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ფინანსურ მხარდაჭერას, ბოლონიის პროცესის საერთაშორისო ანგარიშში (2015) განხილულია ევროპული ქვეყნების გამოცდილება, რომლის თანახმად, მხოლოდ სტუდენტების საერთაშორისო მობილობის მხარდასაჭერად, მაგალითად, ბელგიის ბიუჯეტმა 2013-14 წლებში 3.8 მლნ ევრო შეადგინა (რომლის გაზრდაც 7 მლნ ევრომდე იგეგმება 2019-20 წლებისთვის); იტალიის შემთხვევაში სტუდენტების მობილობისთვის გამოყოფილ იქნა 12 მლნ ევრო, დამატებით 1.5 მლნ ევრო ერთობლივი აკადემიური პროგრამების განვითარებისა და ქვეყანაში შემოსული საერთაშორისო სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერისთვის (Bologna Process Implementation Report, 2015).

საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2015 წელს უმაღლეს განათლებაზე დაიხარჯა სულ 132,736.7 ათასი ლარი, რამაც გეგმის (130,096.8 ათასი ლარი) 102% შეადგინა (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წლიური ანგარიში, 2015). 2016 წლის გეგმის მიხედვით, უმაღლესი განათლების დაფინანსება 41 287.4-ით შემცირებულია და 88,809.2 ათას ლარს შეადგენს. 2016 წლის 9 თვის მონაცემებით, უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე დახარჯულია 89,580.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.9%-ს შეადგენს. ფუნქციონალურ ჭრილში განათლებაზე (მთლიანად) განეული ხარჯები სახელმწიფო ბიუ-

ჯეტის მხოლოდ 10.8%-ს შეადგენს (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიში, იანვარი-სექტემბერი, 2016).

ალსანიშნავია, რომ ბოლონიის პროცესის 2012-2015 წლების საქართველოს ანგარიშის მიხედვით, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეროვნულ დონეზე ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის ერთადერთ წყაროდაა მითითებული. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, სტუდენტთა პროგრამული დაფინანსებისთვის გამოიყო 12.7 მილიონი ლარი (სამინისტროს წლიური ანგარიში, 2015), რაც გულისხმობს სტუდენტების სწავლის დაფინანსებას საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ უნივერსიტეტებში და არ ითვალისწინებს სტუდენტების საზღვარგარეთ მობილობის ფინანსურ მხარდაჭერას ან ინტერნაციონალიზაციის სხვა აქტივობებს. რაც შეეხება შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ბიუჯეტს, 2015 წლის ბიუჯეტმა 28,682,611.0 ლარი შეადგინა (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2015 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი). რუსთაველის ფონდის შემთხვევაშიც გასათვალიწინებელია, რომ ფონდის გამოკვეთილი პრიორიტეტია სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაცია და ქართველი მეცნიერების საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერა ერთობლივი პროექტების, სამოგზაურო ხარჯებისა და უცხოეთში სტაუირების დაფინანსების უზრუნველყოფით. შესაბამისად, ფონდს აქვს თავისი განსაზღვრული, პრიორიტეტული სამუშაო მიმართულებები, რომელიც ამ ეტაპზე არ ვრცელდება უგი-ს ყველა კომპონენტზე (მაგ., სასწავლო საერთაშორისო მობილობის გრანტები ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის). შესაბამისად, ბოლონიის პროცესის 2012-2015 წლების საქართველოს ანგარიშში მითითებული წყაროები არ წარმოადგენს უნივერსიტეტის დონეზე მოქმედ უგი-ს მხარდამჭერ პირდაპირ მექანიზმებს.


## საერთაშორისო მობილური პროცედურა: საქართველო

როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, საერთაშორისო მობილობა ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია. მობილობის მთავარი აქტორები სტუდენტები, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალია. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, შეიძინონ ის მნიშვნელოვანი კომპეტენციები და საჭირო უნარები, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე ეროვნულ ან თუნდაც გლობალურ სამუშაო ბაზარზე კონკურენტუნარიანობისა და თავის დამკვიდრებისთვის. სამუშაო პერსონალისთვის მობილობა ინსტიტუციური განვითარებისთვის საჭირო მეთოდებისა და უნარების შესახებ ახალი ცოდნის მიღების, ასევე ინსტიტუციური ურთიერთობების განახლების კარგი საშუალებაა. გარდა ამისა, ინტერნაციონალიზაცია „აიდულებს“ როგორც მიმღებ, ისე გამშვებ უნივერსიტეტებს, მუდმივად იზრუნონ მენეჯმენტის, საგანმანათლებლო სერვისებისა და ადმინისტრაციული საქმიანობის გაუმჯობესებასა და სტუდენტთა საჭიროებების მიხედვით მათ ადაპტირებაზე (Bologna Process Implementation Report, 2015).

საქართველოში მობილობით შემოსული და ქვეყნიდან მობილობით გამგზავრებული სტუდენტების წლების მიხედვით რაოდენობრივ აღრიცხვას სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) აწარმოებს. საქსტატის ოფიციალურ მონაცემებს ეყრდნობა ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციის ანგარიშებიც. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანამხად, საქართველოში სტუდენტების საერთაშორისო მობილობას მზარდი ტენდენცია აქვს, როგორც ქართველი სტუდენტების საზღვარგარეთ გამგზავრების, ისე უცხოელი სტუდენტების საქართველოში ჩამოსვლის თვალსაზრისით. თუმცა საქსტატის ეს მონაცემები საერთაშორისო მობილობის ჯამური მაჩვენებლებია და არ გვაძლევს ინფორმაციას, თუ რამდენი სტუდენტი მიემგზავრება საქართველოდან/ჩამოდის საქართველოში სემესტრული გაცვლითი პროგრამებით ან აკადემიური ხარისხის მისაღებად. მთლიანობაში, უნდა

აღინიშნოს, რომ სტუდენტების მობილობის 2005-2016 წლის მაჩვენებლები სახელმწიფო უნივერსიტეტებში აღემატება კერძო უნივერსიტეტების მაჩვენებლებს, რაც, სავარაუდოდ, სახელმწიფო უნივერსიტეტებში მოქმედი „Erasmus +“-ის პროგრამებითა და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან უფრო აქტიური ბილატერალური თანამშრომლობით აიხსნება (იხ. დიაგრამა 3.1).

### დიაგრამა 3.1. სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ჯამური მაჩვენებლები




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმავე წეაროს მიხედვით, 2015-2016 სასწავლო წლებში ქვეყანაში შემოსულია სულ 6643 უცხოელი სტუდენტი. მათგან უმრავლესობა შემოსულია აზერბაიჯანიდან (2388), ინდოეთიდან (1435), ერაყიდან (793), ნიგერიიდან (587) და თურქეთიდან (484) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). 6643 სტუდენტიდან 3822 სწავლობს ბაკალავრიატში, 2805 – მაგისტრატურაში, ხოლო 16 – პროფესიულ სასწავლებელში. ბაკალავრიატის დონეზე საერთაშორისო სტუდენტების უმრავლესობა სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის მიმართულებებზე სწავლობს, ხოლო

მაგისტრატურა/რეზიდენტურის დონეზე ჯანდაცვისა და სო-ციალური უზრუნველყოფის მიმართულებები ლიდერობს (იხ. დიაგრამა 3.2).

**დიაგრამა 3.2. საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობრივი განაწილება აკა-დემიური პროგრამების მიხედვით**



ნუარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქსტატის მონაცემებით, 2015-2016 სასწავლო წელს საქართველოდან საზღვარგარეთ გაემგზავრა სულ 403 სტუდენტი. რაც შეეხება სტუდენტების მიმლები ქვეყნების მიხედვით განაწილებას, პირველ ადგილზეა გერმანია, რომელსაც მოპყვება პოლონეთი, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან კი – ესტონეთი, ლიტვა, ლატვია და ასევე თურქეთი (იხ. ცხრილი 3.1).

ცხრილი 3.1. საქართველოდან საზღვარგარეთ გამგზავრებული სტუდენტების  
რაოდენობა 2015-2016 წლებში

	სახელმწიფო უსდ	კერძო უსდ	სულ
აგსტრია	0	6	6
აზერბაიჯანი	0	4	4
აშ	0	4	4
ბელგია	1	0	1
ბულგარეთი	11	0	11
გერმანია	53	24	77
დანია	1	0	1
დიდი ბრიტანეთი	0	6	6
ესპანეთი	5	3	8
ესტონეთი	19	10	29
თურქეთი	14	8	22
იტალია	12	1	13
ლატვია	6	18	24
ლიტვა	18	5	23
ლიხტენშტაინი	2	0	2
ნიდერლანდი	6	3	9
ნორვეგია	7	0	7
პოლონეთი	13	54	67
პორტუგალია	5	15	20
რუმინეთი	5	4	9
საბერძნეთი	4	2	6
საფრანგეთი	3	8	11
სინგაპური	1	0	1
სლოვაკეთი	3	0	3
უნგრეთი	0	2	2
ფინეთი	4	0	4
შვეცია	5	0	5
ჩეხეთი	8	3	11
ჩინეთი	1	16	17
სულ	207	196	403

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბოლონიის პროცესის 2012-2015 წლების ეროვნულ ან-  
გარიშში ლაპარაკია ქართველი სტუდენტების საერთაშორ-

ისო მობილობის დამაბრკოლებელ გარემოებებზეც. მთავარ პრობლემებად აღნიშნულია დაფინანსებისა და საზღვარგარეთ მიღებული კრედიტების მშობლიურ ქვეყანაში აღიარების საკითხები. რაც შეეხება მობილობით ჩამოსული საერთშორისო სტუდენტების უკუკავშირს საქართველოში მიღებულ საგანმანათლებლო სერვისებს/ინფრასტრუქტურასა და სხვა ყოფით საკითხებზე (მაგ., კამპუსი, სტუდენტური დაზღვევა, ტრანსპორტი და სხვ.), ამ მხრივ ინფორმაციის დიდი დეფიციტია. პლიტიკის ნარკევში „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა“ (ჭანტურია, 2016) განხილულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხული ინდოელი სტუდენტების ფოკუს-ჯგუფის შედეგები. ჯგუფური დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა ფაქტორები, რომლებიც შეიძლება უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის უმაღლესი განათლების საქართველოში მიღების მოტივატორი იყოს (თუმცა ამ შედეგებს ვერ განვაზოგადებთ ყველა საერთაშორისო სტუდენტზე, ადგილობრივ უნივერსიტეტსა და აკადემიურ პროგრამაზე). ეს ფაქტორებია: სწავლის შედარებით დაბალი საფასური და ცხოვრების ხარჯი, უნივერსიტეტში ჩარიცხვის მარტივი პროცედურები, დასაქმების გაზრდილი პერსპექტივა (როგორც მშობლიურ, ისე სხვა განვითარებად ქვეყნებში), უსაფრთხო გარემო და ინგლისურენოვანი პროგრამების ხელმისაწვდომობა. ბარიერებს შორის კი დასახელდა ქართველ სტუდენტთან კომუნიკაციისა და სოციუმში ინტეგრაციის პრობლემები, რაც დაკავშირებულია როგორც ენობრივ ბარიერთან, ისე უნივერსიტეტში ექსტრაკულური აქტივობების ნაკლებობასთან (ჭანტურია, 2016).

საქართველოს უნივერსიტეტებში მოქმედ უცხოენოვან პროგრამებთან დაკავშირებით აღსანიშნავია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონაცემები, რომლის მიხედვით, აკრედიტირებული, უცხოენოვანი პროგრამები კვლევის სამიზნე ოთხ უსდ-ში ფუნქციონირებს, კერძოდ:

- თსუ-ში სულ 19 უცხოენოვანი პროგრამა ფიქსირდება სწავლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგის-

ტრატურა, დოქტურანტურა). პროგრამების უმრავლე-სობა ინგლისურენოვანია, ნაწილი – რუსულენოვანი და რამდენიმე – ორენოვანი (ქართულ-ინგლისური ან ქარ-თულ-რუსული);

- სტუ-ს სულ 39 უცხოენოვანი აკადემიური პროგრამა აქვს, უმრავლესობა ბაკალავრიატისა და რამდენიმე მაგ-ისტრატურის საფეხურზე. უცხოენოვანი საბაკალავრო პროგრამები მეტწილად რუსულენოვანია, ხოლო სამაგ-ისტრო – ინგლისურენოვანი;
- ილიაუნის აქვს სულ 4 ინგლისურენოვანი პროგრამა (აქედან ერთი ქართულ-ინგლისურენოვანი) – 2 ბაკალა-ვრიატისა და 2 მაგისტრატურის საფეხურზე;
- შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ფიქსირდ-ება 29 ინგლისურენოვანი აკადემიური პროგრამა რო-გორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურისა და დოქ-ტურანტურის დონეზე (განათლების ხარისხის განვითა-რების ეროვნული ცენტრი).

დამატებით, ჩვენ გამოვითხოვთ მონაცემები ჩვენი კვლე-ვის მონაწილე უნივერსიტეტებიდანაც. თუმცა ცხრილში მოცე-მული რაოდენობრივი მონაცემები ერთმანეთთან შედარებადი არ არის, რადგან ნაკლულია როგორც მობილობის ტიპის, ისე სასწავლო საფეხურების მიხედვით. მონაცემები არასრულია იმ მიზეზით, რომ კვლევის მონაწილე უნივერსიტეტებმა ვერ უზ-რუნველყვეს კვლევის ჯგუფისთვის სრული სტატისტიკის მო-წოდება. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქ-ვას მხოლოდ ის, რომ ხარისხის მისაღებად საქართველოდან გამგზავრებული და საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო სტუდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა ფიქსირდება თსუ-ში, უმაღლესი განათლების სამიერე საფეხურზე (ბაკალავრია-ტი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა). მონაცემები განსა-კუთრებით ნაკლულია გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის თვალსაზრისით. კვლევის სამიზნე უნივერსიტეტებიდან მო-წოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას მხ-

ოლოდ ის, რომ საზღვარგარეთიდან საქართველოში შემოსული სტუდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ფიქსირდება (იხ. ცხრილი 3.2).

**ცხრილი 3.2. სტუდენტების საერთაშორისო მობილობა უნივერსიტეტების მიხედვით 2010-2015 წლებში**

მობილობის ტიპები	საუნივერსიტეტო სამუშაო	საუნივერსიტეტო სამუშაო	სტუდენტები	სტუდენტები	უნივერსიტეტის მიხედვით
გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ წასული სტუდენტების რაოდენობა	BA	562	37	15	181
	MA	133	21	5	50
	PhD	72	16	3	
გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთიდან შემოსული სტუდენტების რაოდენობა	BA	81	6	3	17
	MA	46			
	PhD	24			
ხარისხის მისაღებად საზღვარგარეთ წასული სტუდენტების რაოდენობა	BA		13	4	
	MA			5	
	PhD			2	
ხარისხის მისაღებად საზღვარგარეთიდან შემოსული სტუდენტების რაოდენობა	BA			328	7
	MA			114	77
	PhD		1	96	

\*ნაცრისფრით აღნიშნულია თავისუფალი უნივერსიტეტი, რომელმაც მობილობაზე მონაცემები არ მოგვაწოდა სტატისტიკის არქონის ან რაიმე სხვა, ჩვენთვის უცნობი მიზე ზების გამო.

საქართველოს ზემოგანხილული მონაცემები ცხადყოფს, რომ არსებობს საერთაშორისო მობილობის ბილატერალური, ანუ ორმხრივი, დისბალანსი (bilateral imbalances), რაც გულისხმობს ქვეყნებს შორის წარმოქმნილ დისბალანსს მიღებული და გაგზავნილი

სტუდენტების რაოდენობების თვალსაზრისით და რაც ბოლონი-ის პროცესის შეფასების კონტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. აღსანიშნავია, რომ EHEA-ს ფარგლებში მობილური სტუდენტების ყველაზე დიდი იმპორტიორი/მიმღები ქვეყნებია (net importing countries) დიდი ბრიტანეთი, დანია და ავსტრია. მათ მცირედით ჩამორჩება ნიდერლანდები, შვეიცარია, ჩეხეთი. შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს ასევე საფრანგეთს, უნგრეთს, ბელგიას და რუსეთს. საქართველო კი ჩამონათვალში საერთოდ არ შედის (Bologna Process Implementation Report, 2015). EHEA-ს წევრი ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ბალანსი აქვს დაცული მიღებულ და გაგზავნილ მობილურ სტუდენტებს შორის, არის ფინეთი. დანარჩენი ქვეყნების შემთხვევაში არსებობს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ორმხრივი დისბალანსი. ამის მაგალითია იგივე დიდი ბრიტანეთისა და ირლანდის, დიდი ბრიტანეთისა და გერმანის შემთხვევები, სადაც ირლანდია და გერმანია მობილური სტუდენტების „სუფთა“ ექსპორტიორი ქვეყნებია (net exporting countries) ბრიტანეთთან მიმართებაში (სადაც 10,000-ზე მეტს სტუდენტს გზავნიან). დისბალანსის საკითხს ეხმიანება ბუქარესტის კომუნიკე და მობილობის 2020 სტრატეგია, სადაც განიხილება საერთაშორისო მობილობის ეფექტები როგორც მიმღებ (host countries), ისე გამშვებ ქვეყნებზე (home countries), კერძოდ, „ტვინების გადინება“ ერთი მხრიდან და „ტვინების შედინება“ მეორე მხარეს. თუმცა არ განიხილება დისბალანსის ხელოვნური გზით აღმოფხვრა და მობილურ სტუდენტებზე რაოდენობრივი შეზღუდვების დაწესება. ამ საკითხის დარეგულირების „ბუნებრივ“ გზად ეროვნულ (ქვეყნის) დონეზე (განსაკუთრებით, მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნების შემთხვევაში) შესაძლებლობების გაძლიერება და ამის საფუძველზე „ტვინების გადინების“ აღკვეთა მოიაზრება (Bologna Process Implementation Report, 2015).

მოცემულ ვითარებაში, მსოფლიო ბანკის 2016 წლის კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველო, როგორც საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყანა, მობილური სტუდენტების იმპორტიორია საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყ-

ნებისთვის (მაგ., ინდოეთი, ნიგერია) და, საკუთარი თავის მს-გავსად, სხვა საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები-სთვის (მაგ., აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი)<sup>7</sup>. თავის მხრივ, საქართველოდან მობილური სტუდენტების ინტენსიური ექს-პორტი ხდება არა ზემოხსენებული ქვეყნების მიმართულებით, არამედ მაღალი შემოსავლის მქონე ისეთ ევროპულ ქვეყნებში, როგორებიცაა გერმანია, პოლონეთი და ესტონეთი.

ინტერნაციონალიზაციის, კერძოდ, საერთაშორისო მობილობის კონტექსტში, მეტად მნიშვნელოვანია მისი ეკონომიკური განზომილების გათვალისწინება, რაც არ გულისხმობს მხოლოდ ადგილობრივი სტუდენტების საზღვარგარეთ გამგზავრების ფინანსურ მხარდაჭერას, არამედ ქვეყანაში შემოსული საერთაშორისო სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურისა და სხვა საცხოვრებელი ხარჯების ეკონომიკურ ამონაგებს/ეფექტს მიმღები ქვეყნისთვის. თუმცა დღეს საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ეროვნული ანალიზი არც ერთი მიმართულებით არ კეთდება, რაც უგის ეროვნული სტრატეგიის არქონის ლოგიკური გაგრძელება და გამოძახილია. საქართველოში შემოსული მობილური სტუდენტების ეკონომიკური ეფექტის გაზომვის (ჩვენთვის ცნობილი) ერთადერთი შემთხვევა წარმოდგენილია PMCG Research-ის 2016 წლის კვლევაში „Study in Georgia – საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები“, რომლის მიხედვით, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული მინიმალური ეკონომიკური ეფექტი დაახლოებით 40 მლნ ლარს შეადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი სტუდენტების საზღვარგარეთ მობილობის ეფექტების კვლევას. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ერთადერთი წყარო, რომელიც სტუდენტებისთვის მობილობიდან მიღებულ სარგებელზე გვაწვდის ინფორმაციას, არის „Erasmus+“-ის 2013-2014 წლების მობილობის შეფასება, რომელიც გამარჯვებული


7 თუმცა კვლევის ამ ეტაპზე ვერ ვიტყვით, რომ დასახელებული რომელიმე ქვეყნისთვის საქართველო მობილური სტუდენტების ექსპორტის ექსკლუზიური სამიზნეა, რაც მონაცემების უფრო დეტალურ შესწავლას და „მეფინგს“ საჭიროებს.

62 ქართველი სტუდენტის შეფასებების კვლევას ეფუძნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015-2016 წლებში „Erasmus+“-ის სტიპენდიით საქართველოს სულ 2383 (იგულისხმებიან, როგორც გაცვლითი პროგრამით მოსარგებლე, ისე ხარისხის მისაღებად გამგზავრებული სტუდენტები) მოქალაქემ ისარგებლა („Erasmus+“-ის საქართველოს ეროვნული ოფისი). ანგარიშის მიხედვით, სტიპენდიანტები მეტად პოზიტიურად აფასებენ მობილობის ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა უცხო ენის ცოდნის გაუმჯობესება, პროფესიული კომპეტენციების ამაღლება, მოგზაურობის შესაძლებლობები და სხვ. (იხ. დიაგრამა 3.1). თუმცა მობილობის ეფექტების შესასწავლად მეტად მნიშვნელოვანია მონაცემების სისტემატურად შეგროვება და კვლევის მონაწილეების რაოდენობის გაზრდა.

### დიაგრამა 3.1. მობილობიდან მიღებული სარგებელი



დიაგრამა 25 სარგებლობის საშუალო შეფასება



წყარო: Erasmus+ 2013—2014 წლების მობილობის შეფასება

## სრულებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია ჩართულ უცხოელისიტეტები

კვლევის მონაწილე უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის შეფასებით, ქართველი სტუდენტები საკმაოდ აქტიურობენ და უნივერსიტეტებში წლიდან წლამდე იზრდება

მობილური სტუდენტების რიცხვი. თუმცა რესპონდენტები ბილატერალური დისპალანსის საკითხსაც ეხებიან და აღნიშნავენ, რომ ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებს შორის ორმხრივი გაცვლითი პროგრამების შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს მიმღები (უცხოური) უნივერსიტეტების მხრიდან საერთაშორისო სტუდენტებზე დაწესებული რაოდენობრივი შეზღუდვები. შესაბამისად, მნიშვნელოვანი პირობაა, რომ საქართველოში უნივერსიტეტებმა მაქსიმალურად გაზიარდონ პარტიიორი უნივერსიტეტების რიცხვი და ქართველი სტუდენტებისთვის მობილობის განხორციელების მეტი შესაძლებლობა უზრუნველყონ.

„წელს გავზარდეთ საქართველოდან ნამსვლელების რიცხვი, ვისაც უნდა მონაწილეობა მიიღოს გაცვლით პროგრამებში. თუმცა არ კმარა მარტო სურვილი. პრობლემაა ის, რომ ძალიან პატარაა არჩევანი მიმღები უცხოური უნივერსიტეტების. ჩემი მოთხოვნა იყო, რომ გაზრდილიყო მათი რაოდენობა და წელს თხის გამოგვივიდა“. (ილიაუნი, სამართლის სკოლა)

კვლევის რესპონდენტები ქართველი სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მთავარ სარგებელს ხედავენ იმაში, რომ საქართველოდან წასული ახალგაზრდები მათთვის ახალ, საერთაშორისო გარემოში ხვდებიან, სწავლების დასავლურ მეთოდებს ეცნობიან და სასარგებლო კონტაქტებს ამყარებენ, რაც თანამედროვე სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობისა და კოლაბორაციული პროექტების განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

„სტუდენტების შემთხვევაში ეს, პირველ რიგში, არის გამოცდილება. ერთი სემესტრის განმავლობაში ცხოვრობენ უცხო გარემოში, სწავლობენ ინტერჯულტურულ გარემოში, ევროპულ ან ამერიკულ უნივერსიტეტში“. (იბსუ, სოც. მეცნ. ფაკულტეტი)

„ის მოთხოვნები და შესაძლებლობები, რაც საზღვარგარეთ ეძლევათ სტუდენტებსა თუ აკადემიურ პერსონალს,

საქართველოში, ხშირ შემთხვევაში, არ არის. ეს პროცე-  
სები ეხმარება სტუდენტებს, ჩამოყალიბდნენ ნამდვილ  
სტუდენტებად და არ იყვნენ ორიენტირებულნი, რომ  
მიიღონ მხოლოდ გამსვლელი ქულა; სიღრმისეულად  
ჩასწდნენ საკითხს, განუვითარდეთ ანალიტიკური აზ-  
როვნება და შეძლონ მიღებული თეორიული თუ პრაქტი-  
კული ცოდნის დაკავშირება რეალობასთან“. (ილიაუნი,  
ბიზნესის სკოლა)

რაც შეეხება აკადემიური პერსონალის საერთაშორისო  
მობილობას, ხაზი გაესვა იმას, რომ უფრო მეტი უცხოელი  
პროფესორი ჩამოდის ქართულ უნივერსიტეტებში ლექციების  
ან სემინარების ჩასატარებლად, ვიდრე საქართველოდან საზ-  
ღვარგარეთ მიემგზავრებიან ანალოგიური მიზნებით. უნდა  
ალინიშნოს ისიც, რომ უცხოურ უნივერსიტეტებში ლექციების  
ან სასწავლო კურსის ჩასატარებლად, ასევე კონფერენციებში  
მონაწილეობის მისაღებად უფრო ახალგაზრდა აკადემიური  
პერსონალი მიდის, რომელიც ინგლისურ ენას სამუშაო დო-  
ნებზე ფლობს. უფროს თაობას ინგლისური ენის არცოდნა ხელს  
უშლის მსგავსი აქტივობების განხორციელებაში (იხ. ცხრილი  
3.3).

„აკადემიური პერსონალის მობილობის შემთხვევაში  
უცხოეთიდან უფრო ხშირად ჩამოდიან ჩვენთან, ვიდრე  
ჩვენ ჩავდივართ. ჩამოდიან, როგორც ტრენინგებისა  
და სემინარების, ისე სრულყოფილი სალექციო კურსის  
ჩასატარებლად“. (იბსუ, სოც. მეცნ. ფაკულტეტი)

„ცოტა ენის ბარიერი აქვთ ასაკში შესულ პროფესორებს,  
მაგრამ ახალგაზრდებს ეს ბარიერი არ აქვთ და ხშირად  
იწვევენ მათ საზღვარგარეთ“ (სტუ, ბიზნესინჟინერინ-  
გის ფაკულტეტი)

**ცხრილი 3.3. უნივერსიტეტის პერსონალის მობილობა 2010-2015 წლებში**

მობილობის ტიპები	თურ	ილიაშვილი	სტუ		თაგისუფალი უნი	ჯნე
			სტუ	ისტუ		
უცხოეთიდან მოწვეული აკადემიური პერსონალი	100		6	21		48
საქართველოდან უცხოეთში მიწვეული აკადემიური პერსონალი	72		10	10		2
უცხოეთიდან მოწვეული ადმინისტრაციული პერსონალი	9		3			0
საქართველოდან უცხოეთში მიწვეული ადმინისტრაციული პერსონალი	33		10			0

\*ნაცრისფრით აღნიშნულია ის უნივერსიტეტები, რომლებმაც ინფორმაცია არ მოგვაწოდეს სტატისტიკის არქონის ან რაიმე სხვა, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო.

კვლევის მონაწილე აკადემიურ პერსონალს მიაჩნია, რომ პროფესორების საერთაშორისო მობილობა მრავალმხრივ სა-სარგებლოა უნივერსიტეტებისთვის. საერთაშორისო აკადემიური სივრცე ქართველ პროფესორებს თანამშრომლობის ფართო შესაძლებლობებს სთავაზობს და ამა თუ იმ დისციპლინაში უახლეს ტენდენციებს აცნობს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოდან ნასულ აკადემიურ პერსონალს საშუალება ეძლევა, საკუთარი კომპეტენცია უფრო კონკურენტულ გარემოში შეაფასოს და შესაბამის პროფესიულ განვითარებაზე იზრუნოს. ისიც აღინიშნა, რომ ქართველი პროფესორებისთვის საინტერესო გამოცდილებაა საერთაშორისო სტუდენტებთან ურთიერთობა და დაკვირვება, რამდენად მსგავსი ან განსხვავებულია ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების შეხედულებები, სასწავლო პროცესში ჩართულობა, უკუკავშირი და ა.შ.

„როდესაც ქართველი პროფესორი აკვირდება, საერთა-შორისო აკადემიური პერსონალი როგორ ახორციელებს სწავლებას, შეფასებას, უკუკავშირს, ეს ეხმარება მას, რომ ჩამოყალიბდეს ნამდვილ აკადემიურ პერსონალად და არა მხოლოდ კონკრეტული მიმართულების ექსპერტად, რაც ჩემი აზრით, ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან“. (ილიაუნი, ბიზნესის სკოლა)

„ძალიან საინტერესოა ხოლმე, როდესაც ლექტორს შეუძლია შეადაროს თვითონ სტუდენტები, დასმული კითხვები, რომელიც იქაური, უცხოელი სტუდენტებისგან მოდის, რა არის იქ მოთხოვნა ძირითადად, როგორი მიმართულებით ააწყოს სწავლება, რა სიახლის ნამოლება შეუძლია იქიდან. ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის გაცვლა“. (ჯიბა, საჯარო მმართველობის პროგრამა)

რაც შეეხება სტუდენტებისა და უნივერსიტეტის პერსონალის საერთაშორისო მობილობის მხარდამჭერ ღონისძიებებს, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მობილობა ფინანსდება ძირითადად ისეთი დიდი პროგრამის ფარგლებში, როგორიცაა „Erasmus+“. დამატებით ფინანსურ წყაროებად უნივერსიტეტები ასახელებენ DAAD-ის პროგრამებს, მარი კიურის პროგრამას (ევროკომისია), საერთაშორისო განათლების ცენტრს, საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებსა და საელჩოებს (მაგ., პოლონეთი, უნგრეთი, თურქეთი). ფინანსურ წყაროებს შორის დასახელდა ორმხრივი თანამშრომლობაც საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან. ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსება, რაც უნივერსიტეტის ფაკულტეტებისთვის სპეციალური საბიუჯეტო თანხის გამოყოფას ნიშნავს (რესპონდენტებს არ დაუსახელებიათ კონკრეტული თანხა), პერიოდულად უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კონფერენციაზე გამგზავრება-მონაწილეობის დაფინანსებას. ასეთი ტიპის საუნივერსიტეტო მხარდაჭერა ფრაგმენტული ხასიათისაა,

რადგან, რესპონდენტების განცხადებით, საბიუჯეტო თანხები მეტის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა. შესაბამისად, შემოსული განცხადებების დაფინანსებისთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია მათი „შედეგიანობა და მიზნობრიობა“ (ილ-იაუნი, ბიზნესის სკოლა). კვლევის მონაცემების თანახმად, სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას უნივერსიტეტი, მეტნილად, მაინც ადმინისტრაციული მხარდაჭერის გზით ახორციელებს, ვიდრე ფინანსური. ეს გულისხმობს უცხოურ უნივერსიტეტებთან კონტაქტის დამყარებას და თანამშრობლობის მემორანდუმების გაფორმებას, გამოცხადებული კონკურსების შესახებ ინფორმირებას, საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებას, სააპლიკაციო ფორმების შევსებასა და სხვა სავალდებულო პროცედურების გავლაში დაინტერესებული პირების დახმარებას.

კვლევის სამიზნე უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა მობილობის საკითხების პარალელურად ისაუბრეს სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის სხვა საკითხებზეც. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო პროდუქციის შექმნასა და კვლევის ინტერნაციონალიზაციაზე გაამახვილეს. როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ერთერთი წარმომადგენელი აღნიშნავს, უნივერსიტეტში დღემდე არ არის დარეგულირებული, თუ რამდენი სამეცნიერო ნაშრომის (სტატია, წიგნი) შექმნის ვალდებულება აქვს აკადემიურ პერსონალს სალექციო საათების პარალელურად. პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ აკადემიური პერსონალის ხელფასის მოცულობა, რეალურად, მხოლოდ სალექციო საათებით განისაზღვრება. შესაბამისად, ის, ვინც სტუდენტებთან მუშაობის გარდა სამეცნიერო პროდუქციასაც ქმნის, მაინც იმდენივე ანაზღაურებას იღებს, რამდენსაც მისი კოლეგა, რომელიც უნივერსიტეტში მხოლოდ ლექციებს კითხულობს. ერთი მხრივ, ასეთი გარემოება უსამართლო აკადემიურ სისტემას ქმნის; მეორე მხრივ, უნივერსიტეტის შიგნით ფორმალური რეგუ-

ლაციების არარსებობა მეცნიერული და ინოვაციური ცოდნის წარმოებას აფერხებს. ეს კი, თავის მხრივ, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო ხარისხსა და ინტერნაციონალიზაციის კომპანენტის შესრულებაზე უარყოფითად აისახება. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმპაქტფაქტორის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო უურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობაც (ჩვენი კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემები უნივერსიტეტების კვლევითი აქტივობების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ, ცხრილში 3.4).

„უნივერსიტეტი კვლევას ფორმალურ დონეზე არავის სთხოვს. ითვლება, რომ სახელფასო ანაზღაურების ნახევარი კვლევას უნდა მოხმარდეს, ნახევარი კი სწავლებაზე ორიენტირებული. მაგრამ, რეალურად, ანაზღაურება დამოკიდებულია პროფესორის საათობრივ დატვირთვაზე“. (თსუ, სოც. და პოლ. მეცნ. ფაკულტეტი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (ილიაუნი) წარმომადგენლებთან ინტერვიუებში კვლავ ხაზი გაესვა საერთაშორისო, ინგლისურნოვან გამოცემებში მასალების გამოქვეყნების აუცილებლობას. რესპონდენტებს შორის აღინიშნა, რომ ქართულენოვანი რეფერირებადი სამეცნიერო უურნალის არსებობის შემთხვევაშიც კი მთავარი ორიენტირი მაინც ინგლისურენოვანი გამოცემები უნდა იყოს, ვიდრე ქართული მეცნიერება გლობალურ სამეცნიერო საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას არ შეძლებს (იხ. ცხრილი 3.4).

„წარმოუდგენელია გქონდეს სამეცნიერო პრეტენზიები და არ ფიქრობდე შენი სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციაზე. თუ ჩვენ გვინდა ინტერნაციონალიზაცია მოვახდინოთ, პირველ რიგში, უნდა ვწეროთ ინგლისურ ენაზე. ჯობია, არ გვქონდეს ქართულ ენაზე გამოქვეყნების საშუალება, რომ მერე ამით არ დავიკავშიროთ მოთხოვნა“. (ილიაუნი, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი)

ცხრილი 3.4. სამიზნე უნივერსიტეტების კვლევითი აქტივობა 2010-2015 წლებში

	თსუ (N=767)	ილაუნი (N=271)	ისპუ (N=206)	თაგვისუფალი უნი (N=274)	ჯიპა (N=268)
უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობა					
კვლევითი პროექტების რაოდენობა საქ-ოს სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ჭრილში	28		1	20	3
კვლევითი პროექტების რაოდენობა საერთაშორისო თანამშრომლობის ჭრილში	4		5	31	2
მილებული შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების რაოდენობა	1		0	4	1
სახელმწიფო კვლევითი გრანტების რაოდენობა			0	10	0
საერთაშორისო კვლევითი გრანტების რაოდენობა	6		6	19	9
იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა	627		98	194	0
ადგილობრივ რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა	39		236	39	9
საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა	18		0	10	12
უსდ-ს მიერ ორგანიზებული ადგილობრივი სამეც. კონფერენციების რაოდენობა	0		17		3
უსდ-ს მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეც. კონფერენციების რაოდენობა	1		16		
გამოცემული სამეცნიერო პროდუქცია	აკად. ჟურნალი (2)	ნიგნი (37) სახელმძღვანელო (5) აკალ. ჟურნალი (32)			
მილებული საერთაშორისო გრანტების რაოდენობა		6	22		

\* ნაცრისფრით აღნიშნულია ის უნივერსიტეტები, რომლებმაც ინფორმაცია არ მოგვაწოდეს სტატისტიკის არქონის ან რამე სხვა, ჩვენთვის უცნობი

სწავლების ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რე-სპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს ინგლისურენოვანი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების განვითარების აუცილებლობაზე, რაც უცხოელი სტუდენტების მიღების შესაძლებლობას გაზრდის. აღინიშნა ორმაგი დიპლომისა (double degree) და ერთობლივი ხარისხის (joint degree) გაცემის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მნიშვნელობაც, რაც ხელს შეუწყობდა ქართველი პროფესორების ინტერნაციონალიზაციას. თუმცა ამგვარი მასშტაბური პროექტების განხორციელებას ამ ეტაპზე არასაკმარისი ფინანსები და აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილის არასაკმარისი კვალიფიკაცია აფერხებს. გარდა ამისა, აღსანიშნავია კანონმდებლობასთან დაკავშირებული სირთულეები: მართალია, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში არსებობს ჩანაწერი ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ (მუხლი 49<sup>1</sup>), მაგრამ ის საკმარისად ცხადად არ განსაზღვრავს ერთობლივი აკადემიური პროგრამების დანერგვისთვის უნივერსიტეტების უფლებამოსილებას და განხორციელების გზებს. მეორე მხრივ, ბარიერს წარმოადგენს ეროვნულ და ევროპულ კანონმდებლობებს შორის განსვლები, რაც ერთობლივი პროგრამის დანერგვისთვის საჭირო პროცედურებს მნიშვნელოვნად ართულებს. პრობლემას ქმნის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე შემუშავებულ აკადემიურ პროგრამებს შორის ხარისხობრივი

8 კვლევითი ჯგუფისთვის ცნობილია, რომ Elsevier Scopus-ის მონაცემთა ბაზაში იძებნება თსუ-ს მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ურნალი „Transactions of A. Razmadze Mathematical Institute“, თუმცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კვლევითი ჯგუფისთვის არ მოუწოდებია სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები. უნდა აღნიშნოს, რომ თსუ-ს წარმომადგენელმა მივითოთა, რომ მსგავსი მონაცემების მოძიება თავად შეგვეძლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ელექტრონულ, საჯარო ანგარიშებში. თუმცა აღნიშნულ ვებმისამართზე ხელმისაწვდომია მხოლოდ 2010-11 წლის სამეცნიერო აქტივობების ანალიზი (იხ. ბმული [https://www.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Analizi-2010-2011.pdf](https://www.tsu.ge/data/image_db_innova/Analizi-2010-2011.pdf)). როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, მონაცემები არც საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა (სტუ) მოგვაწოდა.

განსხვავებაც, რაც საერთაშორისო აკრედიტაციის გავლის აუცილებლობას წარმოშობს. საერთო ჯამში, ეს ის გარემოებებია, რომლებიც ქართულ უნივერსიტეტებს საერთაშორისო თანამშრომლობისთვის შეუსაბამოს ხდის.

„რთულია, დავაინტერესოთ საზღვარგარეთის კარგი უნივერსიტეტები, ჩვენთან იქნიონ ერთობლივი ხარისხის მიმნიჭებელი პროგრამები. მათთვის ნაკლებად მომხიბვლელია საქართველოს ნებისმიერ უნივერსიტეტთან თანამშრომლობა, რომელიც მსოფლიოს რეიტინგში არის ათას მერაღაცე. ხელისშემშლელია ეროვნული კანონმდებლობაც. მართალია, ერთობლივი პროგრამების გაყეთება არ იკრძალება, მაგრამ ასეთი ხარისხი რომ გავცეთ, სტუდენტები სრულყოფილად უნდა დააკმაყოფილოს, როგორც იმ უცხოური პროგრამის მოთხოვნები, ისე ჩვენი პროგრამის მოთხოვნები“. (შავი ზღვის უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი)

„ერთობლივი პროგრამების ქონა აუცილებელიც კი არის უნივერსიტეტისთვის, მაგრამ საკმაოდ რთულია პროცედურულად ამის განხორციელება, რადგან პროგრამამ აკრედიტაცია ადგილზეც უნდა გაიაროს და მინიმუმ იმ ქვეყანაში, რომელთანაც კოლაბორაციაში შედის უნივერსიტეტი“. (თსუ, სოც. და პოლ. მეცნ. ფაკულტეტი)

კვლევის რესპონდენტებმა ისიც აღნიშნეს, რომ ერთობლივი აკადემიური პროგრამების ადგილობრივ დონეზე წარმატებით განვითარება ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზეც არის დამოკიდებული და ამდენად, სტრატეგიულ მიდგომას საჭიროებს. რესპონდენტის აზრით, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე დასავლეთის უნივერსიტეტებისთვის იმდენად საინტერესო არ არის, რამდენადაც კავკასიის რეგიონისა და აზიური ქვეყნებისთვის. შესაბამისად, აკადემიური პროგრამების ინტერნაციონალიზაციისას (ერთობლივი პროგრამების შემუშავების ჩათვლით) სწორება სწორედ

ამ რეგიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებზე უნდა ხდებოდეს, რომლებიც ქართული საგანმანათლებლო სერვისის რეალური მომხარებლები იქნებიან. კვლევის მონაწილე აკადემიური პერსონალი საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე აღნიშნავს, რომ ინგლისურენოვანი აკადემიური პროგრამებით, მეტწილად, თურქი და ირანელი, ასევე ბალტიისპირელი სტუდენტები ინტერესდებიან. რაც შეეხება აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ჩამოსულ სტუდენტებს, მათ მიერ ინგლისური ენის კარგად ცოდნის მოლოდინი დაბალია.

„ჩვენთან ოქსფორდიდან სასწავლებლად არავინ ჩამოვა, მაგრამ სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ერაყიდან, სირიიდან, ეგვიპტიდან ჩამოდიან. ჩვენ გვყავს უცხოელი სტუდენტები, 30-ზე მეტი, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ წარმატებით განახორციელო საგანმანათლებლო პროექტები და მარტო ქაღალდზე დაწერილი არ იყოს“. (ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი)

თავის მხრივ, ერთობლივი და ორმაგი ხარისხის აკადემიური პროგრამების დაწერგვა ფინანსებთან არის დაკავშირებული. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აკადემიური პროგრამების განვითარება არ მოხდება საგრანტო დაფინანსების ფარგლებში, სტუდენტებს თავად მოუწევთ სასწავლო ხარჯების გაღება, რაც, ბუნებრივია, პროგრამის გავლის მსურველების რაოდენობას მნიშვნელოვნად შეზღუდდავს. მით უმეტეს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო პროგრამების არსებობის პირობებში (მაგ., „Erasmus +“), დღეს ქართველ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, პრესტიულ დასავლურ უნივერსიტეტებში სწავლის დაფინანსება მოიპოვონ. მოცემულ ვითარებაში უცხოური უნივერსიტეტების კონსორციუმში მონაწილეობა ქართული უმაღლესი სასწავლებლებისთვის რეალური შესაძლებლობაა, ადგილობრივ დონეზე ერთობლივი პროგრამები განავითარონ. ერთი მხრივ, კონსორციუმის შემთხვევაში იზრდება დაფინანსების მიღების შანსი, ხოლო, მეორე მხრივ, წარმატებულ დასავლურ უნივერსიტეტებთან აკადემიური

თანამშრომლობის შესაძლებლობები, რომლებიც ფინანსურად მომგებიან პროექტში თანამონაწილეობას თანხმდებიან.

„რთულია პარტნიორების მოძიება, განსაკუთრებით საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის. ვთქვათ, გლობალურ უნივერსიტეტი შეიძლება დაინტერესებული იყოს ტარტუსთან თანამშრომლობით, მაგრამ საქართველოსთან თანამშრომლობით რატომ უნდა იყოს დაინტერესბული? დიდია ხარისხში განსხვავება. კონსორციუმის შემთხვევაში, მოტივაცია შეიძლება იყოს ფინანსური ბენეფიტები. ბუნებრივია, ფინანსურად წამგებიან მოდელზე არც ერთი უცხოური უნივერსიტეტი არ წავა, ეს არ არის აღტრუისტული გათვლა“. (ილიაუნი, სამართლის სკოლა)

რაც შეეხება ქართულ უნივერსიტეტებში დანერგილი უცხოენოვანი საბაკალავრო/სამაგისტრო აკადემიური პროგრამებით თავად ქართულენოვანი სტუდენტების დაინტერესებას (რომლებსაც მხოლოდ ეროვნულ დონეზე აქვთ აკრედიტაცია მიღებული), რესპონდენტების გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, მათ მიერ სკოლაში მიღებული ინგლისური ენის ცოდნა საკმარისი არ არის უსდ-ში ინგლისურენოვანი პროგრამის დასაძლევად. ისიც აღინიშნა, რომ ქვეყნის შიგნით ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებზე ის ქართველი სტუდენტები აბარებენ, რომლებსაც საბაკალავრო პროგრამები ინგლისურ ენაზე და ძირითადად, კერძო უნივერსიტეტებში აქვთ გავლილი. ისინი კონკურენტუნარიანი, მეტად დაინტერესებული და „ბევრად უფრო მაღალი დონის სტუდენტები არიან“ (ილიაუნი, ბიზნესის სკოლა). ხაზი გაესვა იმასაც, რომ ინგლისურენოვან აკადემიურ პროგრამებს დიდი უპირატესობა აქვს თანამედროვე სასწავლო ლიტერატურის გამოყენების თვალსაზრისით, რაც პროგრამის ხარისხს მნიშვნელოვნად ამაღლებს. მეორე მხრივ, ბაკალავრიატის საფეხურზე ინგლისურენოვანი სწავლება ქართველ სტუდენტებს სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელების მეტ შესაძლებლობას აძლევს ენობრივი ბარიერის შესუსტების გამო.

„ქართულ აკადემიურ პროგრამებს თუ რამე სირთულე აქვთ ხოლმე განხორციელებისას, ეს არის ლიტერატურის თვალსაზრისით, რადგან არ არის ნათარგმნი ძალიან ბევრი საჭირო ლიტერატურა. ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები ყოველთვის უზრუნველყოფილი არიან გაცილებით უკეთესი ლიტერატურით, რომელსაც იყენებენ მართლა წამყვანი უნივერსიტეტები იმავე საგნის სწავლებისთვის“. (იბსუ, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი)

უნივერსიტეტში უცხოელი ლექტორების მოწვევასთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა. რესპონდენტებს შორის აღინიშნა, რომ საზღვარგარეთიდან ლექტორების მოწვევა მნიშვნელოვანია პოზიტიური საერთაშორისო იმიჯისთვის და უნივერსიტეტში სტუდენტების მოზიდვასაც ხელს უწყობს. უცხოელ ლექტორებთან კომუნიკაცია სტუდენტებს საშუალებას აძლევს, საერთაშორისო კონტაქტები გააფართოონ, ცოდნასთან ერთად დამატებითი ინფორმაცია მიიღონ იმ ქვეყნის(ების) შესახებ, სადაც მოწვეული პროფესორი მოღვაწეობს, მეტი ინფორმაცია მიიღონ საზღვარგარეთ სწავლების სპეციფიკისა და შესაძლებლობების შესახებ.

„ყოველ წელს ვრჩმუნდები, რომ ძალიან მნიშვნელოვანია უცხოელი სპეციალისტების მოწვევა. ჯერ ერთი, ბევრად მეტი წვდომა აქვთ ახალ ტექნოლოგიებზე, ახალ ინფორმაციაზე. ეს ხდება რაღაც სისხლის გადასხმასავით, განახლებასავით. უცხოელების სასწავლო კონტექსტიდან ამოგლევა, მე ვთვლი, რომ ძალიან დიდი შეცდომა იქნებოდა“. (ჯიპა, საჯარო მმართველობის პროგრამა)

„გვყავს უცხოელი ლექტორები სხვადასხვა ქვეყნებიდან: შეერთებული შტატებიდან, ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტიდან. ამ პრაქტიკის ვიყენებთ აქტიურად. სარგებლი ის არის, რომ ჩვენი სტუდენტები ეცნობიან, თუ როგორ მიმდინარეობს ლექცია უცხოეთის კარგ უნივერსიტეტებში, სადაც მათ უნდათ, რომ მომავალში მაგ-

*ისტრატურაზე ჩააბარონ“. (იბსუ, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი)*

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის თვალ-საზრისით მნიშვნელოვანი საკითხია უცხოელი ლექტორების ჩართულობა და როლი ადგილობრივი უნივერსიტეტების აკადემიური პროგრამების განვითარებაში. საზღვარგარეთიდან მოწვეული აკადემიური პერსონალი ის ადამიანური კაპიტალია, რომელიც ქართულ უნივერსიტეტებს საერთაშორისო გამოცდილებით ამდიდრებს. ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, არანაკლებ საყურადღებოა უნივერსიტეტებში იმ ადგილობრივი კადრების მოწვევა, რომელსაც აკადემიური ხარისხი საზღვარგარეთ აქვს მიღებული. თუმცა, როგორც ჩვენი ერთერთი რესპონდენტი ინტერვიუში აღნიშნავს, აკადემიური პერსონალის გაზრდა (მოწვეული ლექტორების კონტიგენტის ჩათვლით) და მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა სერიოზულ ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროებს, რომელსაც უნივერსიტეტი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს. შესაბამისად, დონორი ორგანიზაციების მოძიების საჭიროება დგება, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ შეზღუდვებს ქმნის, რადგან დონორ ორგანიზაციებს საკუთარი პრიორიტეტული მიმართულებები აქვთ და დაფინანსებას საკონკურსო წესით უზრუნველყოფენ.

*„აუცილებელია, რომ ჩამოსული უცხოელი პროფესორები გამოვიყენოთ, როგორც რესურსი და განვავთაროთ ჩვენი ადგილობრივი აკადემიური პროგრამები. გარკვეულწილად, თითოეული მიმართულება იკეტება ძველ ჩარჩოებში, რადგან აკადემიური პერსონალის გაზრდის პერსპექტივას უნივერსიტეტი ვერ გვთავაზობს. ამ ადამიანური კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობაა ისევ გარე დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერა“. (თსუ, სოც. და პოლ. მეცნ. ფაკულტეტი)*

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციაზე საუბრისას კვლევის რესპონდენტებმა ისაუბრეს ასევე მასობრივი ღია ონლაინ კურსების (MOOCs) შესახებ, რომელიც

ევროპის თანამედროვე უმაღლესი განათლების პოლიტიკის მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტია. MOOCs სწავლებისა და სწავლის ინტერნაციონალიზაციის ახალი, ინოვაციური მეთოდია, რომელიც, თავის მხრივ, ევროპული უნივერსიტეტების საერთაშორისო ცნობადობას და კომპეტენტურობას ზრდის. სწორედ ეს არის უსდების ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია, რათა თავიანთ სისტემებში MOOCs ტექნოლოგიები დანერგონ (ჯანაშია, 2016). უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე მეტი MOOC-ი ესპანეთსა (200-ზე მეტი) და დიდ ბრიტანეთში (150-ზე მეტი) ფუნქციონირებს (Bologna Implementation Report, 2015). ელექტრონული, დისტანციური თუ ნაწილობრივ დისტანციური სწავლება დღეს საქართველოს განათლების პოლიტიკის დღის წესრიგში არ დგას. ენბრივი ბარიერი და ავტორიზაცია/აკრედიტაციის ეროვნული საკანონმდებლო რეგულაციები მნიშვნელოვანი ბარიერია ქვეყანაში MOOCs-ის დასაწერგად. ამ სირთულეების დასაძლევად კი საჭიროა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლების ინოვაციური მექანიზმების პრიორიტეტად განსაზღვრა, ტექნოლოგიური მხარდაჭერის გაძლიერება და რა თქმა უნდა, კვალიფიციური ადამიანური რესურსისა და ფინანსების მობილიზება (ჯანაშია, 2016).

ჩვენი კვლევის ფარგლებში გაუდერებული მოსაზრებებიც ცხადყოფს, რომ ქართული უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი არ არის სათანადოდ ინფორმირებული (თუნდაც, დაინტერესებული) ელექტრონული სწავლების საკითხებით. ამის გამოვლინებაა ისიც, რომ კვლევის რესპონტები ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებას უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ჭრილში ნაკლებად განიხილავენ. საყურადღებოა, რომ მხოლოდ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფაკულტეტის წარმომადგენელი იყო ინფორმირებული უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ჩანაწერის შესახებ, რომელიც ადგილობრივი უსდების მიერ საზღვრებს გარეთ ელექტრონული სწავლების შესაძლებლობას არ იძლევა (საქართველოს

კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, თავი I, მუხლი 2, პუნქტი უ<sup>1</sup>). ვინაიდან კანონმდებლობა ელექტრონულ სწავლებას მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისთვის დაუშვებს, ადგილობრივ უსდებს აღარ აქვთ შესაძლებლობა, თავიანთ საუნივერსიტეტო ბაზაზე ისეთი ელექტრონული სასწავლო კურსები შექმნან, რომელიც საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვაზე იქნება ორიენტირებული, რაც, საერთო ჯამში, განათლების ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი პირობაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული უნივერსიტეტის ბაზაზე უცხოელ სტუდენტებზე ორიენტირებული ელექტრონული სასწავლო პროგრამების განვითარება საერთაშორისო აკრედიტაციის საკითხთან არის დაკავშირებული. თუმცა კვლევის რესპონდენტები არ საუბრობენ თანამედროვე მსოფლიოში ყველასთვის ხელმისაწვდომ, უფასო (და აგრეთვე, ცნობილ) ისეთ MOOC- რესურსებზე, როგორიც არის მაგალითად, Coursera და HarvardX (edX). ეს არის საერთაშორისო ელექტრონული პლატფორმები, სადაც სპეციალური ინსტრუქციებისა და სტანდარტების დაცვით, ასევე შესარჩევი პროცესის წარმატებით გავლის შემდეგ უნივერსიტეტებს (ფაკულტეტებს, დეპარტამენტებს), არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ ბიზნესორგანიზაციებს (მათ წარმომადგენლებს) აქვთ შესაძლებლობა, დაარეგისტრირონ თავისი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა მსურველისთვის მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსი, შესაძლოა, ადგილობრივი უნივერსიტეტების რომელიმე ფაკულტეტის ბაზაზე შექმნას, მის ტექნოლოგიურ მხარდაჭერასა და საჯარო ხელმისაწვდომას თავად ეს მეგაპლატფორმები უზრუნველყოფენ, რომელზეც ეროვნული საკანონმდებლო შეზღუდვები არ ვრცელდება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ Coursera და HarvardX (edX) უშუალოდ ადგილობრივ უნივერსიტეტში (უცხოენოვანი) ელექტრონული სწავლების დანერგვის აღტერნაცივას არ/ვერ წარმოადგენს, რაც შესაძლებელს ხდის საერთაშორისო სტუდენტების ქვეყანაში მოზიდვას და

როგორც უნივერსიტეტის, ისე სახელმწიფოს დონეზე ეკო-ნომიკური სარგებლის მიღებას.

„საქართველოში ონლაინსწავლება კანონით მხოლოდ მა-შინ არის აღიარებული, როდესაც, მაგალითად, ბათუმელ სტუდენტს ვასწავლი თბილისიდან, მაგრამ თურქეთში ვერ ვასწავლი. რა მოტივაციით წერია ასე, ვერ გეტყვით, ეს ძალიან გვზღუდავს. უცხოელ მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან ეს ძალიან შეგვიწყობდა ხელს. ამით უნივერსიტეტიც და ქვეყანაც მოიგებს“. (იბსუ, რექტორის აპარატი)

რესპონდენტების უმრავლესობა ელექტრონულ სწავლებაზე საუბრობს, როგორც ტრადიციული სწავლების დამხმარე მულ-ტიმედიურ სამუალებაზე, რომელიც მთლიანად ვერასოდეს ჩაანაცვლებს პირისპირ, აუდიტორიულ კომუნიკაციას პრო-ფესორებსა და სტუდენტებს შორის. რესპონდენტებს შორის აღინიშნა, რომ ქართველი სტუდენტებისთვის აუდიტორიაში ლექციებზე ფიზიკურად დასწრება უფრო ბუნებრივი მდგო-მარეობაა, რადგან პროფესორებთან პირისპირ კონტაქტს არი-ან მიჩვეული. გარდა ამისა, სასწავლო პროცესი მეტად ცოცხ-ალი და დინამიკურია, რადგან სტუდენტებსაც და ლექტორებ-საც ერთმანეთის მოსაზრებებზე მყისიერი რეაგირებისა და უკუკავშირის ოპერატორულად მიწოდების შესაძლებლობა აქვთ. გამოითხვა მოსაზრებაც, რომ ელექტრონული სწავლების გა-ძლიერების შემთხვევაში ქართველი სტუდენტების დასწრებისა და ჩართულობის საკითხები პრობლემური გახდება.

„გამონაკლისი შეიძლება გააკეთო, ერთი ელექტრო-ნული პროგრამა გააკეთო და მოსინჯო, მაგრამ დამერ-ნმუნეთ, რომ სტუდენტებს საერთოდ აღარ მოუნდებათ მოსვლა. სტუდენტსა და ლექტორს შორის კომუნიკა-ციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ცოცხალი ლე-ქცია სულ სხვა რამეა, რომ ზიხარ და ვიღაცა შეკითხ-ვას დაგისვამს, აუხსნი იმას, სხვაც ხომ გაიგებს. ეს კომუნიკაცია ძალზედ მნიშვნელოვანია ლექტორსა და

**სტუდენტს შორის“.** (ტექნ. უნივ, ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტი)

მიღებული მონაცემების მიხედვით, უნივერსიტეტები ელე-  
ქტრონულ მხარდამჭერ სისტემებს მეტწილად ე.წ. „Smart  
Base“-ის შესაქმნელად იყენებენ, რაც აკადემიურ პერსონალს  
სასწავლო მასალების ერთ სივრცეში ორგანიზებისა და ლო-  
კალიზების შესაძლებლობას უქმნის, ხოლო სტუდენტებს მა-  
სალაზე ხელმისაწვდომობას უმარტივებს. უნივერსიტეტების  
წარმომადგენლებმა ისიც აღნიშნეს, რომ ინტერნეტსა და  
სოციალურ მედიას აქტიურად იყენებენ საზღვარგარეთიდან  
საკონფერენციო ან სალექციო ჩართვების უზრუნველსაყო-  
ფად და ამ მიზნით ზოგიერთ უნივერსიტეტში სპეციალურად  
აღჭურვილი აუდიტორიაც არის გამოყოფილი. თუმცა ინ-  
ტერვიუებში ხაზი გაესვა იმ გარემოებასაც, რომ რაღაც ტე-  
ქნიკური ხარვეზების გამო აუდიტორიასთან სრულფასოვანი  
ინტერაქცია შეიძლება მაინც ვერ შედგეს, რაც დისტანცი-  
ური, ელექტრონული კომუნიკაციების არსებითი პრობლემაა.  
ზოგიერთმა რესპონდენტმა ვიდეოლექციების მომზადების  
გამოცდილებაზეც ისაუბრა. თუმცა აღინიშნა, რომ რამდე-  
ნადაც კომფორტული შეიძლება იყოს ლექტორისთვის სტუ-  
დენტებთან ელექტრონულ ფორმატში მუშაობა, იმდენად  
შრომატევადი პროცესია ვიდეომასალების მომზადება და  
სტუდენტებთან ონლაინკომუნიკაციის დაგეგმვა თუ მართვა  
დამატებით სამუშაო დროს საჭიროებს.

„ვერ ვიტყვი, რომ რამე პროგრამა ციფრულ ვარიანტში  
არის შეთავაზებული. უნივერსიტეტი ზოგადი სტრატე-  
გიით აცხადებს, რომ ასეთიც უნდა შექმნას, მაგრამ  
პერსპექტივები ნაკლებად არის. ელექტრონული მხარ-  
დამჭრი სისტემა, არსებობს, მაგრამ რამდენად მუშაო-  
ბს, მეორე საკითხია. არიან ლექტორები, რომლებიც ამ  
სისტემაში მუშაობენ და მათთვის კომფორტულია სტუ-  
დენტებთან ასე ურთიერთობა, იქ ატვირთულია მასალე-  
ბი და ა.შ. თუმცა ამას კიდევ ცალკე დრო სჭირდება, მუშ-

აობა, სტუდენტებთან ონლაინ დისკუსიების გამართვა  
და ა.შ. “(თსუ, სოც. და პოლ. მეცნ. ფაკულტეტი)

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა ისაუ-  
ბრა ელექტრონული სასწავლო კურსების ადგილობრივ დო-  
ნეზე, კომერციულ ბიზნესპროექტად განვითარების შესაძლე-  
ბლობაზე. კერძოდ, კვალიფიკაციის ასამაღლებელი, ონლაინ  
სასერტიფიკატო კურსების შექმნაზე, რომელიც მსურველებს  
მობილურ და დროის დამზოგავს (ფიზიკურად გადაადგილების  
თვალსაზრისით) სერვისს შესთავაზებდა და უნივერსიტეტის  
პერსონალისთვის დამატებით შემოსავალს უზრუნველყოფდა.  
თავის მხრივ, ფასიანი ონლაინ სასერტიფიკატო კურსების  
მომზადება ნოყიერ ნიადაგს შექმნიდა ელექტრონული აკადე-  
მიური პროგრამების განსავითარებლად და უმაღლესი განა-  
თლების სხვადასხვა დონეზე დასაწერგად.

„გვინდა ონლაინკურსების გაკეთება კვალიფიკაციის  
ასამაღლებელი კურსების ტიპის იმ ადამიანებისთვის,  
ვისაც კვალიფიკაციის ამაღლება უნდა და დრო არ აქვს,  
ლექციებზე იაროს. ლექტორებსაც დამატებითი შემო-  
სავალი ექნებათ. შემდეგ, ნელ-ნელა, დავნერგვავდი სა-  
მაგისტრო დონეებზე“. (თსუ, ფსიქოლოგიისა და განა-  
თლების მეცნ. ფაკულტეტი)

## შემაჯამახელი მიმოხილვა

საქართველოში ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი  
მიღწევაა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერ-  
თაშორისო მობილობის გაზრდილი შესაძლებლობები. ამის  
საფუძველი, ადმინისტრაციული თვალსაზრისით, კრედიტების  
დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულ სისტემაზე გადასვლამ  
და ხარისხის სამსახურიანი სისტემის დანერგვამ უზრუნვე-  
ლყო. საერთაშორისო მობილობის ფინანსური თვალსაზრისით  
მხარდაჭერა ხორციელდება ძირითადად ევროპული ჩარჩოპრო-  
გრამების („Erasmus+“, DAAD) დახმარებით და ასევე, ქართულ-

უცხოურ უნივერსიტეტებს შორის პილატერალური თანამშრომლობის ფარგლებში. როგორც ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე ირკვევა, უნივერსიტეტებში (და უპირველესად, სახელმწიფო უსდ-ებში) არ მოქმედებს მობილობის ფინანსური მხარდამჭერი რაიმე პირდაპირი ეროვნული მექანიზმი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის (უგი) მნიშვნელობაზე, ასევე მისი ბარიერების აღმოფხვრის თაობაზე ვკითხულობთ ჩანაწერებს როგორც ნორმატიულ, ისე სტრატეგიულ დოკუმენტებში (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020, განათლებისა და მეცნიერების 2017-2020 სამოქმედო გეგმა), საქართველოში დღემდე არ არის შემუშავებული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ეროვნული სტრატეგია და შესაბამისად, არც სამოქმედო გეგმა. ასეთი სტრატეგიის არსებობა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ინტერნაციონალიზაცია ეროვნულ დონეზე უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებისა და ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემის საერთაშორისო სისტემებში ინტეგრაციისთვის მეტად ქმედითი მექანიზმია.

მისასალმებელია, რომ ჩვენი კვლევის მონაწილე უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ნათლად აცნობიერებს ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობას, როდესაც სტუდენტებისა და პროფესორების საერთაშორისო მობილობის სარგებელზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ სტუდენტებისთვის ეს, პირველ რიგში, ახალი ცოდნის, გამოცდილების მიღებისა და პრაქტიკული კომპეტენციების შეძენის შესაძლებლობაა, რომელიც საკმაოდ შეზღუდულია საქართველოს უნივერსიტეტებში, ხოლო პროფესორებისთვის სწავლებისა და სასწავლო კურსის სტრუქტურირების თანამედროვე მეთოდებთან ზიარების, ასევე აკადემიური კონტაქტების გაფართოების (რაც, თავის მხრივ, საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის საფუძველია) ეფექტური საშუალებაა.

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების ცნობიერება უგის მნიშვნელობაზე მაღალია, უნივერსიტეტების დღის წესრიგში დგას ისეთი საკითხები, რომლებიც დამაბრკოლებელია, როგორც საშინაო (ეროვნულ დონეზე), ისე საგარეო ინტერნაციონალიზაციისთვის. ეს საკითხები საკმაოდ ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი. მათ შორის დასახელებულია სტუდენტებს/აკადემიურ პერსონალს (განსაკუთრებით უფროსი თაობის) შორის ინგლისური ენის არცოდნა ან დაბალი დონის ცოდნა, პრესტიულ დასავლურ უნივერსიტეტებთან აკადემიური თანამშრომლობის დამყარება, უცხოურ უნივერსიტეტებთან არსებული ბილატერალური თანამშრომლობის ფარგლებში ქართველი სტუდენტებისთვის გამოყოფილი კვოტების სიმცირე (რაც ავტომატურად საჭიროებს პარტნიორი უცხოური უსდების რაოდენობის გაზრდას), პროგრამული აკრედიტაცია მხოლოდ ეროვნულ დონეზე, რაც ბარიერია დასავლეთის ქვეყნებიდან საერთაშორისო სტუდენტებისა და პროფესორების საქართველოში მოსაზიდად, საკანონმდებლო შეზღუდვები ერთობლივი/ორმაგი ხარისხის აკადემიური პროგრამების შემუშავებისთვის და სხვ.

ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ის გამოცდილება, რომელიც ქვეყანაში დაგროვდა ცალკეული უნივერსიტეტების ბაზაზე. როგორც წინამდებარე თავში აღინიშნა, საქართველოში სტუდენტების საერთაშორისო მობილობის მზარდი ტენდენციაა (როგორც ქვეყნიდან გასული, ისე ქვეყანაში შემოსული სტუდენტების თვალსაზრისით). თუმცა დღეს სახელმწიფო პრიორიტეტს არ წარმოადგენს მისი მუდმივი მონიტორინგი (tracking) და ქვეყნიდან „ტვინების გადინებისთვის“ (ასევე, შემოდინებისთვის) თვალყურის მიდევნება, მით უმეტეს იმის ფონზე, რომ საქართველოში თანამედროვე ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი აკადემიური კადრების სერიოზული დეფიციტია. ასევე, არ ხორციელდება არც საერთაშორისო მობილობის ეროვნულ დონეზე ეკონომიკური ეფექტის ანალიზი, რაც საქართველოში ე.ნ. „საგანმანათლებლო ტურიზ-

მის“ განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნებოდა. ზე-მონათქვამი კიდევ ერთხლ უსვამს ხაზს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ეროვნული სტრატეგიის განვითარების აუცილებლობას, რომელიც, ერთი მხრივ, უნდა დაეფუძნოს ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებული მიღწევებისა და რესურსების, ასევე საკანონმდებლო ბარიერების დეტალურ ანალიზს და მეორე მხრივ, განისაზღვროს, როგორც ეროვნულ დონეზე უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მექანიზმი.

## რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ბოლონიის პროცესით გათვალისწინებული რეფორმები საქართველოში წარმატებით დაინერგა ფორმალურ დონეზე, რაც გულისხმობს, რომ მოწესრიგდა უმაღლესი განათლების სახელმწიფო საკანონმდებლო ჩარჩო და მოხდა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხების საკანონმდებლო დონეზე დანერგვა:

- ✓ კანონში უმაღლესი განათლების შესახებ გაინერა უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემის ძირითადი მახასიათებლები და თითოეული საფეხურისთვის განისაზღვრა ხარისხის მინიჭებისთვის საჭირო კრედიტების მინიმალური რაოდენობა;
- ✓ დაინერგა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა (ECTS), რამაც არსებითად შეუწყო ხელი სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას;
- ✓ კანონით განისაზღვრა სახელმწიფო უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების დანერგვის აუცილებლობა;
- ✓ შეიქმნა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცედურებზე: სახელმწიფოს სახელით უნივერსიტეტებს ანიჭებს ავტორიზაციას, ხოლო აკადემიურ პროგრამებს – აკრედიტაციას, რომელის საფუძველზეც გაიცემა სახელმწიფო დაფინანსება;

მიუხედავად ამისა, ვლინდება კონკრეტული პრობლემები, რომლებიც უშუალო კავშირშია განათლების ხარისხის უზრუნველყოფასთან. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშ-

ნულ დასკვნებზე დაყრდნობით, შევიმუშავეთ კონკრეტული რეკომენდაციები როგორც სახელმწიფო უწყებებისთვის, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

## რეკომენდაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ ცენტრს მიენიჭოს რეალური ავტონომია, და აღარ ექვემდებარებოდეს უმუალოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. შესაბამისად, უნდა გადაიხედოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის ბრძანება № 89/6, რომელიც არეგულირებს ცენტრის მართვასა და სტრუქტურას (თავი III, მუხლი 4, პუნქტი 1);
- განხორციელდეს დოქტორანტურის საფეხურის სამართლებრივი რეგულირება უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურებისგან დამოუკიდებლად, კვლევის განსაზღვრა დოქტორანტურის საფეხურის წინაპირობად და ფინანსურის მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება;
- რეფორმირდეს სახელმწიფო უნივერსიტეტების დაფინანსების სისტემა: ვაუჩერულ დაფინანსებას (სტუდენტზე მიბმული სახელმწიფო გრანტები) დაემატოს ბლოკ-გრანტები, რაც პირველ რიგში, უნივერსიტეტებს საშუალებას მისცემს თანხები მიმართონ სწავლებაში კვლევის კომპონენტის ინტეგრაციაზე, შიდა და გარე შეფასების რეგულარულ განხორციელებაზე, აკრედიტაციის საერთაშორისო სააგენტოებთან თანამშრომლობაზე, და სხვ.;
- ეროვნულ დონეზე გაიწეროს სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

## **რეკომენდაციები განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ ცენტრს**

- პროგრამული აკრედიტაციის პრინციპები და სტანდარტები გახდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული: მოხდეს შეფასების ფორმალური მახასიათებლების დაკმაყოფილებიდან აქცენტის გადატანა აკადემიური პროგრამის შინაარსობრივი მახასიათებლების შეფასებაზე;
- მოხდეს პროგრამული აკრედიტაციის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის ინტეგრირება, რაც გულისხმობს საერთაშორისო ექსპერტების ჩართვას დარგობრივ კომისიებში.

## **რეკომენდაციები უმაღლეს საგანგანათლებლო დაცესაპულებებს**

- განისაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფის სემესტრული შიდა შეფასებისთვის გაზომვადი ინდიკატორები, რომელთა შორის აუცილებლად იქნება გათვალისწინებული სტუდენტთა აკადემიური მიღწევები თითოეული საგანში სემესტრულად (საგანში მიღებული საერთო ქულა) და მიღწევის საშუალო სემესტრული ან ყოველწლიური მაჩვენებელი (GPA); უზრუნველყოფილ იქნას შიდა შეფასებაში სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა, და თითოეული ჯგუფისთვის შემუშავდეს მისთვის სპეციფიკური შეფასების ინსტრუმენტი; ცხადად გაიმიჯნოს შიდა შეფასების პროცედურა პროგრამული აკრედიტაციის ყოველწლიური ანგარიშის მომზადებისგან;
- დაინერგოს სისტემატური გარე შეფასება (სწავლებისა და კვლევის ხარისხის შეფასების აუდიტი), რომელსაც უნივერსიტეტები განახორციელებენ დამოუკიდებლად;

სასურველია გარე შეფასებაში ჩართულნი იყვნენ რო-  
გორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ექსპერტები;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა აწარმოონ  
აკადემიური პროგრამების მკაცრი მონიტორინგი ისეთი  
ხარვეზების გამოსავლენად, როგორიცაა სხვადასხვა სა-  
განმანათლებლო საფეხურებზე იდენტური სილაბუსების  
არსებობა;
- უნივერსიტეტებმა მუდმივად აწარმოონ სხვადასხვა ტი-  
პის შიდასაუნივერსიტეტო რაოდენობრივი და თვისე-  
ბრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი. ამისთვის  
შესაძლოა დაფუძნდეს ინსტიტუციური განვითარების  
დეპარტამენტები/ერთეულები ერთიანი საინფორმაციო  
სისტემებით;
- უნივერსიტეტებმა შეიმუშავონ სწავლებისა და კვლევის  
ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები, სამოქმედო გეგ-  
მები და გამოყონ შესაბამისი ფინანსური რესურსები.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- Aelterman, G., (2007, February). The Role of the National Levels referring to Quality Assurance Institutions. *The Quality Assurance System for Higher Education at European and National Level*. Bologna Seminar. Berlin. Retrieved from <https://www.hrk.de/fileadmin/redaktion/hrk/02-Dokumente/02-10-Publikationsdatenbank/Beitr-2007-13-Quality-Assurance-System-for-HE.pdf>
- Altbach, P.G. (2012). Franchising – the McDonaldization of Higher Education. In de Wit, H., Howard, L., & Egron-Polak, E. (2015), *Internationalization of Higher Education*. European Union
- Bologna Beyond 2010. *Report on the development of the European Higher Education Area*. (2009). Bologna Follow-up Group, Benelux Bologna Secretariat. Retrieved from: <https://www.vlaanderen.be/nl/publicaties/detail/bologna-beyond-2010-report-on-the-development-of-the-european-higher-education-area-background-paper-for-the-bologna-follow-up>
- Bologna Process Coordination Group for Qualifications Framework, (2009). *Report on Qualifications Frameworks*. Retrieved from: [http://media.ehea.info/file/2009\\_Leuven\\_Louvain-la-Neuve/91/4/2009\\_QF\\_CG\\_report\\_594914.pdf](http://media.ehea.info/file/2009_Leuven_Louvain-la-Neuve/91/4/2009_QF_CG_report_594914.pdf)
- Bologna Working Group on Qualifications Frameworks. (2005). *A Framework for Qualifications of the European Higher Education Area*. Ministry of Science, Technology and Innovation. Copenhagen.
- Bojan, C. (2007, July). *The European Dimension of Higher Education Between the Lisbon Strategy and the Bologna Process*. Paper presented at the DRC Summer School on Regional Cooperation, Vienna, Austria. Retrieved from <http://drccsummerschool.eu/proceedings?order=getLinks&categoryId=6>

- Court, S., (2012). *An analysis of student:staff ratios and academics' use of time, and potential links with student satisfaction*. London: University and College Union.
- Darchia, I. (2013). *Strategic Development of Higher Education and Science in Georgia Policy Analysis of Higher Education according to Five Strategic Directions: Quality Assurance*. Tbilisi: The International Institute for Education Policy, Planning and Management.
- de Wit, H. (2011). Internationalization of Higher Education: Nine Myths. In de Wit, H., Howard, L., & Egron-Polak, E. (2015), *Internationalization of Higher Education*. European Union
- de Wit, H. (2013). Rethinking the Concept of Internationalization. In de Wit, H., Howard, L., & Egron-Polak, E. (2015), *Internationalization of Higher Education*. European Union
- de Wit, H., Howard, L., & Egron-Polak, E. (2015). *Internationalization of Higher Education*. European Union
- Doctoral Programmes for the European Knowledge Society, Conclusions and Recommendations. (2005, February). Bologna Seminar. Retrieved from: <http://www.eua.be/Libraries/cde-website/Salzburg-Conclusions.pdf?sfvrsn=0>
- Duclaud-Williams, R. (2004). *Europeanisation and Higher Education*, ESRC/UACES Series of Seminars on EBPP.
- Education at a Glance 2015. OECD Indicators. The Organisation for Economic Co-operation and Development
- Education at a Glance 2014. OECD Indicators. The Organisation for Economic Co-operation and Development
- Education at a Glance 2013. OECD Indicators. The Organisation for Economic Co-operation and Development
- Education at a Glance 2012. OECD Indicators. The Organisation for Economic Co-operation and Development
- Education at a Glance 2011. OECD Indicators. The Organisation for Economic Co-operation and Development

- Egron-Polak, E. & Hudson R. (2014). *Internationalization of Higher Education: Growing Expectations, Fundamental Values IAU 4th Global Survey*. International Association of Universities (IAU)
- European Association for Quality Assurance in Higher Education, (2015). *Rules of Procedure*. Retrieved from: <http://www.enqa.eu/wp-content/uploads/2016/08/ENQA-Rules-of-Procedure.pdf>
- European Association for Quality Assurance in Higher Education. *Affiliates*. Retrieved from: <http://www.enqa.eu/index.php/enqa-agencies/affiliates/>
- European Commission/EACEA/Eurydice, (2015). *The European Higher Education Area in 2015: Bologna Process Implementation Report*. Luxembourg: Publications Office of the European Union
- European Higher Education Area. *History*. Retrieved from: <http://www.ehea.info/article-details.aspx?ArticleId=3>
- European University Association. Retrieved from: <http://www.eua.be/policy-representation/higher-education-policies/the-european-higher-education-area-and-the-bologna-process>
- Eurostat. (2009) *The Bologna Process in Higher Education in Europe Key indicators on the social dimension and mobility*. Retrieved from: <http://www.eurostudent.eu/download-files/documents/KS-78-09-653-EN.pdf>
- Framework for Structured PhD Programmes at the Dublin Institute of Technology. (2010). Dublin Institute of Technology
- Frolich, N., & Veiga, A. (2005). Competition, Cooperation, Consequences and Choices in Selected European Countries. In de Wit, H., Howard, L., & Egron-Polak, E. (2015), *Internationalization of Higher Education*. European Union
- Glonti, L., & Chitashvili, M. (2006). The Challenge of Bologna. The Nuts and Bolts of Higher Education Reform in Georgia. *Creating the European Area of Higher Education. Voices from the Periphery* (Tomusk, V., Ed). Springer, Budapest.

Gurchiani, K., Bregvadze, T., & Janashia, S. (2014). *PhD Quality Enhancement in Georgia*. Ilia State University.

Higher Education Reform Outcomes. Descriptive Report in Accordance to Bologna Process Indicators. (2008). The International Institute for Education Policy, Planning and Management.

Higher Education Statistics Agency (HESA). Retrieved from <https://www.hesa.ac.uk/support/definitions/technical>

Huisman, J., Adelman, C., Hsieh, C.C., Shams, F., and Wilkins, S. (2012). Europe's Bologna Process and Its Impact on Global Higher Education. In D.K. Deardorff, H. de Wit, J.D. Heyl, and T. Adams (eds.), *The SAGE Handbook of International Higher Education*, pp. 81-100. Thousand Oaks: Sage Publications.

Hudzik, J.K. (2011). Comprehensive internationalization: From concept to action. In de Wit, H., Howard, L., & Egron-Polak, E. (2015), *Internationalization of Higher Education*. European Union

Javakhishvili, N., Chabukiani, N., Javakhishvili, M., Gogsadze, S., & Makaradze, M. (2010). *The Best and the Worst Practices of Quality Enhancement – Case of Georgia*. Tbilisi State University.

Jibladze, E., & Chitaia, N. (2015). *National Report regarding the Bologna Process implementation 2012-2015 Georgia*.

Joint Declaration on Harmonisation of the Architecture of the European Higher Education System. (1998). Sorbonne.

Knight, J. (2008). Higher Education in Turmoil. The Changing World of Internationalization. In de Wit, H., Howard, L., & Egron-Polak, E. (2015), *Internationalization of Higher Education*. European Union

Knight, J. (2011). Five Myths about Internationalization. In de Wit, H., Howard, L., & Egron-Polak, E. (2015), *Internationalization of Higher Education*. European Union

Law of Georgia on Higher Education, Article VII. Levels of higher education.

Mobility for Better Learning. (2012). Mobility strategy 2020 for the European Higher Education Area (EHEA). EHEA Ministerial Conference, *Bucharest*.

Naidoo, R. & Jamieson, I.(2005). Empowering Participants or Corroding Learning? Towards a Research Agenda on the Impact of Student Consumerism in Higher Education. In de Wit, H., Howard, L., & Egron-Polak, E. (2015), *Internationalization of Higher Education*. European Union

Radaelli, C.M. (2003). The Europeanisation of Public Policy. In: Fatherstone, K., Radaelli, C.M. (Eds.), *The Politics of Europeanisation*. Oxford University Press, Oxford.

Realising the European Higher Education Area. (2003). Communiqué of the Conference of Ministers Responsible for Higher Education, Berlin.

Report on Qualifications Frameworks. (2009). Bologna Process Coordination Group for Qualifications Framework. Retrieved from [http://media.ehea.info/file/2009\\_Leuven\\_Louvain-la-Neuve/91/4/2009\\_QF\\_CG\\_report\\_594914.pdf](http://media.ehea.info/file/2009_Leuven_Louvain-la-Neuve/91/4/2009_QF_CG_report_594914.pdf)

Report of Mapping Exercise on Doctoral Training in Europe: Towards a Common Approach. (2011). European Commission

Salzburg II Recommendation. European Universities' Achievements since 2005 in Implementing the Salzburg Principles. (2010). European University Association. Retrieved from <http://www.eua.be/Libraries/publications-homepage-list/Salzburg-II-Recommendations>

Schmidt, U., (2007, February). *Requirements for a System of internal Quality Assurance in Higher Education Institutions*. The Quality Assurance System for Higher Education at European and National Level Bologna Seminar. Berlin. Retrieved from <https://www.hrk.de/fileadmin/redaktion/hrk/02-Dokumente/02-10-Publikationsdatenbank/Beitr-2007-13-Quality-Assurance-System-for-HE.pdf>

Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area. (2009). European Association for Quality Assurance in Higher Education. Retrieved from: <http://www.enqa.eu/wp-content/uploads/2013/06/ESG-3edition-2.pdf>

The Bologna Declaration. (1999). Joint declaration of the European Ministers of Education.

The European Higher Education Area - Achieving the Goals. (2005). Communiqué of the Conference of European Ministers Responsible for Higher Education, Bergen.

The Ministry of Education and Science of Georgia. Retrieved from <http://www.mes.gov.ge/content.php?id=5848&lang=geo>

Towards the European Higher Education Area. (2001). Communiqué of the meeting of European Ministers in charge of Higher Education, Prague.

Towards the European Higher Education Area: Responding to Challenges in a Globalised World. (2007). EHEA Ministerial Conference, London.

Tremblay, K., Lalancette, D., Roseveare., D. (2012). Assessment of Higher Education Learning Outcomes. The Organisation for Economic Co-operation and Development. Retrieved from: <http://www.oecd.org/education/skills-beyond-school/AHELOFSReportVolume1.pdf>

Tsuladze, L., Esebua, F., Kakhidze, I., Kvintradze, A., Osepashvili, I., Amashukeli, M. (2016). *Performing Europeanization – Political vis-à-vis Popular Discourses on Europeanization in Georgia*. Tbilisi: Center for Social Sciences.

UNESCO Institute for Statistics. Retrieved from <http://www.uis.unesco.org/Pages/default.aspx>

Working Group on Employability. (2009). Report to Ministers Bologna Conference Leuven/Louvain-La-Neuve. Retrieved from: [http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna/conference/documents/2009\\_employability\\_WG\\_report.pdf](http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna/conference/documents/2009_employability_WG_report.pdf)

Zhvania, A. (2016). *Study in Georgia: Prospects of Internationalization of Higher Education*. PMC Research Center

აკრედიტაციის სტანდარტები. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ხელმისაწვდომია: <http://eqe.ge/geo/static/151/accreditation/standards>

აკრედიტაციის პროცედურები. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ხელმისაწვდომია: <http://eqe.gov.ge/geo/static/153/accreditation/procedure>

ბაქრაძე, ლ. (2013). სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. თბილისი. ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/file/d/0B9RC0lzxIY4ZMDZtLTl6QVhlcVU/view>

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. (2012). პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო. პროფესიული სტანდარტები. ხელმისაწვდომია: <http://eqe.gov.ge/res/docs/e-bookletonOSandQF4GE0.pdf>

გურჩიანი, ქ., ბრეგვაძე, თ., ჯანაშია, ს., დალაქიშვილი, მ., რჩეულიშვილი, ნ., ცოტნიაშვილი, ქ. (2014). სადოქტორო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. ხელმისაწვდომია: <http://erasmusplus.org.ge/files/publications/PhD%20Quality%20Enhancement%20ge.pdf>

დარჩია, ი. (2009). მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. გზამკვლევი. თბილისი. ხელმისაწვდომია: <http://erasmusplus.org.ge/files/publications/Guide%20ULLL%20-%20ge.pdf>

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ანალიზი. (2014). განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი

ერასმუს მუნდუსის 2013–2014 წლების მობილობის შეფასება.  
(2014). Erasmus Student Network Tbilisi ISU.

თსუ-ს სამაგისტრო პროგრამას „საჯარო მმართველობა“ საერთაშორისო აკრედიტაცია მიენიჭა. (31/07/2015). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ხელმისაწვდომია: <http://www.mes.gov.ge/content.php?t=srch&search=FIBAA&id=5848&lang=geo>

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა – სახელმძღვანელო. (2015). ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/file/d/0B8EsOg5UNGftNFZwWGprVENVaWc/view>

ლეჟავა, დ., ამაშუკელი, მ. (2015). აკადემიური პროგრამების შედეგებსა და დასაქმების პაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. ხელმისაწვდომია: <http://css.ge/index.php?lang-id=GEO&sec-id=93&info-id=1145>

პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო. (2012). განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი.

საქართველოს „Erasmus+“-ის სტიპენდიანტები. ხელმისაწვდომია: <http://erasmusplus.org.ge/ge/projects/after-2014>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძნება №07/6, 29/01/2016 ხელმისაწვდომია: [https://www.tsu.ge/data/file\\_db/xarisxis\\_martvis\\_dep/N3kreditebis\\_daangarisheba.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/N3kreditebis_daangarisheba.pdf)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №65/6, 04/05/2011. ხელმისაწვდომი: <http://gtu.ge/quality/Files/Pdf/65%20akred%20deb%202016-9-16.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 89/6, 14/09/2010. ხელმისაწვდომია: <http://eqe.gov.ge/res/docs/89n-17.03.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/6, 10/12/2010. ხელმისაწვდომია: [http://gtu.ge/quality/Files/Pdf/120\\_kv\\_charcho\\_31-8-16.PDF](http://gtu.ge/quality/Files/Pdf/120_kv_charcho_31-8-16.PDF)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1/კ-172, 06/02/2015. ხელმისაწვდომია: <http://eqe.gov.ge/res/docs/Untitled.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1/კ-236, 28/07/2016. ხელმისაწვდომია: <http://eqe.gov.ge/res/docs/236ბრძანება.pdf>

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020. (2013). საქართველოს მთავრობა. ხელმისაწვდომია: <https://napr.gov.ge/source/სტრატეგია/ViewFile.pdf>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს სტატისტიკური ინფორმაცია უმაღლეს განათლებაზე. ხელმისაწვდომია: <http://www.geostat.ge/?action=page&p-id=2104&lang=geo>

საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. ხელმისაწვდომია: <http://mof.ge/images/File/biuj2015/TAVI-III.pdf>

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <http://mof.ge/images/File/biuj2016-9tv/TAVI%20III.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობის შესახებ 2015 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <http://mes.gov.ge/publicInfo/?page-id=103>

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23>

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება №:126/01-01 დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შეჩევის საფაკულტეტო წესისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესის განსაზღვრის შესახებ. (2015). ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ხელმისაწვდომია: <https://www.tsu.ge/ge/juridical/orders/zrO--f0b54SsBN-K-/?p=1>

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ხელმისაწვდომია: <http://eqe.gov.ge/geo/static/89/register/heis>

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები. ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. (2016). სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ხელმისაწვდომია: <http://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2016/Umaglesi-ganatlebis-xarisxi.pdf>

უმაღლესი განათლება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ხელმისაწვდომია: [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=2104&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2104&lang=geo)

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისთვის განათლების მისაღები ხარისხის უზრუნველყოფა. ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. (2016). სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ხელმისაწვდომია: <http://sao.ge/files/auditis-angarishebi/2016/tb-umaglesi-ganatleba.pdf>

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა 2011-2015. ხელმისაწვდომია:

<http://rustaveli.org.ge/images/Files/sajaro%20informacia/kharjtagrickhva/damtkicebuli-da-dazustebuli-biuejti.pdf>

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2013 წლის წლიური ანგარიში. ხელმისაწვდომია: <http://www.rustaveli.org.ge/ფონდის-პუბლიკაციები/page/962>

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2014 წლის წლიური ანგარიში. ხელმისაწვდომია: <http://www.rustaveli.org.ge/ფონდის-პუბლიკაციები/page/963>

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2015 წლის წლიური ანგარიში. ხელმისაწვდომია: <http://www.rustaveli.org.ge/ფონდის-პუბლიკაციები/page/964>

ჩახაია, ლ. (2013). უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება. საქართველოში უმაღლესი

განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით: უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა. თბილისი: განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი.

ჭანტურია, რ. (2016). უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა. საერთაშორისო განათლების ცენტრი.

ჯავახიშვილი, ნ., ჭაბუკიანი, ნ., ჯავახიშვილი, მ., გოგსაძე, ს., მაკარაძე, მ. (2010). ხარისხის გაუმჯობესების მდგომარეობა საქართველოში – მიღწევები და პრობლემები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ხელმისაწვდომია: <http://erasmusplus.org.ge/files/publications/Quality%20Enhancement%20-%20Case%20of%20Georgia%20-%20ge.pdf>

ჯავახიშვილი, ნ., წერეთელი, ფ., ხუჯაძე, ნ., თიაბაშვილი, თ. (2012). სადოქტორო განათლება საქართველოში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. ხელმისაწვდომია: <http://erasmusplus.org.ge/files/publications/Doctoral%20Education%20in%20Georgia%20-%20ge.pdf>

ჯანაშია, ს. (2016). საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ახალი შესაძლებლობა – მასობრივი ღია ონლაინ კურსების განვითარება. საერთაშორისო განათლების ცენტრი.